

ადვინისტრატული ნაკრძების საკითხები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2015, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2015, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2015, №8

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2015, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

**1. ადმინისტრაციული წარმოება
ადმინისტრაციულ საჩივართან
დაკავშირებით**

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველი

განჩინება

№ბს-1214-1158(კ-09)

10 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 დეკემბერს ს. მ-ძემ და მ. ი-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ 2009 წლის 20 მარტს ქ. ბათუმის მერიამ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების საფუძველზე გამოსცა ბრძანება №262, რის საფუძველზეც მოსარჩელებს გადაეცათ საკუთრების უფლება მათ კანონიერ სარგებლობაში არსებულ 38,6 კვ.მ. ფართზე (ბინაზე), მდებარე ქ. ბათუმში ... ქ. №20-ში, რაზედაც გამოიწერა საკუთრების უფლების მონაწილეობა №... და საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 31 ოქტომბრის №950 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი №73 ბრძანებულების ის ნაწილი, რომლითაც ს. მ-ძესა და მ. ი-ძეს საკუთრებაში გადაეცა 3,8 და 13,8 კვ.მ. ფართი.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. ბათუმში ... ქ. №20-ში მდებარე 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის 1-ლი სართული ირიცხებოდა განათლების სამინისტროს ბალანსზე და იქ განთავსებული იყო ბაგა-ბაღი, სადაც 1998 წელს მოხდა მოსარჩელეთა შესახლება. შემდეგ აღნიშნული საცხოვრებელი ფართი ჩაირიც-

ხა შპს „...ს“ საცხოვრებელ ფონდში. ქ. ბათუმის მერიის საბინაო სამმართველომ 2001 წელს მოსარჩელეთა ოჯახს გადასცა ბინის ორდერი, რომლის თანახმადაც მოსარჩელეთა ოჯახი უნდა განთავსებულიყო 21,0 კვ.მ. ფართში, რაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო და არ შეესაბამებოდა ოჯახის განვითარების რეალობას, რამდენადაც მ-ძეების ოჯახი ფაქტობრივად სარგებლობდა 3-ჯერ უფრო მეტი ფართით. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფართის ნაწილზე, კერძოდ №114 ოთახში, რომლითაც მოსარჩელები უკვე სარგებლობდნენ, 1999 წელს გამოუნერიათ ორდერი ვ. ც-ძისათვის, რომელმაც უკანონოდ გააკეთა რეგისტრაციის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ვ. ც-ძე შეეცადა მოსარჩელეთა ოჯახის გამოსახლებას №114 ოთახიდან, მაგრამ ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლო წესით და 2003 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა ვ. ც-ძის სასარებლოდ დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება, ხოლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ 2005 წლის 14 ივნისს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

მოსარჩელების მითითებით, ამ საქმის პარალელურად იგივე მხარეებს შორის მიმდინარეობდა სხვა სამოქალაქო დავაც, იმავე საგანზე და თითქმის იმავე საფუძველით, რაზედაც სააპელაციო პალატამ 2005 წლის 22 სექტემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე ვ. ც-ძეს უარი ეთქვა სარჩელში ს. მ-ძეებისა და მ. ი-ძის სადავო საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების თაობაზე უსაფუძვლობის გამო და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზეც 2005 წლის 13 დეკემბერს აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რითაც მოსარჩელე მხარის მტკიცებით მ-ძე-ი-ძის ოჯახმა მოიპოვა ამ ბინაში ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი.

მოსარჩელების განმარტებით, ვ. ც-ძისათვის ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის №204 განკარგულების საფუძველზე გაცემული №00205 ორდერი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად არარა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტია, ვინაიდან, მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო, კერძოდ, ბინის ორდერის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეს ენიჭება სარგებლობის უფლება საცხოვრებელ ბინაზე, ვ. ც-ძეს კი ამ უფლების გამოყენება არ შეუძლია და არც წარსულში ჰქონდა ამის საშუალება, რადგანაც სარგებლო-

ბის უფლება ს. მ-დის ოჯახს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აქვს მიღებული.

ამასთან, ქ. ბათუმის მერიის მიერ 2008 წლის 31 ოქტომბრის №950 ბრძანების მომზადებისას ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებდა ადმინისტრაციულ წარმოებას, ცნობილი იყო, რომ იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე მიმდინარეობდა დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმეზე გამოტანილი ჰქონდა №2-94 გადაწყვეტილება, ამის მიუხედავად, ქ. ბათუმის მერიამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით მაინც მიიღო გადაწყვეტილება.

მოსარჩელების განმარტებით, 13,8 კვ.მ ფართით, რომელიც ქ. ბათუმის მერის №950 ბრძანებით გამოვიდა მოსარჩელის კანონიერი საკუთრებიდან, დამოუკიდებელად, ს. მ-დის ოჯახის საკუთრებაში დარჩენილი ფართის გამოუყენებლად, სარგებლობა ფაქტობრივად შეუძლებელია ფართების ტექნიკური განლაგების გამო. №116 და №117 ოთახებს აქვს ერთი შესასვლელი და ამასთან, ვ. ც-დის მიერ №114 ოთახით ფაქტობრივად სარგებლობაც შეუძლებელია, რადგანაც ისეა განთავსებული ეს ოთახი, რომ მასში შესვლა №116 და №117 ოთახების გავლის გარეშე შეუძლებელია. სწორედ აღნიშნული გარემოება დაედო თავის დროზე საფუძვლად ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 20 მარტის №262 ბრძანებას, რომლითაც აღიარებულ იქნა მოსარჩელის საკუთრების უფლება 38,6 კვმ-ზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 31 ოქტომბრის №950 ბრძანების მე-2 ნაწილის ბათილად ცნობასა და ქ. ბათუმის მერიის დავალდებულებას, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემოდათ, მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული, საცხოვრებელი ფართი (38,6 კვ.მ) მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში. ამასთან, მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის №204 განკარგულებისა და მის საფუძველზე გამოცემული №00205 ორდერის არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობას.

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ვ. ც-ძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ს. მ-დისა და მ. ი-დის სასარჩელო განცხადება

არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების მოტივით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ი-ძემ და ს. მ-ძემ.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინებით ს. მ-ძისა და მ. ი-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 20 მარტის №262 გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ დარღვევით. აღნიშნული ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-2¹ პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ საცხოვრებელ ან/და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ ან/და არაიზოლირებულ) ფართობთან ერთად კანონიერი მოსარგებლეების მიერ დაკავებულ მომიჯნავე ფართობის საკუთრებაში გადაცემის თაობაზეც, თუკი აღნიშნული მომიჯნავე ფართობის გარეშე საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობით დამოუკიდებლად სარგებლობა შეუძლებელია და იგი არ წარმოადგენს ცალკე უფლების ობიექტს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტათვის ერთიანად №116 საცხოვრებელი ბინის სახით 38,6 კვმ ფართის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემისას სადავო 13,8 კვმ ფართთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები უნდა გამოკვლეულიყო ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 20 მარტის №262 ბრძანებისა და მის საფუძველზე საკუთრების უფლების მონმობის გამოცემის მიზნით წარმოებული ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში, რაც ვერ განხორციელ-

და იმ მოტივით, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლში, კერძოდ, პირველ სართულზე არსებულ საცხოვრებელ ფართებზე იქ მცხოვრებთა მიერ ჩატარებული რეკონსტრუქცია და გადაკეთებები, აგრეთვე დამატებითი ფართების მიშენებები, რის გამოც ამ ფართს პირვანდელი მდგომარეობა და სახე აღარ გააჩნია და ს. მ-ძისათვის ფართის უსასყიდლოდ გადაცემის დროს ქ. ბათუმის მერიამ სრულყოფილად არ გამოიკვლია №114-ე ოთახის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საკითხის განმეორებით შესწავლისას ქ. ბათუმის მერიამ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისას ჩათვალა, რომ არ არსებობდა მოსარჩელეებზე მათ მიერ წარმოდგენილ აზომით ნახაზზე მითითებული 13,8 კვმ ფართის სხვა ფართთან ერთად №116 საცხოვრებელ ბინად უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2¹ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2009 წლის 20 მარტის №262 ბრძანების ნაწილი მოსარჩელეთა საკუთრებაში 3,8 და 13,8 კვმ ფართობების გადაცემის ნაწილში.

ვ. ც-ძეს მინიჭებული აქვს ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე სადავო №114-ე ოთახით სარგებლობის უფლება. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ფართი პირს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია კანონიერი სარგებლობის დოკუმენტი, მათ შორის საცხოვრებელი ბინის ორდერი და ამ უფლების განხორციელება არ არის დამოკიდებული პირის მიერ საცხოვრებელი ფართის (სახლის, ბინის) ფაქტობრივ მფლობელობაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ ს. მ-ძის ოჯახმა სადავო ფართით სარგებლობის უფლება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიიღო, რამდენადაც ასეთი უფლება მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის აღიარებული.

აპელანტთა მიერ მითითებული აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ც-ძეს უარი ეთქვა ს. მ-ძისა და მ. ი-ძის საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლებაზე იმ მოტივით, რომ ვ. ც-ძე არ

იყო სადავო ბინის მესაკუთრე, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დადგენილა, რომ ს. მ-ძე და მ. ი-ძე არიან სადავო ფართის კანონიერი მოსარგებლენი და ვ. ც-ძეს ბინის ორდერით ასეთი უფლება არ მოუპოვებია ან ეს უფლება მან დაკარგა.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 31 ოქტომბრის №950 ბრძანების მომზადებისა და გამოცემის დროს კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, არც მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ზიანის მიყენებაზე შეიძლება მსჯელობა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის №204 განკარგულება და მის საფუძველზე გამოცემული №00205 ბინის ორდერი, რომელიც აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად არარა აქტს წარმოადგენს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის №204 განკარგულებას სამართლებრივი შედეგი უკვე მოჰყვა – ვ. ც-ძეზე გაიცა ბინის №00205 ორდერი, ხოლო ის ვარემოება, რომ ვ. ც-ძემ აპელანტთა წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო ორდერით განსაზღვრული ფართით ფაქტობრივი სარგებლობა, არ ნიშნავს ადმინისტრაციული აქტის შესრულების შეუძლებლობას. ვ. ც-ძეს გააჩინა აღნიშნული ფართით სარგებლობის უფლება და შეუძლია მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ი-ძემ და ს. მ-ძემ.

კასატორები საკასაციო საჩივრაში მიუთითებდნენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც: „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმე-

დება ამ აქტის საფუძველზე“, სასამართლომ ორდერის გამოცემა, რომელიც განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩათვალა კერძო პირის (ვ. ც-ძის) მიერ განხორციელებულ იურიდიული მნიშვნელობის ქმედებად, რაც არსებით წინააღმდეგობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლთან, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ იმ პირის მიერ განხორციელებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებას, ვის სასარგებლოდაც გამოიცა ადმინისტრაციული აქტი (კონკრეტულ შემთხვევაში ბინის ორდერი).

ვ. ც-ძეს ქ. ბათუმის მერიის №240-ე განკარგულებისა და ბინის ორდერის საფუძველზე არანაირი მართლზომიერი იურიდიული მნიშვნელობის ქმედება არ განუხორციელებია. ამასთან, სასამართლოს მხედველობაში არ უნდა მიეღო უკანონო პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილია.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით, რადგან განკარგულების (№240) და ორდერის შესრულება (აღსრულება) 1999 წელს ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ვინაიდან, ისინი ბინაში ცხოვრობდნენ და სხვა ოჯახის ცხოვრება ფიზიკურად შეუძლებელი იყო. №114 ბინა (12 კვ.მ) წარმოადგენს ფართს, რომელიც წლების განმავლობაში (1999 წელს და დღესაც) წარმოადგენს საპირფარეშოს.

კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რამდენად იყო უფლებამოსილი ქ. ბათუმის მერი ბრძანებით (2008 წლის 31 ოქტომბრის №950) ჩამოერთვა მათთვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ი-ძისა და ს. მ-ძის საკასაციო საჩივარი

უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებულნი განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 20 მარტის №262 ბრძანებისა და 2008 წლის 20 მარტის №846 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე ს. მ-ძეს, მ. ი-ძეს, მ., ი., მ., დ. და მ. მ-ძებს საკუთრებაში გადაეცათ ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე №116 საცხოვრებელი ბინა 38,6 კვ.მ ფართის ოდენობით, რომელიც 2008 წლის 28 მაისს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ზემოაღნიშნულ პირებზე.

დადგენილია, რომ კასატორებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემული 28,6 კვ.მ ფართიდან 3,8 კვ.მ ფართი საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული იყო ქ. და მ. მ-ძეებზე.

2008 წლის 17 ოქტომბერს ქ. ბათუმის მერიას განცხადებით მიმართა კასატორმა ს. მ-ძემ, რომელმაც მიუთითა, რომ მისი ოჯახისათვის საკუთრების უფლებით გადაცემული 38,6 კვ.მ ფართიდან 3,8 კვ.მ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 22 ოქტომბრის №1134 ბრძანებისა და 2007 წლის 22 ოქტომბრის №513 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ჰქონიათ ქ. მ-იძეს და მ. მ-ძეს. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ქ. მ-ძეზე და მ. მ-ძეზე ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებას, ვინაიდან ქ. ბათუმში, ... ქ. 20-ში მდებარე №118 ბინა არასოდეს ყოფილა საცხოვრებელი ფართი, ამ ფართში მ-ძეებს არ უცხოვრიათ, რის გამოც განმცხადებელი ქ. ბათუმის მერიისაგან ითხოვდა ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 22 ოქტომბრის №1134 ბრძანებისა და მის საფუძველზე ქ. და მ. მ-ძეებზე 2007 წლის 22 ოქტომბერს გაცემული №513 საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმებას.

ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 31 ოქტომბრის №950 ბრძანებით გადაწყდა, რომ 3,8 კვ.მ ფართი კასატორის ოჯახზე გადაცემამდე რეგისტრირებული იყო ქ. და მ. მ-ძეებზე, არ წარმოადგენდა სახელმწიფო საბინაო ფონდს და მერია არ იყო ფართის გასხვისებაზე უფლებამოსილი პირი, რის გამოც, ბათილად იქნა ცნობილი 3,8 კვ.მ ფართის ნაწილი ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 20 მარტის №262 ბრძანების 1 პუნქტის 24-ე ქვეპუნქტი და მის საფუძველზე გაცემული 2008 წლის 20 მარტის №846 სა-

კუთრების უფლების მოწმობა, რომლითაც კასატორებს საკუთრებაში გადაეცათ ქ. ბათუმში, ... ქ. №20-ში მდებარე №116 ბინა.

იმავე ბრძანებით ქ. ბათუმის მერიამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული პირებისათვის გადაცემული 38,6 კვ.მ ფართიდან 13,8 კვ.მ ქ. ბათუმის მერის 1999 წლის 6 ივნისის №240 ბრძანებით გადაცემული ჰქონდა ვ. ც-ძეს, რის გამოც 13,8 კვ.მ ნაწილში ასევე ბათილად ცნო ს. მ-ძის, მ. ი-ძის, მ., მ., ი., დ. და მ. მ-ძეების საკუთრების უფლების მოწმობა.

იმავე ბრძანებით, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს ეთხოვა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 20 მარტის №262 ბრძანების 1 პუნქტის 24-ე ქვეპუნქტსა და მის საფუძველზე გაცემული 2008 წლის 20 მარტის №826 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში ს. მ-ძის, მ. ი-ძის, მ. მ-ძის, მ. მ-ძის, ი. მ-ძის, დ. მ-ძის და მ. მ-ძის სახელზე საკუთრების უფლების თაობაზე არსებული ჩანაწერების, 3,8 კვ.მ ფართისა და 13,8 კვ.მ ფართის (სულდ 17,6 კვ.მ) ნაწილში, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაუქმება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 31 ოქტომბრის ზემოაღნიშნულ სადავო №950 ბრძანების გასაჩივრებული ნაწილის კანონიერების თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან მიმართებაში არ ეფუძნება ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

უდავოა, რომ ქ. ბათუმის მერის მიერ ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია ს. მ-ძის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 193-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათ-

ვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება გასცდეს მას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და განმარტავს შემდეგს: სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს პრინციპი, რომლის შესაბამისადაც დაუშვებელია სარჩელის საუარესოდ შემობრუნება, ანუ სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოსარჩელეს ჩააყენებს უფრო უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის სარჩელის წარდგენამდე იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ამ პრინციპის თაობაზე კონკრეტული მითითება არ არსებობს, კოდექსის ზოგადი პრინციპებიდან და ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე უდავოა, რომ მოთხოვნის საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობის პრინციპი გამოიყენება ადმინისტრაციულ წარმოებაშიც. თუმცა, როგორც ამავე მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამართალწარმოებისაგან განსხვავებით აქ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილ გარემოებებზე დაყრდნობით უდავოდ მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ იქნა კასატორის – ს. მ-ძის მიერ, რომელიც საჩივრის საფუძველზე სადავოდ ხდიდა 3,8 კვ.მ ფართის ქ. და მ. მ-ძეებზე გადაცემის კანონიერებას.

ქ. ბათუმის მერმა საჩივრის ავტორის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელა არა მხოლოდ 3,8 კვ.მ ფართის ს. მ-ძის ოჯახისადმი კუთვნილების კანონიერებაზე, არამედ მისივე საჩივრის საფუძველზე, ბათილად სცნო საკუთრების უფლების მონაწილეობით 13,8 კვ.მ ფართის ნაწილშიც, როდესაც აღნიშნულის თაობაზე არ არსებობდა მე-3 პირის მოთხოვნა.

ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს: იყო თუ არა ქ. ბათუმის მერი უფლებამოსილი ადმინისტრაციული საჩივარი შემოებრუნებინა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის საუარესოდ; განსახილველი საკითხი მიეკუთვნება თუ არა კანონით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცდეს მოთხოვნის ფარგლებს და ისიც მომჩივანის საუარესოდ.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხ-

ლის 1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილი ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, საიდანაც იკვეთება, რომ მ. და ქ. მ-ძეებსა და ს. მ-ძეს შორის სადავო ფართთან მიმართებაში მიმდინარეობს სასამართლო წარმოება. საქმეში დაცული მასალები არ იძლევა საქმის შემდგომი მსვლელობის დადგენის შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, მითითებული საქმის შემდგომი ბედი და მასში დაყენებული მოთხოვნების შეჯერების საფუძველზე განსაზღვროს, არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ს. მ-ძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ საქმე განხილული და გამოკვლეულია არასრულყოფილად, არ არის შემონმმებული სადავო აქტის კანონიერება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებთან მიმართებაში, რაც იძლევა საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების და საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს. მ-ძისა და მ. ი-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლექტიურ ორბანოში

ბანრინება

№ბს-1342-1284(კ-09)

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მიწის ნაკვეთის დბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 17 ნოემბერს ბ. მ-ძემ სარჩელი აღძრა ქობულე-
თის რაიონულ სასამართლოში ნ. გ-ძისა და გ. ქ-ძის მიმართ და
მოითხოვა ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3
დადგენილების გაუქმება და მითვისებული მიწის ნაკვეთის დაბ-
რუნება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, 1953 წელს დედამისმა – დ. გ-ძემ
ს. ჯ-ოვისაგან შეიძინა ქ. ქობულეთში, ... №106-ში მდებარე ერ-
თსართულიანი სახლი დამხმარე ფართითა და 1500 კვ.მ საკარ-
მიდამო ნაკვეთით. ს. ჯ-ოვი ფლობდა 0,25 ჰა მიწის ნაკვეთს,
საიდანაც 612 კვ.მ მიჰყიდა ან გარდაცვლილ ზ. ბ-ძეს, ამ უკა-
ნასკნელისაგან კი – 1983 წელს შეიძინა გ. ქ-ძემ. 1952 წელს ს.
ჯ-ოვმა 445 კვ.მ მიწის ნაკვეთი მიჰყიდა ნ. გ-ძეს. აღნიშნული
გარემოებების შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 2005
წლის ივნისში. მოსარჩელის დედა გარდაიცვალა 2000 წელს. 2005
წლის ივნისში მოსარჩელის მიერ არქივში მოძიებულ იქნა სახ-
ლისა და საკარმიდამო ნაკვეთის შესყიდვის დოკუმენტები, ხო-
ლო ტექნიკური ნახაზი დაკარგული აღმოჩნდა. ნ. გ-ძის პირად
საარქივო ქაღალდებში მოძიებულ იქნა მოსარჩელის დედის მი-
ერ 1953 წელს შეძენილი სახლის ტექნიკური ნახაზი, მაგრამ შეც-
ვლილი მიწის ფართობით, კერძოდ, ნ. გ-ძეს მითვისებული აქვს
633 კვ.მ მიწის ნაკვეთი მოსარჩელის დედისა და მოსაზღვრე ზ.
ბ-ძის ნაკვეთებიდან.

ბ. მ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა
ქობულეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მის ეზოში
შემოჭრილი, ნ. გ-ძის მიერ უნებართვოდ აშენებული სახლის კედ-

ლის გადაწვევა, სახურავის გადაკეთება, სახურავზე არსებული წყლის ავზის მოხსნა, საიდანაც წყალი იღვრებოდა მოსარჩელის ეზოში, წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობის მიღების მოხსნა და ნ. გ-ძის ეზოში გადატანა, მოსარჩელის საძინებლის მოპირდაპირედ მდებარე აბანოსა და საპირფარეშოს ფანჯრების ამოშენება. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული პირობების შესრულების მიუხედავად, მოპასუხის სახლის ნაწილი შემოჭრილი იქნება მოსარჩელის ეზოში, რის გამოც მოსარჩელემ ასევე მოითხოვა კანონით დადგენილი გადასახადის გადახდა ყოველწლიურად, 1957 წლიდან დღემდე, საზღვრის დარღვევის კომპენსაცია, ამასთან, მითვისებული მიწის ნაკვეთის 50 წლის განმავლობაში სარგებლობისათვის კანონით გათვალისწინებული სარგებელის გადახდა და მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურება.

ბ. მ-ძის სარჩელი არ ცნო მოპასუხემ – ნ. გ-ძემ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელმაც არ ცნო ბ. მ-ძის სარჩელი სადავო დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განჩინებით ბ. მ-ძის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება 633 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნებისა და ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩართული ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდაზე და მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების შესახებ არ იქნა მიღებული განსახილველად.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის

გადაწყვეტილებით ბ. მ-ძის სარჩელი მიწის ნაკვეთის დაბრუნებისა და ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის ტექნივენტარიზაციის ბიუროს 1953 წლის 25 აგვისტოს №15 დასტურის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და მის ქვეშ არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ს. ჯ-ოვს. 1953 წლის 27 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით დ. გ-ძემ ს. ჯ-ოვისაგან შეიძინა ქ. ქობულეთში, ... №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის 2006 წლის 27 ივლისის ცნობის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... №128-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 1/2 ნაწილი ან გარდაცვლილი დ. გ-ძისა და 1/2 ნაწილი მ. გ-დის საკუთრებად. ქ. ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილებით დაკმაყოფილდა ნ. გ-ძის თხოვნა და დაუკანონდა მის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართით 125,8 კვ.მ. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს სარეგისტრაციო მონმობის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... №126-ში მდებარე ნ. გ-ძის კუთვნილი სახლის საერთო სასარგებლო ფართია 125,8 კვ.მ და განთავსებულია 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ. ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების, ცნობა-დახასიათების, ტექნიკური პასპორტისა და სარეგისტრაციო მონმობის საფუძველზე, ნ. გ-ძე რეგისტრირებულია ქ. ქობულეთში, ... №126-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. საჯარო რეესტრის მიერ 2006 წლის 20 იანვარს გაცემული ცნობის თანახმად, გ. ქ-ძის სახელზე რეგისტრირებულია ქ. ქობულეთში, ... №124-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ საქმეზე წარდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ან გარდაცვლილმა დედამ – დ. გ-ძემ 1953 წელს ს. ჯ-საგან შეიძინა ერთსართულიანი შენობა, მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო დამატებით 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარდგენილი.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ-ძის დანაშთ ქონებად საჯარო რეესტრში რეგისტრირებუ-

ლია ქ. ქობულეთში, ... №128-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნახევარს საკუთრების უფლებით ფლობს მოსარჩელის ნახევარძმა – მ. გ-დი, ხოლო 1/2 ნაწილი ირიცხება ან გარდაცვლილი დ. გ-დის სახელზე. მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 1421.2 მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივ მფლობელობაში მიიღო დედის დანაშთი სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილი.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დ. გ-დის სამკვიდრო შეადგენდა საცხოვრებელ სახლსა და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთს. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურებოდა, რომ დ. გ-ძეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ 633 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით რაიმე დავა ჰქონდა მოპასუხებთან. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ბ. მ-ძემ და მისმა ნახევარძმამ – მ. გ-დმა მიიღეს მემკვიდრეობა დედის დანაშთ 900 კვ.მ მიწის ფართობზე. ამდენად, მოსარჩელეს, როგორც მემკვიდრეს უფლება არა აქვს სადავო გახადოს 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც არ შეიცავდა დ. გ-დის სამკვიდრო ქონება და არც ამ უკანასკნელს გაუხდია სიცოცხლეში სადავოდ მიწის ნაკვეთის კუთვნილების საკითხი. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეების – ნ. გ-დისა და გ. ქ-დის მიერ მითვისებული 633 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნების შესახებ.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ნ. გ-დის სახელზე ქ. ქობულეთში, ... №126-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ხოლო ქ. ქობულეთში, ... №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობისა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის გ. ქ-დის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერების მიმართ სამოქალაქო კოდექსის 312.1 მუხლის თანახმად, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, შესაბამისად, მოპასუხეები მიწის ნაკვეთის კანონიერი მესაკუთრეები არიან, რის გამოც მოსარჩელის პრეტენზია მისი კუთვნილი 633 კვ.მ მიწის ნაკვეთის მითვისების შესახებ სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

რაიონულმა სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოთხოვნა ქ. ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების გაუქმების ნაწილში, რადგან „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მონესრიგების ლონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის №806 დადგენილებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიეცათ უფლება მოეხდინათ რო-

გორც გამოაკლისი, 1974 წლის სექტემბრამდე თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი რეგისტრაცია, თუ მათი სასარგებლო ფართი არ აღემატებოდა 136 კვ.მ-ს. 1957 წლიდან ნ. გ-ძის ფაქტობრივ მფლობელობაშია სადავო ადმინისტრაციული აქტით დაკანონებული საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართით 125,8 კვ.მ. საჯარო რეესტრის ჩანაწერით მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი სახლია განთავსებული, ნ. გ-ძის საკუთრებაა. ამდენად, მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო დადგენილება გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ ეწინააღმდეგება კანონს, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-ძემ და მოითხოვა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების გაუქმება, მითვისებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება და დ. გ-ძის მიერ შეძენილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის საზღვრების აღდგენა შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი დასტური და შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან დასტურით დგინდება, რომ ს. ჯ-ოვი ასხვისებდა შენობას და მის ქვეშ არსებულ 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთს შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით – ნაკვეთი, დასავლეთით – ..., ჩრდილოეთით და სამხრეთით – ნაკვეთები. მთლიანად ნორმაზე მეტი მიწა 900 კვ.მ სხვისდებოდა ნასყიდობით. 1953 წლის 27 აგვისტოს ნასყიდობის გარიგებით დ. გ-ძემ შეიძინა შენობა და მიწის ნაკვეთი დასტურში მითითებულ საზღვრებში, რაც წარმოადგენდა 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის საზღვრებს და ამ საზღვრებში მოთავსებული იყო, როგორც იმდროინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმა 600 კვ.მ, ასევე ნორმაზე მეტი 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შენობის ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაკონკრეტებულია სახლის მდებარეობა, კერძოდ, იგი მდებარეობდა ნორმაზე მეტ 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. დ. გ-ძეზე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია მოხდა 2006 წლის ივნისში, რაც არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ დ. გ-ძემ შეიძინა მხოლოდ 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დასტურში არ მიეთითებოდა 1500 კვ.მ, აპელანტის

მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი სარეგისტრაციო მონობა ნ. გ-ძის სახელზე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ ასევე არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ნ. გ-ძემ შეიძინა 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ემყარება სათანადო მტკიცებულებებს.

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ დ. გ-ძეს სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია 600 კვ.მ მიწის კუთვნილების საკითხი, რადგან დ. გ-ძეს დავა ჰქონდა მოპასუხეებთან, მაგრამ აღნიშნულის შესახებ არ იცოდა მოსარჩელემ, რადგან იმ პერიოდში იყო მცირეწლოვანი.

აპელანტმა ასევე არ გაიზიარა სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა გამგეობის სადავო დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველი. აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული დადგენილებით მას მიადგა ზიანი, რადგან გამგეობამ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლი. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ტექნიკენტარიზაციის ბიურომ შეადგინა ნახაზი, სადაც ნ. გ-ძის სახლის სიგანე მითითებულია 8,80 მ. ნაცვლად 8.10 მ-ისა, რითაც მოპასუხე შეიჭრა მოსარჩელის ეზოში.

ამდენად, აპელანტის მითითებით, სადავო დადგენილება მიღებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევით, ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

აპელანტის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სსრ 1953 წლის სამოქალაქო კოდექსის 182-ე, 182¹-ე, 182²-ე, 189-ე მუხლები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.1, 53.5, 105-ე-106-ე მუხლები, სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის №806 დადგენილება, რომელიც არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

აპელანტმა ასევე არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა რეესტრის ჩანაწერების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციის გავრცელების შესახებ, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრს არ ჰქონდა უფლება დაერეგისტრირებინა ნ. გ-ძის სახელზე იმაზე მეტი, რაც დაუკანონდა გამგეობის მიერ, ამასთან მიწის ნაკვეთის ზომები გაზრდილია, ასევე გაზრდილია ნ.

გ-ძის სახლის ზომა, რაც არ შეესაბამება სახლის ამჟამინდელ ზომას, რითაც მოპასუხე იჭრება მოსარჩელის ეზოში, რაც ქმნის რეესტრის ჩანაწერის გაუქმების საფუძველს. აპელანტის მითითებით, მას პრეტენზია არ გააჩნია მოპასუხე გ. ქ-ძის სახელზე დარეგისტრირებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმართ, იგი სადავოდ ხდის მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთს, რომელსაც მოპასუხე ფლობს უკანონოდ.

ბ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ ცნეს მოწინააღმდეგე მხარეებმა – ნ. გ-ძემ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა სასამართლო ექსპერტიზა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით ბ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1953 წლის 25 აგვისტოს №15 დასტურის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და მის ქვეშ არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ს. ჯ-ოვს. 1953 წლის 27 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით დ. გ-ძემ ს. ჯ-ოვისაგან შეიძინა ქ. ქობულეთში, №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის მიერ 2006 წლის 27 ივლისს გაცემული ცნობის თანახმად, ქ. ქობულეთში, №128-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 1/2 ნაწილი ან გარდაცვლილი დ. გ-ძის, ხოლო 1/2 ნაწილი მ. გ-ძის საკუთრებად. ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილებით დაკმაყოფილდა ნ. გ-ძის თხოვნა და მას დაუკანონდა მის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართით 125,8 კვ.მ. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს სარეგისტრაციო მონმობით ქ. ქობულეთში, №126-ში მდებარე ნ. გ-ძის კუთვნილი სახლის საერთო სასარგებლო ფართია 125,8 კვ.მ, მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქობულეთის გამგეობის 2004

ნლის 30 იანვრის №3 დადგენილების, ცნობა-დახასიათების, ტექნიკური პასპორტისა და სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე ნ. გ-ძე რეგისტრირებულია ქ. ქობულეთში, ... №126-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. საჯარო რეესტრის მიერ 2006 წლის 20 იანვარს გაცემული ცნობის თანახმად, გ. ქ-ძის სახელზე რეგისტრირებულია ქ. ქობულეთში, ... №124-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ბ. მ-ძის სახელზე საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა რეგისტრირებული არ არის, მაგრამ მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ქ. ქობულეთში, ... №128-ში მდებარე საცხოვრებელ სახლსა და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/2 ნაწილს, რაც რეგისტრირებული იყო აწ გარდაცვლილი დ. გ-ძის სახელზე, ფლობს ბ. მ-ძე, როგორც მემკვიდრე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ბ. მ-ძემ და მისმა ნახევარძმამ – მ. გ-დმა მიიღეს დედის – დ. გ-ძის დანაშთი სამკვიდრო 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის 1/2 ნაწილი მ. გ-დს თავის სახელზე აქვს რეგისტრირებული. მოსარჩელე, როგორც მემკვიდრე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დავობს 633 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რამდენადაც აღნიშნული არ შედიოდა დ. გ-ძის სამკვიდრო მასაში და ამ უკანასკნელს თავის სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია თავისი ნაკვეთის მიტაცების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნ. გ-ძის სახლის სახურავის კარნიზი 30 სმ-ით სცილდება სახლის პერიმეტრის ზომას, ვიზუალური დაკვირვებით, ნ. გ-ძის სახლის უკანა ნაწილი გადადის მიმდებარე ნაკვეთის საზღვრებისაკენ. საცხოვრებელ სახლებს შორის მანძილი 1,6 მ უნდა იყოს და დ. გ-ძის მემკვიდრეთა ეზოს სიგანე – 13,95 მ, რაც ამჟამად მხოლოდ სახლების ფასადების სიბრტყეშია, ტროტუართან, რუსთაველის ქუჩის მხარეს, იგი შეადგენს 12,5 მ-ს. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, ნ. გ-ძის ნაკვეთის და სახლის სიგანე უნდა იყოს 8,1 მ, ამჟამად საცხოვრებელი ფართი იკავებს დაახლოებით 12,9 კვ.მ მიწის ნაკვეთს. დ. გ-ძის მემკვიდრეები ფაქტობრივად ფლობენ 1050 კვ.მ მიწის ნაკვეთს, სახლთმფლობელობა კი – 514 კვ.მ-ია. დ. გ-ძის მიერ შეძენილი 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ხარჯზე გაიზარდა ნ. გ-ძისა და გ. ქ-ძის მიწის ნაკვეთების ფართობი. სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში არ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა იმ მოტივით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა დ. გ-ძის მიერ 1500 კვ.მ

მიწის ნაკვეთის შეძენის ფაქტი. დ. გ-ქმ მხოლოდ 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი მიიღო ს. ჯ-ოვისაგან და მოგვიანებით მასზე მოიპოვა საკუთრების უფლება, რაც თანაბარწილად დაუტოვა მემკვიდრეებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1953 წლის 25 აგვისტოს №15 წერილობითი დასტურით დგინდება დ. გ-ძის მიერ ს. ჯ-ოვისაგან ერთსართულიანი შენობისა და მის ქვეშ არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი დასტური მიუთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ქ. ქობულეთში, №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ს. ჯ-ოვს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი 1953 წლის 27 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დ. გ-ქმ ს. ჯ-ოვისაგან შეიძინა ქ. ქობულეთში, №106-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის გარდაცვალების შემდეგ, საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მდებარეობა და საზღვრები შენარჩუნებულია და მათ რაიმე ცვლილება არ განუცდიათ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა მიწის ნაკვეთის გამოთხოვის შესახებ ბ. მ-ძის მოთხოვნის უსაფუძვლობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და მიუთითა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის №806 დადგენილებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომებს უფლება მიეცათ მოეხდინათ გამონაკლისის სახით, 1974 წლის სექტემბრიდან თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი რეგისტრაცია, თუ მათი სასარგებლო ფართი არ აღემატება 136 კვ.მ-ს, ხოლო საცხოვრებელი ფართი – 96 კვ.მ-ს. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მარტის №156 დადგენილებით, ცვლილება შევიდა №806 დადგენილებაში და ამოღებულ იქნა სიტყვები „1974 წლის სექტემბრამდე“ და „თუ მათი სასარგებლო ფართი არ აღემატება 136 კვ.მ-ს, ხოლო საცხოვრებელი ფართი – 96 კვ.მ-ს“.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1957 წლიდან ნ. გ-ძის ფაქტობრივ მფლობელობაშია სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკანონებული საცხოვ-

რეზერვული სახლი საერთო სასარგებლო ფართით – 125,8 კვ.მ, საჯარო რეესტრის ჩანაწერით მიწის ნაკვეთი, რომელზეც საცხოვრებელი სახლია განთავსებული, რეგისტრირებულია ნ. გ-ძის საკუთრებად. ამდენად, 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილება გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილება არ ეწინააღმდეგება კანონს, არ არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, რის გამოც არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1983 წლის №806 დადგენილება, რომელიც არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და არ შეუძენია იურიდიული ძალა. ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სსრ 1953 წლის სამოქალაქო კოდექსის 182-ე, 182¹-ე, 182²-ე, 189-ე მუხლები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.1, 53.5, 105-ე, 106-ე მუხლები, სათანადოდ არ გამოიკვლია საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ შეაფასა ისინი.

კასატორის მითითებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ დ. გ-ძემ ს. ჯ-ოვისაგან შეიძინა მხოლოდ 900 კვ.მ, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო №15 დასტურის თანახმად. იმ პერიოდისათვის ქალაქად ზღვრული ნორმა განისაზღვრებოდა 600 კვ.მ-ით. ვინაიდან ნოტარიულად ნასყიდობის ხელშეკრულებაში ვერ გაფორმდებოდა ზღვრულ ნორმაზე მეტი, აღნიშნულმა განაპირობა №15 დასტურის დადება მხარეებს შორის, რითაც იურიდიულად ორივე დოკუმენტის თანახმად, დ. გ-ძე გახდა 1500 კვ.მ-ის მფლობელი და მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერვე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, დასკვნის მე-8 პუნქტი, თუმცა საქმეზე არსებული მტკიცებულებებით აღნიშნული და-

დასტურებულია.

კასატორის მითითებით, დავის საგანს წარმოადგენდა ასევე ქობულეთის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების ბათილად ცნობა, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დარღვეული იყო აქტის მიღებისა და გამოცემის ადმინისტრაციული წარმოების წესები. ნ. გ-ძეს ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ წარუდგენია არანაირი დოკუმენტაცია სახლის მფლობელობის დასადასტურებლად, არც მინის ნაკვეთის გამოყოფასა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეგროვებინა და გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კერძოდ, დაეთვალა რეგისტრირებული მოვლენის ან შემთხვევის ადგილი, დაეკითხა მოწმეები, დაენიშნა ექსპერტიზა, ეცნობებინა დაინტერესებული მხარეებისათვის, მიეღო მოსარჩელისაგან ახსნა-განმარტება, ჩატარებინა კოლეგიური ორგანოს სხდომა.

მონინალმდეგე მხარემ ნ. გ-ძემ წარმოდგენილ შესაგებელში არ ცნო საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი დაუშვებლად ცნობა, ხოლო დაშვების შემთხვევაში მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

მოსარჩელეს კანონიერი უფლების დასადასტურებლად, 1953 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება და დასტური არ წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს. საჯარო რეესტრის მონაცემები არის სწორი, მრავალწლიანი დავის მიუხედავად, კასატორმა ვერცერთ ეტაპზე ვერ დაამტკიცა ჩანაწერთა უზუსტობა, მეტიც, იგი დღესაც არ ითვლება მესაკუთრედ, ვინაიდან საკუთრება დღემდე არ აქვს რეგისტრირებული კანონით დადგენილი წესით. კასატორის არგუმენტი 1983 წლის 23 დეკემბრის დადგენილებასთან დაკავშირებით და იუსტიციის სამინისტროს წერილი, აღნიშნული აქტის რეესტრში დაურეგისტრირებულობის შესახებ, არ ნიშნავს, რომ ასეთი კანონი არ გამოცემულა.

მონინალმდეგე მხარემ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოდგენილი მოსაზრებით არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მისი დაუშვებლად ცნობა, შემდეგი მოტივით: ქობულეთის რაიონის გამგეობის სადავო დადგენილება მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის №806 დადგენილებით საქალაქო აღმასკომს უფლება მიეცა მოახდინონ, როგორც გამონაკლისი 1974 წლის სექტემბრიდან თვითნებურად აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი რე-

გისტრაცია.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (პროცესუალური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების კანონიერების, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სასამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ასევე სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი – განჩინება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოტივს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონსაწინააღმდეგობის თაობაზე, რომ სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემონმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემონმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოე-

ბის არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია კანონიერად ქობულეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და უცვლელად დატოვა, რომ საერთოდ არ უმსჯელია აპელანტის მოტივზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის არასწორად გამოყენების თაობაზე, კერძოდ, აპელანტი უთითებდა, რომ რაიონულ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1983 წლის №806 დადგენილება, ვინაიდან ის არ არის რეგისტრირებული საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, რის გამოც იურიდიული ძალა არ გააჩნია, აღნიშნულზე წარადგინა კიდევ სათანადო მტკიცებულება. უფრო მეტიც, თავად სააპელაციო სასამართლო აღნიშნული დადგენილების საფუძველზე კანონიერად მიიჩნევს სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 30 იანვრის №3 დადგენილებას, ისე, რომ არ აქარწყლებს აპელანტის არგუმენტს იურიდიული ძალის არმქონე ნორმის გამოყენების შესახებ.

საკასაციო სასამართლო 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა ამ კანონის ძალაში შესვლამდე გამოცემული და მოქმედი ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარების უზრუნველყოფა 1997 წლის 25 ნოემბრამდე და მიენიჭა უფლებამოსილება – ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების (მიუხედავად დასახელებისა) სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების საკითხის გადამწყვეტისა (ნაწილი მესამე).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიღებით განისაზღვრა ნორმატიული აქტების სახეები, მათი იერარქია, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილი საქართველოს ნორმატი-

ულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგადი წესები, ხოლო მათი აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ამავე კანონის 53-ე მუხლით დადგინდა საქართველოს ნორმატიულ აქტების სახელმწიფო რეესტრის შექმნა, რომელშიც უნდა შევიდეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი.

საკასაციო სასამართლო აფასებს რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის №806 დადგენილების სამართლებრივ ბუნებას, განმარტავს, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება განეკუთვნებოდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ ამოქმედების შემდეგ მისი გამოყენება დასაშვები იყო მხოლოდ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში აღრიცხვა ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს, სამართლებრივი ურთიერთობებისა და საქვეყნოობის პრინციპებს, უზრუნველყოფს პირის კანონიერი ნდობის უფლებას – სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი წესრიგის შესახებ იყოს ინფორმირებული, მისთვის მოსალოდნელი შესაძლო სამართლებრივი შედეგის დადგომის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია კანონიერად სადავო აქტი, რომ საერთოდ არ უმსჯელია შეიცავს თუ არა იგი საერთოდ მითითებას სამართლებრივ საფუძვლებზე, ისე გაიზიარა მოპასუხე ქობულეთის გამგეობის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ იგი გამოიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო დადგენილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს ამავე კოდექსის IV თავის ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და გამოცემული უნდა იყოს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სა-

ხით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი ნაწინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიწვია იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო

უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს განაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა ადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის სანაღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება და გამოცემა საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული და ყოველ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია საჯარო ვალდებულება ზედმინევით დაიცვას იგი, თავის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება განაპირობებს დაინტერესებულ პირთა კანონიერ მოლოდინს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო აქტი არ შეიცავს რა რაიმე მითითებას მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე, პრაქტიკულად ქვემდგომმა სასამართლოებმა თავად მოახდინეს აქტით მოწესრიგებული ღონისძიების (სახლის დაკანონება) სამართლებრივი კვალიფიკაცია, მოპასუხის განმარტების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი კუთხით დასაბუთების ვალდებულების თაობაზე გამორიცხავს აქტის განაჩივრებისას შემდეგ სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენის შესაძლებლობას, ვინაიდან სწორედ საკითხის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, დადგენილი გარემოებებისათვის სამართლის ნორმის შეფარდება უნდა განაპირობებდეს აქტის სამართლებრივ შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტის კანონიერების შემოწმებისას ადმინისტრაციული ორგანოს ასეთივე წარმატებით შეუძლია მიუთითოს ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება გაამართლოს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერე-

ბის საკითხი. სწორედ, ამგვარი სამომავლო ინტერპრეტაციების თავიდან არიდებას ემსახურება მიღებული გადაწყვეტილების არა მომავალ დროში, არამედ, მიღებისას საკითხის გადანყვევების დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ორგანოების პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, მათი გადაწყვეტილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უკომპრომისო შემოწმების მეშვეობით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას და ემსახურება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური – ხელისუფლების დანაწილების და ურთიერთგანონასწორების პრინციპის რეალიზაციას.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გაუქარწყლებია აპელანტის არგუმენტი, რომ სადავო აქტი გამოცემულია კანონდარღვევით, სასამართლოს მსჯელობა, რომ აქტი გამოცემულია გამგეობის მიერ და შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ გამგეობის კომპეტენციას, რომლის თანახმად, გამგებელი ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს, დაუსაბუთებელია და არ არის საკმარისი სადავო აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების დასადასტურებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავის ნორმებით განსაზღვრულია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების წესი. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ გაუქარწყლებია აპელანტის არგუმენტი, რომ სადავო დადგენილება მიღებული არ არის კოლეგიური ორგანოს მიერ, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე არ გამოუთხოვია ასეთის დამადასტურებელი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 104-106-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებები, კერძოდ, გამგეობის სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ოქმი. სწორედ აღნიშნული მტკიცებულებების შეფასება შეიძლება დაედოს საფუძველად აპელანტის მოტივის გაზიარებას ან უარყოფას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებას მხოლოდ უფლებამოსილი პირის ხელ-

მონერა არ აქცევს კანონიერ გადაწყვეტილებად. სასამართლომ ამ ნაწილში უგულებელყო სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დანაწესი შემდეგზე, რომ საქმის გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების იურიდიული ფაქტი შეიძლება (და უნდა) დადასტურდეს მხოლოდ ორგანოს სხდომის დღის წესრიგით და სხდომის ოქმით, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოკვლეული და შეფასებული არ არის (სააპელაციო სამართალწარმოებით, მათ შორის სხდომის ოქმით, აღნიშნულ მტკიცებულებათა გამოკვლევა არ დასტურდება). ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი სამართლებრივი დასკვნები არ გამომდინარეობს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურად გამოკვლეულ და დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებიდან.

აგრეთვე, სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს შეფასება და დასკვნა, რომ სადავო აქტის მომზადება-გამოცემის სტადიაზე მესამე პირების ჩაუბმელობა არ წარმოადგენს არსებით დარღვევას, ვინაიდან ასეთის შემთხვევაშიც მიღებული იქნებოდა იგივე გადაწყვეტილება, რადგან სასამართლო არ ასაბუთებს თუ რატომ, რომელი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე მივიდა ამგვარ დასკვნამდე.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიდა და არ უმსჯელია ქობულეთის გამგეობის სადავო დადგენილებით საცხოვრებელი სახლის და მისი საერთო სარგებლობის ფართის განსაზღვრისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მოახდინა თუ არა ნ. გ-ძის მომიჯნავე მეზობლების სარგებლობაში (საკუთრებაში) მყოფი მიწის ნაკვეთებთან გადაფარვის საკითხის გამოკვლევა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება გამოკვლეული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნით. სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას დ. გ-ძის მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთის ხარჯზე, ნ. გ-ძის და გ. ქ-ძის ნაკვეთების ფართობების გაზრდის ნაწილში, იგი არ გაიზიარა. სსსკ-ის 172-ე მუხლით განსაზღვრულია ამ სახის მტკიცებულების – ექსპერტიზის დასკვნის შეფასების წესი, კერ-

ძოდ, იგი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის და მისი შეფასება ხდება სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე უნდა დასაბუთდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს მინის ნაკვეთების ოდენობის საკითხი და შეფასება მისცეს მას სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კონტექსტში, კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას რა ფაქტობრივი გარემოებები გამოიკვლია და დაადგინა, რასაც დააფუძნა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს ექსპერტიზის დასკვნას ყველა საკითხზე და მითითებული მტკიცებულების სამართლებრივი გამოკვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სამართლებრივი დასკვნები.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების და დასტურის თაობაზე, რამდენადაც სასამართლო არ მიიჩნევს რა მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლიანად, არ აქარწყლებს მის არგუმენტებს შემდეგზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დათქმავა გაკეთებული დასტურზე. სასამართლო ვალდებულია დასაბუთებულად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბოს სასამართლო დასკვნები, პროცესუალური მონაწილეების ყველა მნიშვნელოვანი არგუმენტის გაზიარება-გაქარწყლების თვალსაზრისით, რაც გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული არ არის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ სადავო აქტის კანონიერება შეამოწმა მხოლოდ მოსარჩელის სამოქალაქო უფლებრივი თვალსაზრისით, ხოლო რამდენად შეესაბამება იგი ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, შეფასების მიღმა დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს

ზემოთითებული გარემოებები და დავა გადანყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადანყვიტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. მ-ძეს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადანყვიტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას**

განჩინება

№ბს-122-115(2კ-13)

28 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: შპს „...“

მოპასუხეები: ქ. თბილისის მერია; ქ. თბილისის მერიის ზე-
დამხედველობის საქალაქო სამსახური

სარჩელის სახე: – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-
სის 22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-
ხურის 2012 წლის 17 აპრილის №000315/ს დადგენილება;

2. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარ-
გულება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2011 წლის 2 ნოემბერს ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის მიერ №1346 დადგენილების თა-
ნახმად სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველით დაჯა-
რიმდა შპს „...“.

აღნიშნული დადგენილება შპს „...“ დირექტორმა გაასაჩივრა
ქ. თბილისის მერიაში.

2011 წლის 20 დეკემბრის №12/159542-1 პასუხით შპს „...“
ეცნობა მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უა-
რი საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, რომელიც შპს „...“ ჩა-
ბარდა 2011 წლის 27 დეკემბერს.

2012 წლის 6 იანვარს შპს „...“ სრულად დაფარა დაკისრებუ-
ლი ჯარიმა.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-

რის 2012 წლის 17 აპრილის №4-1/დ264-12 დადგენილებით შპს „...“ ჯარიმის დროულად გადაუხდელობის გამო დაეკისრა საურავი, რომელიც გაასაჩივრა შპს „...“ დირექტორმა ქ. თბილისის მერიასში.

ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარგულებით შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №0001368 დადგენილებით სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა დროულად, რის გამოც საურავის დაკისრების შესახებ დადგენილება უკანონოა, ვინაიდან მოსარჩელემ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული დადგენილება ჯარიმის დაკისრების შესახებ გაასაჩივრა საჩივრით, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძველია.

მოსარჩელის წარმომადგენელს ასევე უკანონოდ მიაჩნია ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარგულება, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა გაუქმდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 184.1 მუხლების საფუძველზე.

მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

ფაქტობრივი: – მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად გამოიკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღო 2012 წლის 17 აპრილის №4-1/დ264-12 დადგენილება – შპს „...“ მიმართ საურავის დაკისრების თაობაზე. დადგენილება მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 11 ნოემბერს, ჯარიმა გადაიხადა 2012 წლის 6 იანვარს, შესაბამისად, ჯარიმა ვადაში არ გადაუხდია. ამასთან, მოპასუხის აზრით, მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, თუ რაში მდგომარეობს გასაჩივრებული დადგენილების უკანონობა და ვერ ასახელებს გარემოებას, რომლის გამოკვლევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

სამართლებრივი: მოპასუხის წარმომადგენელს სასარჩელო

მოთხოვნის სამართლებრივ უსაფუძვლობაზე მსჯელობა არ წარმოუდგენია.

მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა შესაგებლით არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: სარჩელი დაუსაბუთებელია, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილია ადმინისტრაციული საჩივარი. ასეთად კი ვერ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ მერიაში 2011 წლის 24 ნოემბერს წარდგენილი №12/159542-1 დოკუმენტი, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დასათაურებულია, როგორც საჩივარი, ვინაიდან მისი შინაარსი შეესაბამება განცხადებას. ამიტომ განცხადების წარდგენა ვერ შეაჩერებდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას, რომლითაც შპს „...“ დაეკისრა ჯარიმის გადახდა.

შპს „...“ დირექტორი მოითხოვდა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მიღებული დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას, რისი უფლებამოსილებაც მერიას, როგორც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა.

სამართლებრივი: სარჩელის იურიდიული უსაფუძვლობის დასამტკიცებლად მოპასუხემ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 61-ე მუხლი; „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი.

საქმის გარემოებები: შპს „...“ ... გზატკეცილზე №25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მინიჭებული აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 4 000 ლარით მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობის პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის. შპს „...“ დაეკისრა ჯარიმის გადახდა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილება შპს „...“ ჩაბარდა 2011 წლის 11 ნოემბერს.

2011 წლის 24 ნოემბერს შპს „...“ დირექტორის მიერ ქ. თბილისის მერიაში შეტანილ იქნა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

ხურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების ძალა-დაკარგულად გამოცხადება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 27 დეკემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს „...“ უარი ეთქვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმა შპს „...“ გადაიხადა 2012 წლის 6 იანვარს.

2012 წლის 4 აპრილს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შპს „...“ მიმართ შეადგინა შემოწმების აქტი №000315 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 17 აპრილის დადგენილებით შპს „...“ დაერიცხა საურავი 4 000 ლარის ოდენობით.

2012 წლის 7 მაისს შპს „...“ დირექტორმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა 2012 წლის 17 აპრილის დადგენილების ბათილად ცნობა, რომელიც ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

შპს „...“ ... გზატკეცილზე №25-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მინიჭებული აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 4 000 ლარით მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობის პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის. შპს „...“ დაევალა ჯარიმის გადახდა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილება შპს „...“ ჩაბარდა 2011 წლის 11 ნოემბერს.

2011 წლის 24 ნოემბერს შპს „...“ დირექტორმა ქ. თბილისის

მერიაში შეიტანა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 27 დეკემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს „...“ უარი ეთქვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმა შპს „...“ გადაიხადა 2012 წლის 6 იანვარს.

2012 წლის 4 აპრილს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შპს „...“ მიმართ შეადგინა შემოწმების აქტი №000315 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 17 აპრილის №4-1/დ 264-12 დადგენილებით შპს „...“ დაერიცხა საურავი 4 000 ლარის ოდენობით.

2012 წლის 7 მაისს შპს „...“ დირექტორმა საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 17 აპრილის №000315/ს დადგენილების ბათილად ცნობა.

თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარგულებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა ვადის დარღვევით, შესაბამისად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საურავის დარიცხვის თაობაზე.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 178-ე, 185-ე, 201-ე მუხლებით, რომელთა საფუძველზე დაასკვნა, რომ 2011 წლის 24 ნოემბერს შპს „...“ დირექტორის განცხადება (რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება), ვერ იქნებოდა მიჩნეული ადმინისტრაციულ საჩივრად. ხო-

ლო აქტის მოქმედება ჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ორგანოში წარდგენილია ადმინისტრაციული საჩივარი.

აპელანტი: შპს „...“ დირექტორი ი. მ-ი

მონინალმდგვე მხარეები: ქ. თბილისის მერია

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავო ფაქტობრივ გარემოებად, თითქოს 2011 წლის 24 ნოემბერს ქალაქის მერიაში შეტანილ იქნა „განცხადება“ და არა ადმინისტრაციული საჩივარი, რომ სწორედ ამ წერილობითი პრეტენზიის სამართლებრივი ბუნება წარმოადგენს მოცემული დავის საკვანძო საკითხს და რომ მერიის მიერ „განცხადებად“ კვალიფიკაცია გახდა აპელანტისთვის საურავის უსაფუძვლოდ დაკისრების და სასამართლო დავის საფუძველი. აპელანტის შეფასებით, საქმის ერთადერთი სადავო საკითხის უდავო ფაქტობრივ გარემოებებში მითითება ნათლად მეტყველებს გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე;

სასამართლო არასწორად უთითებს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას, 100 ლარს, ნაცვლად 200 ლარისა.

სამართლებრივი: 2011 წლის 24 ნოემბერს ქალაქის მერიაში შეტანილი დოკუმენტის ბუნების გასარკვევად აპელანტი ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტს – ადმინისტრაციული საჩივრის დეფინიციას; სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა, თუ ადმინისტრაციული საჩივრის განმარტების რომელ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს მათ მიერ წარდგენილი პრეტენზია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 178-ე მუხლების განმარტებას არ მივყავართ იმგვარ დასკვნამდე, რომ ზოგადად, საჩივრით არ შეიძლება აქტის ძალდაკარგულად გამოცხადების მოთხოვნა. მითითებული ნორმები წარმოადგენს პროცესუალურ ნორმებს, შესაბამისად, მათი გამოყენება ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განსამარტავად არამიზანშეწონილია, როდესაც ამ უკანასკნელთა დეფინიციები ცალსახად არის მოცემული კოდექსში.

მათი წერილობითი პრეტენზიის შინაარსი ცალსახად მიუთითებს, რომ ეს იყო არა განცხადება, რომლითაც პირი ითხოვს გარკვეული ქმედების განხორციელებას, არამედ საჩივარი, რომელიც მიზნად ისახავდა დარღვეული უფლების აღდგენას და დასაბუთებულად მიუთითებდა მერიის ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ნაკლოვანებებზე. შედარებისთვის აპელანტი უთითებს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი მიმართულია დარღვეული უფლების აღდგენისაკენ, ხოლო განცხადება – უფლების მოპოვებისაკენ.

მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა წერილობით შესაგებელში არ ცნო აპელაცია და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოტივები:

ფაქტობრივი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 4 000 ლარით და დაევალა ჯარიმის გადახდა. დადგენილება შპს „...“ ჩაბარდა 2011 წლის 11 ნოემბერს, ხოლო დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა 2012 წლის 6 იანვარს. სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №12/159542-1 ადმინისტრაციული აქტით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ მოთხოვნა ამ დადგენილების ძალადაკარგულად მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაც მხარეს არ გაუსაჩივრებია და შესულია კანონიერ ძალაში, ამდენად უდავოა, რომ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა არ მომხდარა, შესაბამისად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების შეჩერების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და არ არსებობს დღეის მდგომარეობითაც.

სამართლებრივი: მხარეს აპელაციის იურიდიული უსაფუძვლობის ნორმატიული დასაბუთება არ წარმოუდგენია.

მოწინააღმდეგის შეპასუხება: ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა წერილობით შესაგებელში არ ცნო სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოტივები:

ფაქტობრივი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 4 000 ლარით, დადგენილება შპს „...“ ჩაბარდა 2011 წლის 11 ნოემბერს, სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №12/159542-1 ადმინისტრაციული აქტით არ დაკმაყოფილდა შპს „...“ მოთხოვნა ამ დადგენილების ძალადაკარ-

გულად მოთხოვნასთან დაკავშირებით, აპელანტმა დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა 2012 წლის 6 იანვარს, ხოლო ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის საფუძველით, 2012 წლის №000315/ს დადგენილებით დაერიცხა საურავი, რაც გასაჩივრდა მერიაში.

სამართლებრივი: აპელანტი სააპელაციო საჩივრის იურიდიული უსაფუძვლობის ნორმატიულ დასაბუთებად უთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე და 184-ე მუხლებს და განმარტავს, რომ ფიზიკურად შეუძლებელია 2011 წლის 24 ნოემბერს შპს „...“ დირექტორის მიერ ქ. თბილისის მერიაში შეტანილი განცხადების (რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება) ადმინისტრაციულ საჩივრად განხილვა, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, რადგან მას ზემდგომი ორგანო ვერ განიხილავდა, ხოლო მის გამომცემ ორგანოს არ ჰქონდა მისი განხილვის უფლებამოსილება, ვინაიდან აქტი გამოცემული იყო სამსახურის უფროსის მიერ, რომელსაც ზემდგომი თანამდებობის პირი ადმინისტრაციულ ორგანოში არ ჰყავს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მღებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 17 აპრილის №000315/ს დადგენილება და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 27 ივნისის №1691 განკარგულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი:

აპელაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ შეაფასა რა 2011 წლის 24 ნოემბერს შპს „...“ დირექტორის მიერ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი საჩივარი (რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 2 ნოემბრის №001368 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება) მისი შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმი-

ნისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვე-
პუნქტის ადმინისტრაციული საჩივრის დეფინიციის საფუძველ-
ზე დაასკვნა, რომ დანტერესებული პირის – შპს-ის მიერ უფ-
ლებამოსილ ორგანოში – ქ. თბილისის მერიაში აქტის გასაჩივ-
რებისთვის დადგენილ ვადაში წარდგენილ იქნა წერილობითი
მოთხოვნა – საჩივარი დარღვეული უფლების აღდგენის მიზ-
ნით. სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს
მტკიცება, რომ რაკი საჩივარი არ შეიცავს მოთხოვნას აქტის
ბათილად ცნობის შესახებ, იგი არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული
საჩივრად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-
სის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე
განმარტა, რომ განცხადების მიზანი უნდა იყოს უფლების მო-
პოვება, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან. შპს-ის 2011 წლის
24 ნოემბრის საჩივარში გაცხადებული მოთხოვნის მიზანს წარ-
მოადგენს არა რაიმე უფლების მოპოვება, რომელიც დაკავში-
რებულია ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის გამოცემასთან, არამედ დარღვეული უფლე-
ბის აღდგენა – სადავო აქტის გაუქმება, რომლის საფუძველად
მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-
დექსის 61-ე მუხლი. სასამართლოს შეფასებით, ის, რომ მხარემ
მოითხოვა აქტის გაუქმება არა ბათილად, არამედ, ძალადაკარ-
გულად ცნობის სახით, არ იძლევა შპს-ის საჩივრის განცხადე-
ბად მიჩნევის საფუძველს. აღნიშნული დასკვნიდან გამომდი-
ნარე, სასამართლოს შეფასებით, აპელანტის მიერ საჩივრის ვა-
დაში წარდგენის გამო არსებობდა სადავო აქტის მოქმედების
შეჩერების სამართლებრივი საფუძველი საქართველოს ზოგა-
დი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მიხედვით, ამ-
დენად, უკანონოა მხარისთვის საურავის დარიცხვა, ისევე რო-
გორც მის კანონიერებასთან დაკავშირებით ზემდგომი ორგა-
ნოს მიერ გამოცემული განკარგულება.

კასატორი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-
ლაქო სამსახური;

კასატორი: ქ. თბილისის მერია

მონინალმდევე მხარე: შპს „...“; დირექტორი – ი. მ-ი

**ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-
სახურის კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემ-
ბრის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ახალი გადან-
ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: სააპელაციო სასამართლოს მიერ საკანონმდებლო ნორმების არასწორი განმარტება.

მატერიალური: სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი. მაშინ, როცა ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ აქტის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი შეიძლება იყოს რაიმე კონკრეტული პირობა, კანონისმიერი ან ფაქტობრივი, და არა ის გარემოება, რომ აქტის გამოცემის დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია კანონი და არასათანადოდ შეისწავლა საქმის გარემოებები. ამ კუთხით, როგორც მხარის წერილობითი მოთხოვნა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არა მხოლოდ დაუსაბუთებელია, არამედ მასში საერთოდ არ არის აღნიშნულზე მსჯელობა. სასამართლომ ვერ განასხვავა და ვერ დაასაბუთა აქტის „ძალადაკარგულობის“ სამართლებრივი ბუნება. აუცილებელია განვასხვაოთ ადმინისტრაციული საჩივრის ბუნება – დარღვეული უფლების აღდგენა, რასაც საფუძვლად დაედება თავად ადმინისტრაციული აქტის ხარვეზი კანონისმიერი ან ფაქტობრივი და აქტის ძალადაკარგულად ცნობის სამართლებრივი ბუნება – საკუთრივ ადმინისტრაციული აქტისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად მომავალში დამდგარი პირობა, კანონისმიერი ან ფაქტობრივი.

ქ. თბილისის მერიის კასაციის საგანი და მოცულობა / ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

პროცესუალური: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლი სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმების განმარტება სრულად ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებს.

მატერიალური: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე არ არსებობდა საურავის დარიცხვის შესახებ აქტის შეჩერების წინაპირობა, რადგან ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი არ ყოფილა. მხარემ წარადგინა კონკრეტული სამართლებრივი შედეგების მატარებელი მოთხოვნა „ძალადაკარგულად გამოცხადება“ და საფუძველს მოკლებული იყო, ადმინისტრაციულ ორგანოს ემსჯელა იმაზე, შემთხვევით სხვა რამეს ხომ არ გულისხმობდა განმცხადებელი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არც კი უმსჯელია, თუ რა პირობებს ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხ-

ლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის – ადმინისტრაციული საჩივრის დეფინიცია, კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, თუ რა დროს აკმაყოფილებს დოკუმენტი ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსს, რომ არც ერთ ოთხ პირობაში ნახსენები არ არის აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, რა დროსაც სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული საჩივარი.

გადანყვეტილება საერთოდ დაუსაბუთებელია, საერთოდ არ არის მსჯელობა, თუ ვის უნდა განეხილა №12/159542-7 განცხადება უწყებრივი ქვემდებარეობის თვალსაზრისით. ასეთი უწყება და უფლებამოსილი ორგანო ფიზიკურად არ არსებობს და კითხვაზე: თუ ვის უნდა განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი, სასამართლოს პასუხი იყო: „რა მნიშვნელობა აქვს“, გამოდის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული საჩივარი და არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანო, ვინც უფლებამოსილია განიხილოს ასეთი, რასაც სრულ უტოპიამდე მივყავართ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, ფიზიკურად შეუძლებელია №12/159542-7 განცხადების განხილვა მომხდარიყო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ხოლო თუ №12/159542-7 განცხადებას საჩივრად განვიხილავთ, მას ვერც ზედამხედველობის სამსახური განიხილავდა, რადგან აქტი გამომცემი იყო სამსახურის უფროსის მიერ და ვერც თბილისის მერია, რადგან მას აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე მსჯელობის უფლება არა აქვს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება აგებულია იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი დასათაურებული იყო, როგორც საჩივარი. კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული საჩივრის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გააჩნდეს დოკუმენტს, თუ მისი შინაარსი აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საჩივრისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ამ დროს განმსაზღვრელია არა სათაური, არამედ შინაარსი.

გადანყვეტილებაში საერთოდ არ არის ნამსჯელი გასაჩივრების ვადებზე. სამშენებლო საქმეზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 13.18 მუხლის თანახმად, დადგენილება უნდა გასაჩივრდეს 15 დღის ვადაში. აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მიმართ კი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საერთოდ არ მოქმედებს გა-

საჩივრების ვადები.

კასატორმა – ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა ლ. მემ 2013 წლის 28 მარტს წარმოადგინა მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა კასაციის დასაშვებად ცნობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, როგორც აბსოლუტური კასაცია იმ მოტივით, რომ ქვემდგომი სასამართლოების ხედვა ფუნდამენტალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რის გამოც სწორი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია მოცემულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს განმარტება.

მონინალმდევის შეპასუხება: შპს „...“ წარმომადგენელმა გ. ს-მა წარმოადგინა მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ კასატორებმა ვერ დაასაბუთეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკასაციო საჩივრების დასაშვებად მიჩნევის პროცესუალური წინაპირობები.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 16 აპრილის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს არ დაურღვევია მატე-

რიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა მატერიალური სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი განმარტების საფუძველზე.

კასაციის დაშვების წანამდღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე: წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რიგი მუხლები და შეაფასოს კანონის შინაარსთან რამდენად შესაბამისად იყენებს მათ თვითმმართველობის ორგანო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ განმარტოს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სახეები, ასევე, ადმინისტრაციული საჩივრის და მისი დასაშვებობის შემონგების საკითხი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან პირის მიერ შეტანილი საპროცესო დოკუმენტების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრა და მათი სტატუსის დადგენა.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს, განსაზღვრავს კანონიერი მმართველობის მიზანსა და პრინციპებს, სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს, ადამიანის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწო-

რი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაციასთან, რაც კანონით დადგენილი რამდენიმე ფორმით ხორციელდება, რომელიც თავის მხრივ, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს შემოწმებისა და შეფასების სფეროს. ამდენად, საჯარო მოხელეების მხრიდან პირის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების ზუსტი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერების, თანასწორობისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირობებში, როცა წარმოდგენილია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს დედაქალაქის თვითმმართველობის – მერიისა და მისი ერთ-ერთი სამსახურის იურიდიული ბიუროების, და მეორე მხრივ, ქვემდგომი სასამართლოების რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი შეფასებები ადმინისტრაციული საჩივრის დეფინიციისა და მისი დასაშვებობის შემოწმების გაგება-განმარტებასთან დაკავშირებით, ნათელია, რომ ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტების სწორი გამოყენება – განმარტება ჯერ კიდევ პრობლემატურია, და ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია შპს „...“ და დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოებს შორის, ფორმალურ-სამართლებრივ სფეროში, კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოებისას წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლება – მიმართოს სახელმწიფოს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას მისი ინტერესების დასაცავად, განეკუთვნება კონსტიტუციურ უფლებათა სისტემას. ადამიანის უფლებები იყოფა ორ ჯგუფად:

მატერიალური და პროცედურული უფლებები. პირის პროცედურულ უფლებათა რიგს მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება, მტკიცებულებათა წარდგენის უფლება, სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება, მოსაზრებათა წარდგენის უფლება, გასაჩივრების უფლება და ა.შ. სწორედ, პროცედურული უფლებების კანონით დადგენილი ფორმებით რეალიზაცია აძლევს პირს შესაძლებლობას დაიცვას ან აღიდგინოს თავისი მატერიალური უფლებები. სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპი გულისხმობს პროცედურული უფლებების შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება მატერიალური უფლებების ჯეროვან რეალიზაციასა და დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა პროცედურული უფლება-მოვალეობების საზოგადო წესებს დეტალურად განსაზღვრავს, მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფას.

ზემოთხსენებულ კონსტიტუციურ პრინციპს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური მუხლი ეძღვნება, კერძოდ, მუხლი 12. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, რომლის მიხედვით გარანტირებულია:

1. ნებისმიერი პირის უფლება – მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, და

2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმის სტრუქტურული შინაარსი გულისხმობს, რომ პირის უფლების დადგენა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – განახორციელოს რეალიზებული საპროცესო უფლების კანონით რეგლამენტირებული, ადეკვატური პროცედურული ხასიათის მოქმედება.

ადმინისტრაციული საჩივარი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი დეფინიციის მიხედვით რთული შემადგენლობისაა, კერძოდ,

1. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი უნდა იყოს დაინტერესებული მხარე;

2. ადმინისტრაციული საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი;

3. ადმინისტრაციული საჩივარი უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით დადგენილ წესს;

4. ადმინისტრაციული საჩივრის მიზანი უნდა იყოს დარღვეული უფლების აღდგენა;

5. ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი უნდა იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ბ) ადმინისტრაციული რეალაქტი.

6. ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარედგინოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს და მას კოდექსში სპეციალური – XIII თავი აქვს დათმობილი, რომლის დებულებები დეტალურად აწესრიგებს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის საკითხებსა და პროცედურას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განხორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუყვარძობლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწეს-

ყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადანიშნოს დავა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179 -ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს ნერილობით და პასუხობდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია კოდექსის 181-ე მუხლში – ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი, რომელიც თავის მხრივ, შედგება ფორმალური და მატერიალური ხასიათის რეკვიზიტებისაგან. ამავე კოდექსის 182-ე მუხლით განსაზღვრულია წინაპირობები, რომელთა არსებობის პირობებში ადმინისტრაციული საჩივარი არ ექვემდებარება განხილვას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო, სამართლებრივ შეფასებას აძლევს რა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივარს, განმარტავს, რომ დოკუმენტი ცალსახად არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლის დანაწესს, ანუ იგი სრულყოფილად არ პასუხობს კანონით დადგენილ ადმინისტრაციული საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ რეკვიზიტებს შინაარსობრივი თვალსაზრისით, რაც სანარმოს დაბალი იურიდიული კულტურის მაჩვენებელია. ეს საზოგადოდ, საქართველოს ბიზნეს-სექტორისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა და თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სანარმოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის კანონით დადგენილი წესით წარუდგენლობა არც ერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს მისი დასაშვებობის შემოწმების ვალდებულებებისაგან.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე, 186-ე და 198-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოქმედებს ნეგატიური დათქმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის ჩატარებისას რიგ შემთხვევებში გამოიყენება, როგორც მარტივი, ისე ფორმალური და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების შესა-

ბამისი ნორმებით გათვალისწინებული წესები და პროცედურული მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პირის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, მით უფრო, განცხადების ან საჩივრის ფორმით წარდგენა ინვეეს ადმინისტრაციული ორგანოს უპირობო ვალდებულებას, დაარეგისტრიროს იგი. რეგისტრაციის სტადია ინვეეს შემდეგი პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულებას - ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ორსაფეხურიანი პროცესის მეშვეობით:

- განცხადების/ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება;
- განცხადების/ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება.

დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში, განცხადების ან საჩივრის ფორმა, დასაშვებობის შემოწმების სტადია გულისხმობს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევას (უწყებრივი ქვემდებარეობა), რომლის წარმატებით გადალახვის პირობებში - ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე დავის გადაწყვეტილას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა. აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე - კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესე-

ბის პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივისცემის მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიუწვდომელობა, პროფესიული კავშირების საქმიანობის არაეფექტიანობა და სხვ., განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ, მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. სწორედ, თანამედროვე საჯარო მოსამსახურეების კეთილსინდისიერებაზე, ნებისყოფასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე არის მიბმული, თუ რამდენად მცირერიცხოვანი იქნება, ან რა მასშტაბებს მიიღებს მოქალაქეთა კონფლიქტი კანონთან. საჯარო სამსახურის არსი, ნამდვილი შინაარსი სწორედ ამგვარი შესაძლო კონფლიქტის პრევენციას გულისხმობს. თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის მხრიდან მითითებული პროფესიული და მორალური ტვირთის გასიგრძეგანება, საკუთარი სტატუსის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გათავისება უაღრესად დადებით როლს შეასრულებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებაში, საზოგადოების პოზიტიური განვითარების ტენდენციის გამოკვეთაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც

მოცემულ შემთხვევაში უგულვებლყოფილია“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე, ასახავს ჰპოვებს ამავე კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრულ დანაწესშიც, რომლის მიხედვით იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო კატეგორიულად ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ „მხარემ წარადგინა კონკრეტული სამართლებრივი შედეგების მატარებელი მოთხოვნა „ძალადაკარგულად გამოცხადება“ და საფუძველს მოკლებული იყო, ადმინისტრაციულ ორგანოს ემსჯელა იმაზე, შემთხვევით სხვა რამეს ხომ არ გულისხმობდა განმცხადებელი“, მსჯელობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებსა და პრინციპებთან სრული შეუსაბამობის გამო და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა – განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა, ნიშნავს ხარვეზის დადგენას, შესაბამისი მითითებებით და დაინტერესებული პირისთვის მისი გამოსწორების შესაძლებლობის მიცემას. აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები არაერთგან ამკვიდრებს ამგვარი სულისკვეთების მატარებელ წესებს, რაც სავსებით ლოგიკურია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით ფუნქციონირებადი კანონიერი მმართველობის უზრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლო, ასევე, სამართლებრივ შეფასებას აძლევს რა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ვ. მ-ის შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივართან დაკავშირებულ 2011 წლის 20.12. №12/159542-1 პასუხს, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი გადანაცვტილებას, მიაჩნია, რომ იგი საერთოდ არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით გათვალისწინებულ განცხადების ან საჩივრის დასაშვებობის შემონმების სტანდარტს.

უდავოა, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილ 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივრის მიმართ საერ-

თოდ გამოტოვებულია დასაშვებობის შემომწმების სტადია. მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამოორკვევა (ინსტანციური უფლებამოსილება), რომლის კვალიფიციური შესწავლის პირობებში ცალსახად დადგინდებოდა, რომ წარმოდგენილი საჩივარი, მიუხედავად, ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ექვემდებარებოდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – თბილისის მერიაში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილი 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივარი, ნამდვილად შეესაბამება ადმინისტრაციული საჩივრის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილ დეფინიციას. საჩივრის შინაარსის გაცნობა/შესწავლა ერთმნიშვნელოვნად აყალიბებს დასკვნას:

1. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი არის დაინტერესებული მხარე;

2. ადმინისტრაციული საჩივარი წერილობითი ფორმით არის წარდგენილი;

3. ადმინისტრაციული საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსით დადგენილ წესს /178-ე მუხლს/;

4. ადმინისტრაციული საჩივრის მიზანი არის დარღვეული უფლების აღდგენა;

5. ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. ადმინისტრაციული საჩივარი არ არის წარდგენილი უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ დაშვებული ორივე სამართლებრივი უსწორობა, შეცდომა – ადმინისტრაციული საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსით დადგენილ წესს /181-ე მუხლს/, და ადმინისტრაციული საჩივარი არ არის წარდგენილი უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ექვემდებარებოდა გამოსწორებას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საჩივრის დასაშვებობის შემომწმების სტადიის კვალიფიციური ჩატარების პირობებში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური

ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრივი უფლებამოსილება;

ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციური უფლებამოსილება;

გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამოსილება.

დადგენილია, და ამას არც კასატორი ადმინისტრაციული ორგანოები არ ხდიან სადავოდ, რომ შპს „...“ დირექტორის ი. მ-ის მიერ წარდგენილი 2011 წლის 24 ნოემბრის №12/159542-7 საჩივრის ობიექტი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ. ამ ვითარებაში, ინსტანციური კომპეტენციის გამორკვევის შედეგად, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – თბილისის მერიაში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნის თაობაზე.

მითითებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გამოცხადდა არაუფლებამოსილი ორგანოს მხრიდან საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლით/ შესაბამისობის საკითხის გამოკვლევა-შემოწმებას. ამგვარი კომპეტენცია მხოლოდ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ამდენად, კასატორების აპელირება, რომ საჩივრის მოთხოვნა – აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არ განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენ-

ციას, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ეს საკითხი საერთოდ არ წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შეფასების, როგორც მათი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა არსებულ საგანს. ადმინისტრაციული საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლთან/ შეუსაბამობის საკითხის შეფასება მხოლოდ ზემდგომი ორგანოს – ქ. თბილისის მერიის იურისდიქციის სფეროს განეკუთვნებოდა, ხარვეზის დადგენის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი არ გამოასწორებდა ხარვეზს და არ მოიყვანდა საჩივარს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლთან შესაბამისობაში, საჩივარი დაექვემდებარებოდა განუხილველად დატოვებას ამავე კოდექსის 83.5. მუხლის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. მითითებული ნორმა სრულად ვრცელდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რაც ნიშნავს, რომ კანონმდებელი განცხადების/საჩივრის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადამისამართების ფუნქციას იმ ორგანოს აკისრებს, რომელშიც შეტანილი იქნა განცხადება ან საჩივარი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება უმნიშვნელოვანეს პროცედურულ სტადიას წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული გამოცემული აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. რამდენადაც სწორედ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს მონესრიგებისთვის სამართლის ნორმის შეფარდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროცედურული ნორმებით გარანტირებულია პირის ინტერესების უზრუნველყოფი მექანიზმები, მათ შორისაა ადმინისტრაციული სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა „სუსპენზიური ეფექტი“, რითაც კანონმდებელი ამკვიდრებს, ანუ აღიარებს მმართველობითი ორგანოების გადანწყვეტილებების თაობაზე ადმინისტრაციული საჩივრის მეშვეობით დავის წარმოშობის პირობებში მათი კანონიერების შემომნებამდე უზრუნველყოს კერძო ინტერესების მაქსიმალური დაცვა. სუსპენზიური ეფექტი წარმოადგენს უფლების დაცვის

პრევენციულ საშუალებას, რომლის მეშვეობით ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა ინვევს სამართლებრივ შედეგს – სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა მსჯელობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს, თუმცა, ვერ დაეთანხმება აქედან გამოტანილ სამართლებრივად მცდარ დასკვნას, რომ მას ვერ განიხილავდა თბილისის მერია, რადგან მას აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე მსჯელობის უფლება არა აქვს, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები არასწორად უკავშირებენ საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს გამორკვევის თემას საჩივრის მოთხოვნასთან, რის შედეგადაც მცდარ სამართლებრივ შეხედულებას ავითარებენ. ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორი მოთხოვნას იურიდიულად არასწორად აყალიბებს, ეს არ შეიძლება გახდეს მის განხილვაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრის დამაბრკოლებელი ფაქტორი. საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრის კრიტერიუმი არის არა მოთხოვნის ფორმულირება, რომლის ტრანსფორმაცია სამართლებრივი კონსულტაციის გზით დაძლევადია, არამედ, კანონისმიერი დათქმა – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იურიდიულად სწორი და დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მხარის მიერ საჩივრის ვადაში წარდგენის გამო არსებობდა სადავო აქტის მოქმედების შეჩერების სამართლებრივი საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მიხედვით, ამდენად, უკანონოა მხარისთვის საურავის დარიცხვა, ისევე როგორც მის კანონიერებასთან დაკავშირებით ზემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული განკარგულება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სახეზეა დედაქალაქის თვითმმართველობის – მერიისა და მისი ერთ-ერთი სამსახურის იურიდიული ბიუროების მხრიდან ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტების არასწორი, კანონსაწინააღმდეგო გამოყენება – განმარტება, რამაც გამოიწვია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის პროცედურული უფლების – ადმინისტრაციული

ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის დაუსაბუთებელი დაბრკოლება, რომელზეც დამოკიდებული იყო მისი მატერიალური უფლების დაცვის განხორციელება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე ევროპული სამართლებრივი ტენდენციის თანახმად, სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. გათვალისწინებულია რა საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის არსებულ უფლებამოსილებათა დისბალანსი, შესაბამისად, ეს ურთიერთობა საჭიროებს ეფექტიან კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, რომ არ შეიძლება საუბარი კანონის უზენაესობაზე, როდესაც თავად სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები არ ემორჩილებიან კანონს.

სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში დაცულია და უზრუნველყოფილია კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტების მეშვეობით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე კასატორებს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის საარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიას დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე
კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს
განსაზღვრა**

განჩინება

№ბს-208-200(კ-13) 9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

აღწერილობითი ნაწილი:
მოსარჩელე: მ. ბ-ი

მოპასუხეები: ქალაქ თბილისის მერია; ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური;

სარჩელის სახე: – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩელის საგანი:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანების ბათილად ცნობა;

2. 2011 წლის 8 ივნისის №6/1390-1 მშენებლობის ნებართვის მოწმობის ბათილად ცნობა;

3. ქალაქ თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, ცხოვრობს ქ. თბილისში, ..., მე-... მ/რაიონის, 26-ე კორპუსის მეორე სართულზე. მითითებული შენობის პირველი სართულის ფასადზე შპს „...“ მიეცა კიბის მშენებლობის ნებართვა. წარმოებული მშენებლობით ილახება მისი, როგორც მესაკუთრის ინტერესი, ვინაიდან სადავო მიშენება მის საკუთრებაში არსებულ კედელსა და ფანჯარას ებჯინება. სადავო ფართთან ყოველდღიურად შექმნილი სიტუაციით მოსარჩელის საცხოვრებელი პირობები ილახება.

ამასთან, არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა შეუძლებელს ხდის 2009 წლის 6 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამართლებრივი: მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად უთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, მე-60 და 61-ე მუხლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით საქმეში ასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, მესამე პირად ჩაება შპს „...“.

მესამე პირის – შპს „...“ შესაგებელი:

ფაქტობრივი: მესამე პირის განმარტებით, როგორც სარჩელის ფორმულირებიდან ირკვევა, ის ფაქტობრივად სადავოდ ხდის იმას, რომ თითქოს შპს „...“ განახორციელა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გაუთვალისწინებელი სამუშაოები, შესაბამისად, გაურკვეველია თუ ვისთან აქვს მოსარჩელეს პრეტენზია მერიის არქიტექტურის სამსახურთან თუ შპს „...“.

სამართლებრივი: მესამე პირის განმარტებით, სარჩელი დაუშვებელია ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან საჩივრის ავტორი ვერ ჩაითვლება სხვის თაობაზე გამოცემული აქტის მიმართ იურიდიულად დაინტერესებულ პირად, რომლის მიმართაც მას არავითარი პირდაპირი და უშუალო კავშირი არ გააჩნია და მასზე არავითარ გავლენას არ ახდენს და არც შეიძლება ახდენდეს შპს „...“ მიმართ გამოცემული აქტები.

მოპასუხემ – ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელმა მ. ბ-ის სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მ. ბ-მა 2012 წლის 4 ივნისს ქ. თბილისის მერიაში შეიტანა №12/78169-7 ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე, ხოლო 2012 წლის 21 მაისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანების ბათილად ცნობა და მ. ბ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე 2012 წლის 5 ივნისის №3/2453-12 განჩინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 სადავო ბრძანება საჩივრის ავტორმა ერთჯერადი გასაჩივრების გარეშე სადავო გახდა 2012 წლის 21 მაისს სასამართლოში.

ქ. თბილისის მერიაში გამართულ საქმის ზეპირ განხილვაზე ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა მტკიცებულების სახით წარადგინა 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული აქტი ჩაიბარა 2011 წლის 29 სექტემბერს, მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ვინაიდან, მ. ბ-მა გასაჩივრებული აქტი ჩაიბარა 2011 წლის 29 სექტემბერს, ხოლო იგივე აქტი სასამართლოში გაასაჩივრა 2012 წლის 21 მაისს, შესაბამისად დარღვეულია სადავო ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა.

ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის განმარტებით, მ. ბ-მა აქტი გაასაჩივრა სასამართლოში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადი გასაჩივრების წესის გამოყენების გარეშე და ამასთან, სასამართლოსაც მიმართა აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით, კერძოდ, სადავო ბრძანების ჩაბარებიდან 7 თვის შემდეგ.

სამართლებრივი: ქ. თბილისის მერიამ სარჩელის არ დაკმა-
ყოფილების საფუძველად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 182-ე მუხლზე.

მ. ბ-ის სარჩელი არ ცნო არც ქალაქ თბილისის მერიის სსიპ
არქიტექტურის სამსახურმა.

საქმის გარემოებები:

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის
2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებითა და №6/1390-1 სა-
ნებართვო მოწმობით, შპს „...“ ქ. თბილისში, ..., მე-... მ/რაიონში,
კორპ. №26-ში შპს „...“ კუთვნილი ფართის ფასადზე კიბის მოწ-
ყობის ნება მისცეს.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის
№01/1312 ბრძანება და სანებართვო მოწმობა №01/1390-1 მ. ბ-
ს ჩაჰბარდა 2011 წლის 29 სექტემბერს.

მ. ბ-მა 2011 წლის 19 ოქტომბერს მიმართა განცხადებით თბი-
ლისის არქიტექტურის სამსახურს შპს „...“ მიერ ნაწარმოებ მშე-
ნებლობასთან დაკავშირებით.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ოქტომ-
ბრის №12/138873-2 წერილით მ. ბ-ს ეცნობა, რომ შპს „...“ მიერ
ნაწარმოები მშენებლობის საკითხზე მას ერთხელ უკვე ეცნობა
იმავე სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13
წერილით.

მ. ბ-მა 2011 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბი-
ლისის მერიას და მოითხოვა თავისი 2011 წლის 19 ოქტომბრის
წერილის განხილვა.

ქ. თბილისის მერიამ (მერიის იურიდიულმა საქალაქო სამსა-
ხურმა) თავისი 2011 წლის 25 დეკემბრის №12/148581-2 წერი-
ლით მ. ბ-ს განუმარტა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსა-
ხურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 და 2011 წლის
25 ოქტომბრის №12/138873-2 წერილები არ წარმოადგენდა ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და 04.11.2011 წლის გან-
ცხადებას, როგორც საჩივარს ვერ განხილავდა.

მ. ბ-მა 2012 წლის 21 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას და მოითხოვა შპს „...“ სახელზე გაცემული თბილისის არქი-
ტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანე-
ბისა და 2011 წლის 8 ივნისის სანებართვო მოწმობის №01/1390-
1-ის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის №3/
2453-12 განჩინებით მოსარჩელე მ. ბ-ს უარი ეთქვა სარჩელის
წარმოებაში მიღებაზე.

მ. ბ-მა 2012 წლის 4 ივნისს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა შპს „...“ სახელზე გაცემული თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებისა და 2011 წლის 8 ივნისის სანებართვო მოწმობა №01/1390-1-ის გაუქმება.

ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულებით განუხილველად დარჩა მ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – ქ. თბილისის მერიას წარედგინა აქტების გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებითა და №ნ/1390-1 სანებართვო მოწმობით შპს „...“ მიენიჭა მშენებლობის ნებართვა.

მ. ბ-მა 2012 წლის 4 ივნისის განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანების ბათილად ცნობა. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის განკარგულებით მ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქმეში წარმოდგენილი სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის წერილით დასტურდება, რომ მ. ბ-ს არქიტექტურის სამსახურის წერილთან ერთად დანართის სახით გაეგზავნა სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანება და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №ნ/1390-1, მ. ბ-ი აღნიშნულ წერილზე ხელმოწერით ადასტურებს გასაჩივრებული ბრძანების 2011 წლის 29 სექტემბერს ჩაბარების ფაქტს. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ერთჯერადად გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშე სადავოდ გახადა 2012 წლის 21 მაისს, ხოლო ერთჯერადად გასაჩივრების უფლების გამოყენების შემდგომ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2012 წლის 14 აგვისტოს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. ამავე კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სსიპ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის წერილით დასტურდება, რომ მ. ბ-ს არქიტექტურის სამსახურის წერილთან ერთად დანართის სახით გაეგზავნა სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანება და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №01/1390-1, მ. ბ-ი აღნიშნულ წერილზე ხელმოწერით ადასტურებს გასაჩივრებელი ბრძანებების 2011 წლის 29 სექტემბერს ჩაბარების ფაქტს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, ერთჯერადად გასაჩივრების გარეშე, სადავოდ გახადა 2012 წლის 21 მაისს და ერთჯერადად გასაჩივრების უფლების გამოყენების შემდეგ, სასამართლოში სარჩელი წარადგინა 2012 წლის 14 აგვისტოს ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და შესაბამისად, არ არსებობს ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მ. ბ-ის მიერ აღნიშნული აქტები გასაჩივრებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებია მათი კანონშესაბამისობა.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-ის სასარჩელო განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას

იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 60¹. 180-ე და 182-ე მუხლებით და გადაწყვიტა, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აპელანტი: მ. ბ-ი

მონინალმდგევე მხარე: ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა მისი ბრალით არ დარღვეულა. მისი დარღვევა დიდწილად გამოიწვია მოპასუხეთა უკანონო მოქმედებები, კერძოდ, 2011 წლის 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა შპს „...“ მიერ ნაწარმოები მიშენებების საპროექტო მასალები. არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბერს №12/120754-13 წერილით მ. ბ-ს გაეგზავნა ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანება და №6/1390-1 სანებართვო მოწმობა შპს „...“ მიმართ კიბის მინაშენიანების შესახებ, ამასთან, განუმარტა, რომ მ. ბ-ს უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა ქალაქ თბილისის მერიისთვის.

აპელანტის განმარტებით, მან 2011 წლის 19 ოქტომბერს საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას, მაგრამ აღნიშნული საჩივარი მოხვდა კვლავ არქიტექტურის სამსახურში, რომელმაც 2011 წლის 25 ოქტომბრის №12/138873-2 წერილით მ. ბ-ს აცნობა, რომ შპს „...“ მიერ ნაწარმოები მშენებლობის საკითხზე მას ერთხელ უკვე ეცნობა იმავე სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილით; აპელანტის განმარტებით, მისი საჩივარი არც ერთხელ არ განიხილა ქ. თბილისის მერიამ, რამაც განაპირობა გასაჩივრების ვადების დარღვევა.

სამართლებრივი: აპელანტმა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით მ. ბ-ის სა-

აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, სასამართლოს მიჩნევით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ დავის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ იქონიებს ის გარემოება, რომ მ. ბ-მა ჯერ კიდევ 2011 წლის 19 ოქტომბერს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი. ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თუკი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი პირის – ქალაქ თბილისის მერიის მხრიდან უმოქმედობას, ანუ საჩივრის არ განხილვას, იგივე ადმინისტრაციული აქტის გამოუცემლობის ფაქტს ჰქონდა ადგილი, აპელანტს შეეძლო მისი საჩივრის არ განხილვის პირობებში უკვე სასამართლოში აღედრა სარჩელი კანონით დადგენილი ვადების დაცვით, რაც მ. ბ-ს არ გაუკეთებია.

კასატორი: მ. ბ-ი;

მონინალმდგე მხარე: ქალაქ თბილისის მერია, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური;

მესამე პირი – შპს „...“

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონიშნება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა უნდა განიხილოს და გამოიკვლიოს ვისი ბრალით მოხდა მ. ბ-ის მიერ გასაჩივრების ვადის გაშვება. კასატორი მიიჩნევს, რომ ვადის გაშვებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა მთლიანად მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ. ქალაქ თბილისის მერიაში არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე შეტანილ საჩივარზე პასუხს კვლავ არქიტექტურის სამსახური იძლეოდა. კასატორის მითითებით, სწორედ უფლებამოსილი ორგანოების აღნიშნული ქმედებები გახდა ერჯერადი გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზი.

მესამე პირმა – შპს „...“ წარმომადგენელმა წერილობითი მოსაზრებით მ. ბ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რო-

მელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო ნორმებით განსაზღვრული მოთხოვნების უგულვებელყოფით.

კასაციის დაშვების წანამძღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე: წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რიგი მუხლები და შეაფასოს კანონის შინაარსთან რამდენად შესაბამისად იყენებს მათ თვითმმართველობის ორგანო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიაჩნა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ განმარტოს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სახეები, ასევე, ადმინისტრაციული საჩივრის და მისი დასაშვებობის შემონგების საკითხი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან პირის მიერ შეტანილი საპროცესო დოკუმენტების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრა და მათი სტატუსის დადგენა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს, განსაზღვრავს კანონიერი მმართველობის მიზანსა და პრინციპებს, სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს, ადამიანის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყო-

ფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაციასთან, რაც კანონით დადგენილი რამდენიმე ფორმით ხორციელდება, რომელიც თავის მხრივ, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს შემოწმებისა და შეფასების სფეროს. ამდენად, საჯარო მოხელეების მხრიდან პირის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების ზუსტი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერების, თანასწორობისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ფიზიკურ პირ – მ. ბ-სა და დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოებს შორის, ფორმალურ-სამართლებრივ სფეროში, კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოებისას წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპეალაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, არაობიექტურად და არაკვალიფიციურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

საქმის მასალებიდან დასტურდება:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ..., მე-... მიკრორაიონი, კორპუსი №26-ში, შპს „...“ კუთვნილი ფართის ფასადზე კიბის მოწყობის არქიტექტურული პროექტი, გაცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №01/1390.

2. მ. ბ-მა 2011 წლის 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა შპს „...“ სახელზე გაცემული სამშენებლო დოკუმენტაციის მისთვის გადაცემა.

3. ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილით მ. ბ-ს ეცნობა, რომ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ..., მე-... მიკრორაიონი, კორპუსი №26-ში, შპს „...“ კუთვნილი ფართის ფასადზე კიბის მოწყობის არქიტექტურული პროექტი, გა-

იცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №01/1390-1. ამავე წერილთან ერთად მ. ბ-ს გაეგზავნა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანება და სანებართვო მოწმობა №01/1390-1.

4. ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილი დანართთან ერთად მ. ბ-მა ჩაიბარა 2011 წლის 29 სექტემბერს, რაც დასტურდება მისივე ხელმოწერით და რასაც არც მხარე არ ხდის სადავოდ.

5. მ. ბ-მა 2011 წლის 19 ოქტომბერს მიმართა განცხადებით ქ. თბილისის მერიას შპს „...“ მიერ ნაწარმოებ მშენებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნული განცხადება ქ. თბილისის მერიამ გადაუგზავნა სსიპ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს.

6. ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ოქტომბრის №12/138873-2 წერილით მ. ბ-ს ეცნობა, რომ შპს „...“ მიერ ნაწარმოები მშენებლობის საკითხზე მას ერთხელ უკვე ეცნობა იმავე სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილით;

7. მ. ბ-მა 2011 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა თავისი 2011 წლის 19 ოქტომბრის წერილის განხილვა.

8. ქ. თბილისის მერიამ (მერიის იურიდიულმა საქალაქო სამსახურმა) თავისი 2011 წლის 25 დეკემბრის №12/148581-2 წერილით მ. ბ-ს განუმარტა, რომ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 და 2011 წლის 25 ოქტომბრის №12/138873-2 წერილები არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და 04.11.2011 წლის განცხადებას, როგორც საჩივარს ვერ განიხილავდა.

9. მ. ბ-მა 2012 წლის 21 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შპს „...“ სახელზე გაცემული თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებისა და 2011 წლის 8 ივნისის სანებართვო მოწმობის №01/1390-1-ის ბათილად ცნობა;

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის №3/2453-12 განჩინებით მოსარჩელე მ. ბ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

11. მ. ბ-მა 2012 წლის 4 ივნისს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა შპს „...“ სახელზე გაცემული ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის

რის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებისა და 2011 წლის 8 ივნისის სანებართვო მოწმობა №01/1390-1-ის გაუქმება.

12. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულებით განუხილველად დარჩა მ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – ქ. თბილისის მერიას წარედგინა აქტების გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ვადის დაუცველად;

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლება – მიმართოს სახელმწიფოს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას მისი ინტერესების დასაცავად, განეკუთვნება კონსტიტუციურ უფლებათა სისტემას. ადამიანის უფლებები იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალური და პროცედურული უფლებები. პირის პროცედურულ უფლებათა რიგს მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება, მტკიცებულებათა წარდგენის უფლება, სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება, მოსაზრებათა წარდგენის უფლება, გასაჩივრების უფლება და ა.შ. სწორედ, პროცედურული უფლებების კანონით დადგენილი ფორმებით რეალიზაცია აძლევს პირს შესაძლებლობას დაიცვას ან აღიდგინოს თავისი მატერიალური უფლებები. სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპი გულისხმობს პროცედურული უფლებების შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება მატერიალური უფლებების ჯეროვან რეალიზაციასა და დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა პროცედურული უფლება-მოვალეობების საზოგადო წესებს დეტალურად განსაზღვრავს, მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფას.

ზემოთითებულ კონსტიტუციურ პრინციპს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური მუხლი ეძღვნება, კერძოდ, მე-12 მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, რომლის მიხედვით გარანტირებულია:

1. ნებისმიერი პირის უფლება – მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, და

2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი

განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმის სტრუქტურული შინაარსი გულისხმობს, რომ პირის უფლების დადგენა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – განახორციელოს რეალიზებული საპროცესო უფლების კანონით რეგლამენტირებული, ადეკვატური პროცედურული ხასიათის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით (XIII) განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი აწესრიგებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციისა და საჩივრის განხილვის გადაწყვეტის საკითხებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე

რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, კერძოდ, 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული საჩივრის რეკვიზიტები: ა) ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება; დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება; ე) მოთხოვნა; ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა; ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტური შეფასება არ მისცა ზემოჩამოთვლილ დაინტერესებულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის წერილობითი კომუნიკაციის ამსახველ მტკიცებულებებს, არ უმსჯელია რამდენად შესაბამისობაშია ადმინისტრაციული ორგანოების წერილები (შინაარსობრივად გადაწყვეტილებები) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესსა და პროცედურებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ ვითარებაში, რო-

ცა მ. ბ-ს სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილით, ეცნობა შპს „...“ კუთვნილი ფართის ფასადზე კიბის მოწყობის არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის სანებართვო მონმობა №01/1390-1, ამავე წერილთან ერთად ჩაბარდა აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები 2011 წლის 29 სექტემბერს, მან განცხადებით, რომლის შინაარსი უცნობია, რამდენადაც საქმის მასალებში იგი არ მოიპოვება, მიმართა ქ. თბილისის მერიას, რომელმაც აღნიშნული განცხადება, სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 24 იანვრის სასამართლო სხდომაზე ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის განმარტების მიხედვით გადაუგზავნა ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ განცხადება კვლავ გადაეგზავნა ქ. თბილისის მერიისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის 1-ლი პუნქტის და 180-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მას უკვე ერთხელ გაცემული ჰქონდა პასუხი მ. ბ-ის განცხადებისათვის, კვლავ თავად გასცა პასუხი 2011 წლის 25 ოქტომბრის წერილით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების კანონისმიერი ვალდებულების – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების განწევის მოვალეობის სრული იგნორირების თაობაზე, რამდენადაც მათთვის ცხადი იყო, რომ მ. ბ-ს ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არ გააჩნდა სათანადო ცოდნა და უნარი კვალიფიციურად დაეცვა თავისი ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში. (სზაკ-ის 85-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო წინამდებარე დავის გადაწყვეტისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „პ...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განწევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა. აგრეთვე ის მოთხოვნები,

რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განწვევას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივსადაც მხოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიწვდომლობა, პროფესიული კავშირების საქმიანობის არაეფექტიანობა და სხვ., განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. სწორედ, თანამედროვე საჯარო მოსამსახურეების კეთილსინდისიერებაზე, ნებისყოფასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე არის მიბმული, თუ რამდენად მცირერიცხოვანი იქნება, ან რა მასშტაბებს მიიღებს მოქალაქეთა კონფლიქტი კანონთან. საჯარო მოსამსახურის არსი, ნამდვილი შინაარსი სწორედ ამგვარი შესაძლო კონფლიქტის პრევენციას გულისხმობს. თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის მხრიდან მითითებული პროფესიული და მორალური ტვირთის გასიგრძეგანება, საკუთარი სტატუსის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გა-

თავისება უაღრესად დადებით როლს შეასრულებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებაში, საზოგადოების პოზიტიური განვითარების ტენდენციის გამოკვეთაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულვებელყოფილია.“

საკასაციო სასამართლო კატეგორიულად ვერ გაიზიარებს ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 25 დეკემბრის №12/148581-2 წერილში ჩამოყალიბებულ მსჯელობას, რომ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის წერილები არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები და არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური ვერ განიხილავს მოთხოვნას ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში“, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებსა და პრინციპებთან შეუსაბამობის გამო და მიუთითებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-122-115(2)-13) შპს „პ...“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებზე, კერძოდ: „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე, 186-ე და 198-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოქმედებს ნეგატიური დათქმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის ჩატარებისას რიგ შემთხვევებში გამოიყენება, როგორც მარტივი, ისე ფორმალური და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული წესები და პროცედურული მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პირის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, მით უფრო, განცხადების ან საჩივრის ფორმით წარდგენა ინვევს ადმინისტრაციული ორგანოს უპირობო ვალდებულებას, დაარეგისტრიროს იგი. რეგისტრაციის სტადია ინვევს შემდეგი პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულებას – ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ორსაფეხური-

ანი პროცესის მეშვეობით:

- განცხადების/ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება;
- განცხადების/ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება.

დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში, განცხადების ან საჩივრის ფორმა, დასაშვებობის შემოწმების სტადია გულისხმობს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევას (უწყებრივი ქვემდებარეობა), რომლის წარმატებით გადალახვის პირობებში – ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე, ასახავს ჰპოვებს ამავე კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრულ დანაწესშიც, რომლის მიხედვით იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა – განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა შესაბამისი მითითებებით და დაინტერესებულ პირს მისცეს მისი გამოსწორების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ თუკი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი პირის – ქ. თბილისის მერიის მხრიდან ადგილი ჰქონდა უმოქმედობას, ანუ საჩივრის არ განხილვას და ადმინისტრაციული აქტის გამოუცემლობის ფაქტს, მ. ბ-ი უფლებამოსილი იყო აქტის გამოუცემლობის, ანუ მისი საჩივრის არგანხილვის პირობებში უკვე სასამართლოში აღედრა სარჩელი კანონით დადგენილი ვადების დაცვით, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-106-99(კ-13) ს. ბ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, მსგავს სამართლებრივ პრობლემებთან მიმართებით ჩამოყალიბებულია სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები, კერძოდ: „ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ ადმინისტრაციულ წარმოებაში აქტის გამოუცემლობის სამართლებრივი შედეგები განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად.

აღნიშნული დანაწესი არ ნიშნავს, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ ჩაატარონ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე. პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება ემსახურება კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული საჩივრის არგანხილვა ლახავს პირის კანონიერ მოლოდინს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსაგან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც არ შეესაბამება მმართველობის კანონიერების სტანდარტს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ დავის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ მ. ბ-მა ჯერ კიდევ 2011 წლის 19 ოქტომბერს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი და არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 სექტემბრის №12/120754-13 წერილი ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 ივნისის №01/1312 ბრძანებასა და 2011 წლის 8 ივნისის №01/1390-1 სანებართვო მოწმობასთან ერთად აპელანტ მ. ბ-ს ჩაბარდა 2011 წლის 29 სექტემბერს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძანებისა და სანებართვო მოწმობის გასაჩივრების ერთთვიანი ვადა აპელანტს ამოეწურა იმავე 2011 წლის ოქტომბრის თვის ბოლოს, ხოლო საჩივრით ქ. თბილისის მერიას მიმარ-

თა 2012 წლის 4 ივნისს, შესაბამისად, მ. ბ-ის მიერ გასულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180.1 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 80.5 მუხლის შესაბამისად, განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მ. ბ-ის 2011 წლის 19 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი განცხადება, მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა ჩაითვალოს თუ არა საჩივრად, რომლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლის შინაარსთან ფორმალური წინააღმდეგობის გამო ხარვეზზე დატოვების ვალდებულება გააჩნდა ორგანოს, შესაბამისად სასამართლომ უნდა იმსჯელოს არის თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ ვადაში შეტანილად, ვინაიდან, თუკი წარდგენილი განცხადება თავისი შინაარსით არ შეესაბამებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილ დეფინიციას, მაგრამ იგი ექვემდებარებოდა გამოსწორებას ქ. თბილისის მერიის მიერ საჩივრის დასაშვებობის შემთხვევის სტადიის კვალიფიციური ჩატარების პირობებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

- ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრივი უფლებამოსილება;
- ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციუ-

რი უფლებამოსილება;

გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამოსილება.

ამ ვითარებაში, ინსტანციური კომპეტენციის გამორკვევის შედეგად, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – თბილისის მერიაში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნის თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუყერძობლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულება, რომლითაც განუხილველად დარჩა მ. ბ-ის საჩივარი, რითაც დაარღვია დაინტერესებული პირის პროცესუალური უფლება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმ ვითარებაში, როცა მ. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შებოჭილია კასატორის განაცხადით და იგი ვერ გასცდება ამ მოთხოვნის ფარგლებს და თავად ვერ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს მ. ბ-ის სააპელაციო საჩივარზე და გამოარკვიოს რამდენად არის დაცუ-

ლი ქ. თბილისის მერიის მიერ სადავო – 2012 წლის 24 ივლისის №2079 განკარგულების მიღებისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესები და პროცედურები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი დამატებით და სარწმუნოდ საჭიროებს გამოკვლევას და შესაბამისი საპროცესო მოქმედებითა და საპროცესო აქტით ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენას სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც 411-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება – უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 401-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სარჩევად.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
გასაჩივრების ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-854-836(კ-12)

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო დაცვაზე
უარის გასაჩივრების პროცედურის დაცვა, საჩივრის განსახილ-
ველად მიღების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

25.11.11წ. კომპანია „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლათო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიმართ მოპასუხის
25.10.11წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და „...“ საჩივრის გან-
სახილველად მიღების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საჩივრით მიმართა „საქპატენ-
ტთან“ არსებულ სააპელაციო პალატას და მოითხოვა ექსპერ-
ტიზის უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მის
კუთვნილ საერთაშორისო ნიშანს („...“) უარი ეთქვა დაცვის მი-
ნიჭებაზე და საქართველოში გავრცელებაზე საქონლის სრული
ჩამონათვლის მიმართ. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ
25.10.11წ. გადაწყვეტილებით დაუშვებლად ცნო „...“ სააპელა-
ციო საჩივარი იმ საფუძველით, რომ გასული იყო სააპელაციო სა-
ჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი სამთვიანი ვადა. მო-
სარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საფუძველით მისი სააპელ-
აციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა კანონისმიერ საფუძველს
მოკლებულია, რადგან მას ექსპერტიზის გადაწყვეტილება ჩა-
ბარდა 04.08.11წ., შესაბამისად, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „საქ-
პატენტი“ არასწორად განმარტავს „სასაქონლო ნიშნების შესა-
ხებ“ საქართველოს კანონს, დაუშვებელია გასაჩივრების სამ-
თვიანი ვადის ათვლა ექსპერტიზის გადაწყვეტილების მიღე-
ბის დღიდან და არა მისი დაინტერესებული მხარისთვის ჩაბა-

რების მომენტიდან. „...“ თვლის, რომ სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის შესახებ დებულების დანაწესებს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზე შედგა 13.07.11წ., ექსპერტიზის შეტყობინება/ნოტიფიკაცია გაგზავნილ იქნა 15.07.11წ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროში (ისმო), რომელმაც 25.07.11წ. მიიღო ეს შეტყობინება და 03.08.11წ. შეტყობინება გადაუგზავნა კომპანიის წარმომადგენელს, უკანასკნელმა შეტყობინება 04.08.11წ. მიიღო. დადგენილი წესის თანახმად ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება მტკიცდება ბრძანებით და გასაჩივრების სამთვიანი ვადა აითვლება ბრძანების გამოცემიდან. მოსარჩელე თვლის, რომ ამ შემთხვევაშიც ირღვევა ვადის ათვლის ზოგადი წესები, თუმცა დაცულია სხაკ-ის მოთხოვნები. სხვა წესია დადგენილი საქართველოში მადრიდის პროტოკოლის საფუძველზე გასაავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებისათვის. „საქპატენტის“ ექსპერტიზის გადაწყვეტილება ნოტიფიკაციის სახით, მხოლოდ ინგლისურ ენაზე შედგენილია, ეგზავნება საერთაშორისო ბიუროს განმცხადებლისათვის გადასაგზავნად. ადგილი აქვს სხვადასხვა წესის გამოყენებას უარყოფითი გადაწყვეტილების შეტყობინებისას ეროვნული სასაქონლო ნიშნისა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის განმცხადებლების მიმართ, რაც არღვევს თანასწორობის პრინციპს. ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება საერთაშორისო ბიუროში იგზავნება ამ გადაწყვეტილების დამამტკიცებელი ბრძანების გარეშე. მოსარჩელემ გამოითხოვა ბრძანება უარყოფითი გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ, რომელიც თითქმის ერთი თვის დაგვიანებით არის გამოცემული. მოსარჩელე თვლის, რომ ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტად უნდა ჩათვალოს არა ისმო-ში გაგზავნილი ინგლისურენოვანი შეტყობინება, მიღებული მოსარჩელის მიერ 04.08.11წ., არამედ 12.08.11წ. ბრძანება, რომელიც ამტკიცებს ექსპერტიზის დასკვნას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საქპატენტის კანცელარიაში ჩააბარა საჩივარი 13.09.11წ., თუმცა ამ ფაქტს ვერ ადასტურებს, რადგან საჩივრის ასლზე დასმულია 17.10.11წ. ანუ მომდევნო სამუშაო დღის თარიღი. საქპატენტის სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაირღვა სააპელაციო საჩივრის ჩაბარების ვადა და 25.10.11 წ. საჩივარი დაუშვებლად ცნო. მოსარჩე-

ლე თვლის, რომ ადმინისტრაციულ აქტად უნდა ჩაითვალოს არა საქპატენტის მიერ შედგენილი ნოტიფიკაცია/შეტყობინება, არამედ ქართულ ენაზე შედგენილი 12.08.2011 წ. №1863/03 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ექსპერტიზა და განმცხადებელს განემარტა გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, მოსარჩელე თვლის, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადა მას არ დაურღვევია, სადავო აქტით დარღვეულია სააპელაციო პალატის დებულების 6.3 მუხლი, რომლის თანახმად საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ჩაბარებიდან სამი თვის ვადაში, სსკ-ის 60.2 მუხლი, რომლის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადა არ არის დარღვეული ისმო-ს შეტყობინების მიღებიდან (04.08.11წ.) ათვლის შემთხვევაშიც. მოსარჩელემ მიუთითა, რომ დარღვეულია სზაკ-ის 94-ე, 182-ე მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.03.2012წ. გადაწყვეტილებით კომპანია „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის მიერ 13.07.2011წ. მიღებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე „საქპატენტის“ მიერ 12.08.2011 წ. გამოიცა ბრძანება, რომლითაც კომპანია „...“ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე ეთქვა უარი. ასევე დადგინებულად იქნა მიჩნეული, რომ მითითებულ ექსპერტიზის დასკვნაზე შეტყობინება გაიგზავნა ისმო-ს საერთაშორისო ბიუროში, რომელმაც შეტყობინება მიიღო 25.07.11წ., ხოლო 3 აგვისტოს გადაუგზავნა კომპანია „...“, რომელსაც შეტყობინება ჩაბარდა 04.08.2011წ.

სასამართლომ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტზე, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების მე-4 მუხლზე და აღნიშნა, რომ დასახელებული შეტყობინებით კომპანიას დეტალურად ეცნობა გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების წესი და ვადა, დეტალურად განემარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

13.10.2011წ. ინფორმაცია. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება გასაჩივრების ვადის შეტყობინების ჩაბარებიდან ათვლის შესახებ და მიუთითა, რომ ვერც საქპატენტისთვის და ვერც საერთაშორისო ბიუროსთვის წინასწარ ვერ იქნება ცნობილი თუ როდის ჩაბარდება განმცხადებელს გადაწყვეტილება, შესაბამისად, საქპატენტს ვერ შეეძლება შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება შეტყობინების საერთაშორისო ბიუროში გაგზავნისას შეტყობინებაში გასაჩივრების საბოლოო თარიღის მითითების შესახებ. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადა აითვლება გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.03.2012წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.12წ. განჩინებით კომპანია „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე დაყრდნობით სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2012 წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა კომპანია „...“, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციაზე არღვევს მადრიდის ხელშეკრულების თანდართული პროტოკოლის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვითაც თანაბარ სამართლებრივ და უფლებრივ პირობებში მოქმედების საშუალება უნდა ჰქონდეთ ეროვნულ განმცხადებლებსა და საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელებს. კასატორის მითითებით „საქპატენტის“ მხრიდან უთანასწორო მოპყრობას აქვს ადგილი, რადგან სხვადასხვანაირად ხდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ვადის ათვლა, კერძოდ, როდესაც ეროვნულ განმცხადებლებს აქტის გასაჩივრებისთვის ეძლევათ 3 თვე სადავო აქტის ჩაბარებიდან, საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელებს ეს ვადა აეთვლებათ სადავო აქტის გამოცემიდან, რის შედეგადაც გასაჩივრების ვადებს შორის ფიქსირ-

დება რამდენიმე კვირიანი სხვაობა. კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის დებულების ნორმათა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების უფლებამოსილი პირისთვის ჩაბარების დღიდან და არა „საქპატენტის“ მიერ მისი მიღებიდან. კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაშიც არასწორად მოხდა აქტის გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა, რეალურად ის უნდა ათვლილიყო 2011 წლის 4 აგვისტოდან, თუმცა მისი ათვლა დაიწყო 13 ივლისიდან – 21 დღით ადრე. „საქპატენტს“ უფლება არ ჰქონდა დაედგინა სააპელაციო პალატაში საჩივრის შეტანის უფრო ხანმოკლე ვადა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებისთვის, ვიდრე ეს დადგენილია ეროვნული განმცხადებლებისთვის. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ არც ერთი საერთაშორისო თუ შიდა ნორმატიული აქტი არ ავალდებულებს „საქპატენტს“ გადაწყვეტილებაში აღნიშნოს მისი გასაჩივრების ვადის ამონურვის კონკრეტული დღე. მადრიდის შეთანხმების თანდართული ოქმის თანახმად (მუხ. 17, 2 vii პუნქტი), სასურველია და არა აუცილებელი მოხდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გონივრული ვადის მითითება, ხსენებული წესის თანახმად, სასურველია მითითოს გონივრული ვადა პასუხების შეტანისა, სააპელაციო საჩივრის შეტანისა, წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, ოპოზიციაზე პასუხის წარდგენისა, იმ უწყების დასახელება, სადაც უნდა იქნეს შეტანილი პასუხი, სააპელაციო განაცხადი და ა.შ.. „საქპატენტის“ მითითება იმის თაობაზე, რომ ის ვერ მოახერხებს უფლებამოსილი პირისთვის აქტის ჩაბარების მომენტიდან გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლას, რადგან მისთვის წინასწარ უცნობია, თუ როდის ჩაბარდება პირს აქტი, არ არის გასათვალისწინებელი, რადგან დღევანდელი კომუნიკაციების გათვალისწინებით ეს არგუმენტი უსუსურია, ამასთანავე საერთაშორისო ბიურო აფიქსირებს განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღს და ნოტიფიკაციას ამ თარიღის შესახებ აქვეყნებს შესაბამის ვებგვერდზე. „საქპატენტს“ აქვს უფლებამოსილება თავისუფლად განსაზღვროს გასაჩივრების ვადის დენის დასაწყისი და დასასრული, თუმცა ისე, რომ გასაჩივრების ვადა არ იყოს 3 თვეზე ნაკლები და თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ეროვნული და საერთაშორისო განმცხადებლები.

საკასაციო პალატის სხდომაზე საქპატენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კა-

ნონიერია და ძალაში უნდა დარჩეს, საქპატენტის მიერ დაცულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონისა და მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის მოთხოვნები. 13.07.11წ. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ოქმის ზოგადი წესების 17 (1) მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო ბიუროს ეცნობა წინასწარი უარი დაცვაზე, რომელიც თავისი არსით არის შეტყობინება. ნიშნის დაცვაზე წინასწარი უარის შესახებ შეტყობინების შესაბამის გრაფაში უწყების მიერ, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა მიეთითოს სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველები, გასაჩივრების ვადა და ასევე საჩივრის წარდგენის საბოლოო თარიღი, რომელიც ივსება მე-9 გრაფაში. უწყების მიერ აღნიშნული გრაფის შევსების სავალდებულობას ადგენს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების მე-17(2) მუხლი, რომლის მიხედვით შეტყობინებაში წინასწარი უარის შესახებ სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს: გასაჩივრების გონივრული ვადა და ამ ვადის ამონურვის თარიღი. მუხლი ადგენს პროცედურებს უწყების მიერ შეტყობინების არასათანადოდ შევსების შემთხვევაში. წესის მე-18 მუხლის 1(დ) პუნქტის მიხედვით, თუ შეტყობინება არ პასუხობს 17(2) მუხლის მოთხოვნებს, წინასწარი უარი დაცვაზე არ შეიტანება საერთაშორისო რეესტრში და უწყებას ესაზღვრება ორთვიანი ვადა შესწორებული ფორმის გადმოსაგზავნად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონინალმდეგე ორგანოს წარმომადგენელი თვლის, რომ გასაჩივრების საბოლოო თარიღის მითითება სავალდებულოა. ზოგადი წესების 4(2) მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი ვადა განსაზღვრული თვეებში მთავრდება შესაბამისი თვის იმავე რიცხვის მქონე დღეს, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს. შეტყობინების ჩაბარებიდან ვადის ათვლის შემთხვევაში არც საქპატენტისთვის და არც საერთაშორისო ბიუროსთვის არ იქნება წინასწარ ცნობილი განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი, ამასთანავე, საბოლოო ვადის ამონურვის თარიღის მითითება სავალდებულოა საერთაშორისო ბიუროსათვის შეტყობინების გაგზავნის დროს. მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონით დადგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადა, რომელიც აღემატება ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული აქტის გასაჩივრების ერთთვიან ვადას, სრულიად გონივრულია და საკმარისია იმისთვის, რომ უცხოელმა განმცხადებელმა აღნიშ-

ნულ ვადაში წარადგინონ საჩივარი. საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების 8.12 მუხლის, 8.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები, თუ გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის დადგენილი ვადა. ამდენად, გასაჩივრების ვადა ამოიწურა 13.10.11წ., ხოლო საჩივარი 17.10.11წ. იქნა წარდგენილი, რის გამოც საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის 25.10.11წ. გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე კანონიერია და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 10.10.2013 წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე საქპატენტის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ შეუძლებელია ისმოს-ს მიერ განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების გადაგზავნისას ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოგზავნა საქპატენტში, ამიტომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებზე გამოცანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადების ათვლის ერთ-ერთი მისაღები თარიღია გადაწყვეტილების „საერთაშორისო ნიშნების ისმო-ს ჟურნალში“ გამოქვეყნების თარიღი. აღნიშნული ჟურნალი ქვეყნდება ისმო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველკვირეულად და დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. კომპანიის „...“ სასაქონლო ნიშანზე საქპატენტის 13.07.11წ. გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია „საერთაშორისო ნიშნების ისმო-ს ჟურნალში“ გამოქვეყნდა 25.08.11წ., ასეთ შემთხვევაში კომპანიის „...“ მიერ საჩივრის წარდგენის თარიღი – 17.10.11წ. აკმაყოფილებს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულებით გათვალისწინებულ სამთვიან ვადას. გასაჩივრების ვადის ამ მომენტიდან ათვლაზე კასატორის წარმომადგენლის თანხმობის მიუხედავად, საქპატენტის წარმომადგენელმა უარი თქვა განსახილველი დავის მორიგებით დამთავრებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ ინტელექტუა-

ლური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის არსობრივი ექსპერტიზის 13.07.2011წ. დასკვნის საფუძველზე კომპანია „...“ სასაქონლო ნიშანს „...“ უარი ეთქვა საერთაშორისო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნულის თაობაზე შედგენილი ინგლისურენოვანი შეტყობინება გაეგზავნა ინტელექტუალური საკუთრების (ისმო-ს) საერთაშორისო ბიუროს, რომელმაც შეტყობინება მიიღო 25.07.11წ., ხოლო 03.08.2011წ. ბიურომ შეტყობინება გადაუგზავნა კომპანია „...“, რომელსაც იგი 04.08.2011წ. ჩაბარდა. შეტყობინებაში მიეთითა გადანყვეტილების მიღების თარიღი – 13.07.2011წ. და აქტის გასაჩივრების ვადის მიმდინარეობის დასასრული – 13.10.2011წ. კომპანია „...“ წარმომადგენელმა 17.10.2011წ. სააპელაციო განცხადებით მიმართა საქპატენტის სააპელაციო პალატას და მოითხოვა ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე მიღებული 13.07.2011წ. გადანყვეტილების გაუქმება და მის მიერ წარდგენილი სასაქონლო ნიშნისთვის („...“) დაცვის მინიჭება. საქპატენტის სააპელაციო პალატის 25.10.2011წ. №90-03/11 გადანყვეტილებით კომპანია „...“ სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების 3-თვიანი ვადის დარღვევის გამო, დაუშვებლად იქნა ცნობილი. გადანყვეტილებაში მიეთითა, რომ სააპელაციო პალატის დებულების 8.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები, თუ გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის დადგენილი ვადა. ისმო-ს საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილი შეტყობინების თანახმად, საქპატენტის გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა 13.10.11წ. ამოიწურა, აპელანტმა საჩივარი 17.10.11წ. შემოიტანა, რის გამოც კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის მიერ 13.07.11წ. მიღებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ, რომელშიც განმცხადებელს განესაზღვრა საჩივრის წარსადგენად კონკრეტული ვადა (13.10.11წ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავს გასაჩივრების წესს, საჩივრის წარდგენის კონკრეტულ ვადას. საქპატენტში სამი თვის ვადაში ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩივრების შესაძლებლობაზე მითითებას შეიცავს არა ექსპერტიზის დასკვნა, არამედ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშ-

ნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 12.08.116. №1863/03 ბრძანება. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ გასაჩივრების ლიმიტირებული ვადა (13.10.116.) და საჩივრის განმხილველი ორგანო მითითებულია საქპატენტის მიერ ინგლისურენოვანი შეტყობინება-ნოტიფიკაციაში გაგზავნილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში.

ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 16.2 მუხლის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღებიდან და არა სხვა მომენტიდან, მაგ., უფლებამოსილი პირისთვის ორგანოს გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან, რადგან ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში სავალდებულოა გასაჩივრების ვადის ამონურვის კონკრეტული თარიღის მითითება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით აღნიშნული ვალდებულება ვერ შესრულდება, თუ გასაჩივრების ვადის ათვლა მოხდება აქტის მხარისთვის ჩაბარების მომენტიდან, რადგან „საქპატენტისა“ და საერთაშორისო ბიუროსთვის წინასწარ ვერ იქნება ცნობილი გადაწყვეტილების განმცხადებლისთვის ჩაბარების თარიღი.

განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადაწყვეტილების, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გათვალისწინებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში. საკასაციო პალატა არ იზიარებს მონინალმდეგე მხარის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქპატენტთან არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველ ორგანოში – სააპელაციო პალატაში კომპანია „...“ საჩივრის შეტანის ვადა უნდა ათვლილიყო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან და მიიჩნევს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტები და საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მიერ 23.08.99წ. №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 17.1 და 22.1 მუხლები სიტ-

ყვასიტყვით არ უნდა განიმარტოს. ხსენებულ მუხლებში მოცემული რეგულაციის დადგენა ნორმის განმარტების სისტემურ მიდგომას, ხსენებული ნორმების კანონმდებლობის სხვა აქტებთან ორგანული კავშირის გათვალისწინებას საჭიროებს. საჩივრის დაუშვებლად ცნობას არ ადასტურებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.2 მუხლის მითითება იმაზე, რომ გადანყვეტილება სააპელაციო პალატაში შეიძლება გასაჩივრდეს გადანყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 16.2 მუხლის დებულების დაკონკრეტება მოცემულ შემთხვევაში მოხდა კანონის სხვა მუხლებში და კანონქვემდებარე აქტში. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 13.5 მუხლი ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე საქპატენტის მიღებული გადანყვეტილების განმცხადებლისათვის გაცნობას, ამავე კანონის 14.3 მუხლი ითვალისწინებს არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე გადანყვეტილების განმცხადებლისათვის გაგზავნას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ექსპერტიზის გადანყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქპატენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტით. სსიპ საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების 6.3 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნებიდან/ ჩაბარებიდან (და არა გადანყვეტილების გამოტანიდან) 3 თვის ვადაში. საჩივრის დაუშვებლად ცნობის კანონიერების დასაბუთებისათვის სააპელაციო სასამართლო განჩინებაში უთითებს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნას სარჩელის წარდგენის ვადის დაცვის საჭიროებაზე, ამასთანავე სასამართლოს შეფასების მიღმა რჩება დებულების 6.3 მუხლი, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებდა აპელანტი სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტს შორის კოლიზიას, 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული დებულების ხსენებული ნორმა აკონკრეტებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონისა და დასახელებული ინსტრუქციის მუხ-

ლებს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.9 მუხლის თანახმად, გამოცემულია საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად. ამდენად, არ არსებობს კანონსა და კანონქვემდებარე აქტს შორის კოლიზია, ამ კოლიზიის გადასაჭრელად სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სსკ-ის 6.3 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.7 მუხლის საფუძველზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმის საჭიროება (ინციდენტური კონტროლი), ვინაიდან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტთან, მითითებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ავსებენ ერთმანეთს. ამდენად, გასაჩივრების ვადა აითვლება არა გადაწყვეტილების მიღებიდან, არამედ გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობიდან. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის, აგრეთვე სასამართლოების მოსაზრებას აქტის გასაჩივრების ვადის გადაწყვეტილების მიღებიდან, კანონით დადგენილი წესით აქტის ოფიციალურ გაცნობამდე ათვლის შესაძლებლობის შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად გასაჩივრების ვადა აითვლება სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან. აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის – კონტროლის განხორციელების უარყოფას, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებამდე კონტროლის განხორციელება არ დაიშვება. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი – წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.). აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალულობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სასამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. გასაჩივრების ვადის ათ-

ვლამ არ ხდება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან. აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად მნიშვნელოვანია აქტის ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრა. საჩივრის უფლება წარმოიშობა გამოცემული აქტით უფლების დარღვევით, რომელიც მხოლოდ ძალაში შესული აქტით არის შესაძლებელი, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას მისი გასაჩივრების წესის შესახებ. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების ათვლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სზაკ-ის 94.2 მუხლი დამატებით ადგენს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, რომლის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის ადრესატისთვის ინდივიდუალური გაცნობა სირთულეებთან ან დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია სზაკ-ით გათვალისწინებული აქტის ოფიციალური გაცნობის ერთ-ერთი სახეობის (კერძოდ, აქტის გადაცემა (58-ე მუხ.), გამოქვეყნება შესაბამისი ორგანოს ბეჭდვით ორგანოში(56-ე მუხ.), საჯაროდ გამოცხადება (57-ე მუხ.)) გამოყენება. აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სზაკ-ის 55-58-ე მუხლებს და სპეციალურ კანონმდებლობაში მოცემულ თავისებურებებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში განაცხადის მონაცემები გამოქვეყნდება არსობრივი ექსპერტიზის მხოლოდ დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს დადებითი გადანყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში (მე-15 მუხ.). ამდენად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გამოქვეყნების საკითხი არ დგება არსობრივი ექსპერტიზის უარყოფითი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში. არსობრივი ექსპერტიზის უარყოფითი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს აქვს გადანყვეტილების საქპატენტის სააპელაციო პალატაში გასაჩივრების უფლება, ასეთი უფლების გამოყენების პირობაა გადანყვეტილების ადრესატისათვის გაცნობა, ვინაიდან საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.116. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპა-

ტენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ 1.2 მუხლის თანახმად საპელაციო პალატა თავის საქმიანობაში, სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით. ამდენად, იმისათვის, რომ პირი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ჩაითვალოს და მასზე გავრცელდეს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, მათ შორის გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების ვადის დაცვის ვალდებულება, როგორც მინიმუმ, საჭიროა მისი ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 23.08.1999წ. №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქცია, რეგისტრაციაზე უარის რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს საერთაშორისო განაცხადში მოცემული საქონლის სიმბოლოს საქართველოში დაცვაზე უარის შესახებ გადანყვეტილების განმცხადებლისათვის გაგზავნას საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით (21-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ინსტრუქციის თანახმად განმცხადებელს არ ეგზავნება მხოლოდ დადებითი გადანყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების, სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გადანყვეტილების მილებიდან გასაჩივრების ვადის ათვლა დაუშვებელია არა მხოლოდ იმის გამო, რომ მხარისათვის აქტის გაცნობამდე უცნობი იყო გადანყვეტილების შინაარსი, მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივი, არამედ აგრეთვე იმის გამოც, რომ მხარისთვის უცნობი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის მოთხოვნასთან დაკავშირებით თვით გადანყვეტილების მილების ფაქტი. ასეთ პირობებში, გადანყვეტილების მილებიდან კანონით განსაზღვრული გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა ილუზორულს გახდის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების სამთვიანი ვადის არსებობას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება“ ადგენს სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტებსა და მისი დასაშვებობის წინაპირობებს, ხსენებული დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული აქტის დასახელებას, ნომერს და თარიღს, მითითებას იმაზე, თუ აქტის რა ნაწილია გასაჩივრებული, აგრეთვე რაში მდგომარეობს აქტის უსწორობა, რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი. ხსენებული მუხლის შინაარსი დამატებით ადასტურებს გადანყვეტილების ტექ-

სტის გაცნობის გარეშე გადაწყვეტილების გამოცემიდან გასაჩივრების ვადის ათვლის დაუშვებლობას. ამდენად, გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ (ასეთ მომენტად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტის უფლებამოსილი პირისთვის ჩაბარება, გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღი და სხვ.). გასაჩივრების უფლება მოიცავს პრეზუმფციას, რომ პირისათვის ცნობილია აქტის შინაარსი. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა უარის თქმის საფუძველი და, შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ადმინისტრაციული საჩივრის/სარჩელის უფლების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა უფლებების და ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს, რაც განაპირობებს საჩივრის უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელი სწორედ ის არის, რომ დაინტერესებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. იმ მომენტამდე გასაჩივრების ვადის დინების ათვლის დაწყება, ვიდრე პირს არ მისცემია აქტის შინაარსის ოფიციალური წყაროს მეშვეობით გაცნობის შესაძლებლობა, უხეშად არღვევს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატაში გასაჩივრების წინაპირობებია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტებში მითითებული საფუძვლები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თავისი ბუნებით ის შუალედური აქტია, რომლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული დასტურდება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად არსობრივი ექსპერტიზა ამონებს დაცვაზე (რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძვლების არსებობას, არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე გან-

მცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. საქმის მასალებში დაცული ექსპერტიზის დასკვნა საერთოდ არ შეიცავს რაიმე დებულებას გასაჩივრებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე გამოიცა, კერძოდ, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 12.08.11წ. №1863/03 ბრძანებით, კომპანია „...“ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვაზე, ამასთანავე, ბრძანებაში აღინიშნა, რომ ის შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით საქპატენტის სააპელაციო პალატაში სამი თვის ვადაში. დეპარტამენტის უფროსის ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განმცხადებლისათვის არ გაგზავნილა, ბრძანება მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის (07.11.11წ.) შემდეგ 15.11.11წ. გაეგზავნა პატენტრწმუნებულს. საქპატენტის მიერ ისმო-ს საერთაშორისო ბიუროსთვის ინფორმაციული ხასიათის შეტყობინების გაგზავნა არ ათავისუფლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, განმცხადებლისათვის – პატენტრწმუნებულისათვის განცხადებაზე გამოცემული წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის ვალდებულებისაგან, სადაც სზაკ-ის 52.2 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად მითითებული იქნებოდა ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.2 და 8.2 მუხლების თანახმად, უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, საქპატენტთან ურთიერთობას წარმართავს მხოლოდ პატენტრწმუნებულის მეშვეობით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კომპანია „...“ წარმომადგენელს უარყოფითი პასუხი ჩაბარდა 04.08.11წ.. შესაბამისად, არ დასტურდება კანონით დადგენილი სამთვიანი გასაჩივრების ვადის გაცდენა.

სზაკ-ის 180.1 მუხლი გასაჩივრების ვადის ათვლას უკავშირებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღეს, თუ კანონით სხვა რამ

არ არის დადგენილი. საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და ქვეყნის კანონმდებლობით არ არის დადგენილი რაიმე საწინააღმდეგო, მადრიდის შეთანხმება და მისი ოქმი ასეთ დებულებას არ შეიცავენ. საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს არ ქმნიდა „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების“ მე-4 მუხლი. აღნიშნული აქტები არ იძლევა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, გასაჩივრების უფრო ნაკლები ვადის განსაზღვრის საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ნიშნის მფლობელს, გადანყვეტილების მიღებიდან გასაჩივრების ვადის ათვლის გამო, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, ფაქტიურად მიეცა საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადაზე რამდენიმე კვირით შემცირებული ვადა. საკასაციო პალატა თვლის, რომ რაიმე ობიექტური საფუძველი ასეთი დიფერენცირებული მიდგომისთვის არ არსებობს. „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმების მე-4 მუხლის, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული 27.06.1989წ. ოქმის“ (რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 13.05.1998წ. №1380-III დადგენილებით) მე-4.1 და 5.3 მუხლების თანახმად, ნიშანს ენიჭება იგივე დაცვა, როგორც მას ექნებოდა ნიშნის უშუალოდ ამ მონაწილე მხარის უწყებაში წარდგენისას. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრების განსხვავებული წესი საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის განპირობებულია საერთაშორისო აქტებით დადგენილი განსხვავებული წესით. „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის ხელშეკრულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე პირობებით, რა პირობებიც არის დადგენილი ნაციონალური რეგისტრაციისათვის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს საერთაშორისო ბიუროს ვალდებულებას საერთაშორისო ნიშნის მფლობელის ადმინისტრაციის მიერ უარის თქმის ერთი ეგზემპლარის გადაგზავნის თაობაზე, ამავე პუნქტში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ დაინტერესებულ პირს ეძლევა ისეთივე უფლება გასაჩივრებისთვის, როგორც განცხადების შეტანის ქვეყანაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს განსხვავებულ მიდგომას, უკეთეს არსებული განსხვავება

იძლევა განსხვავებული მიდგომის მართლზომიერების დასაბუთების შესაძლებლობას. განსხვავებული, შედარებით არახელსაყრელი პირობების განსაზღვრა განპირობებული უნდა იყოს არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზებით (ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია), დაუშვებელია არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ (დისკრიმინაციული დიფერენციაცია) და პირიქით. მოცემულ შემთხვევაში უფლების დაცვის შედარებით არახელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრება საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის განპირობებული უნდა იყოს არსებითი მიზეზებით. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადებთან მიმართებით, უცხოელი განმცხადებლის უთანასწორო, განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენებას არ აქვს გონივრული და ობიექტური საფუძველი. ასეთ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი პირისთვის აქტის ჩაბარებიდან გასაჩივრების ვადის ათვლა შეუძლებელს გახდის საბოლოო ვადის ამონურვის თარიღის მითითებას, რადგან საქპატენტისთვის და საერთაშორისო ბიუროსათვის არ არის წინასწარ ცნობილი განმცხადებლის ვადანწყვეტილების ჩაბარების დრო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვადის ამონურვის თარიღის მითითება არ ნიშნავს სავალდებულო წესით საბოლოო, კონკრეტული დღის მითითების საჭიროებას. გასაჩივრების წესში, მითითება იმაზე, რომ საერთაშორისო ნიშნის მფლობელს აქვს საჩივრის შეტანის შესაძლებლობა აქტის გაცნობიდან 3 თვის განმავლობაში, სავესებით ცხადად განსაზღვრავს საჩივრის შეტანის ვადას, მისი ამონურვის მომენტს. გარდა ამისა, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების“ 4.5 მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ამონურვის თარიღის მითითება, რომელიც 17.2 მუხლის, 18.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად არის სასურველი და არა სავალდებულო, შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთეს საერთაშორისო ბიუროში ინფორმაციის გაგზავნამდე უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება განმცხადებელს (პატენტრწმუნებულს), რომლისთვისაც მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღიდან შესაძლებელი იქნებოდა გასაჩივრების სამთვიანი ვადის ამონურვის კონკრეტული თარიღის მითითება, მით უფრო, რომ 2006 წლის ივნისში მომზადებული ისმო-ს სტანდარტული შეტყობინების (MM/LD/WG/2/6) ფორმულარი (მე-10 გრაფა) ითვალისწინებს წინასწარი უარის შეტყო-

ბინების თარიღის მითითებას, რაც თავისთავად შესაძლებელს ხდის ზღვრული ვადის მითითების შესაძლებლობას (მე-9 გრაფა). შეტყობინებაში შედავების წარდგენის საბოლოო თარიღის მითითება შესაძლებელია შედავების წარდგენის თარიღის დაწყების შემთხვევაში, ხოლო უკანასკნელი შესაძლებელია უარის შესახებ განმცხადებლის შეტყობინების შემთხვევაში. შეტყობინებიდან ვადის ათვლის მართებულობა დასტურდება „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესის“ სხვა დებულებებით, რომელთა მიერ დროის გარკვეული პერიოდით განსაზღვრული მოთხოვნების ვადების (მაგ. წესების 11.4 მუხლის „B“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო განაცხადის ხარვეზის გამოსწორების ვადის, 12.7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბაჟის და მოსაკრებლის თანხის გადახდის, 13.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის და მომსახურების მითითების წესის დარღვევის გამოსწორებისათვის წინადადების წარდგენის ვადის, აგრეთვე 20.2 bis მუხლის „B“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის შესახებ ჩანაწერის განხორციელების თაობაზე მიმართვის ხარვეზის გამოსწორების, 26-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილების ან გაუქმების ჩანაწერის შეტანის შესახებ განცხადების ხარვეზის გამოსწორების ვადის და წესებით გათვალისწინებული სხვა (28.3 მუხ., 30.3, 34.3 მუხ. „დ“ ქვეპუნქტი) ვადების) ათვლა სახელდობრ შეტყობინების თარიღს უკავშირდება. დაცვის მინიჭებაზე უარის შეტყობინებაში საჩივრის წარდგენის საბოლოო თარიღის მითითება „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესის“ 16.1 მუხლის „B“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებელია უკეთეს ცნობილია ინფორმაციის წარდგენის მომენტისათვის შედავების წარდგენისა და დასრულების ვადის თარიღები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრების უფლების რეალიზაცია, ხსენებული ოქმის ზოგადი წესების მე-17 მუხლის თანახმად, საჭიროებს გარკვეულ გონივრულ ვადას. გასაჩივრების ვადის ათვლა გადანყევტილების მიღებიდან მაშინ, როდესაც შეტყობინება ისმო-დან საერთაშორისო ნიშნის მფლობელს შესაძლოა ჩაბარდეს მოგვიანებით, მათ შორის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამთვიანი ვადის შემდეგ, არ პასუხობს გონივრულობის მოთხოვნებს და ქმნის ვითარებას, როდესაც სუბიექტს არ რჩება გასაჩივრების უფლების რეალიზაციის სათანადო ვადა, ან ეძლევა იმდენად

მცირე გასაჩივრების პერიოდი, რომ შეუძლებელია ამ უფლების სრულყოფილი განხორციელება (პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ბიუროს მიერ წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება სასაქონლო ნიშნის მფლობელს გასაჩივრების ვადის შემდეგ გადაეგზავნა (მაგ. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „□□□□□□□“ „ETALON GROUP“). დადგენილ ვადაში შეტყობინების მიუღებლობის გამო, მაგ. საქპატენტის 13.12.11წ. №01-03/1451 აქტით, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელს აპელაციის შეტანის უფლება მიეცა შეტყობინების ჩაბარების დღიდან 3 თვის განმავლობაში). საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი საქმიანობა ისე უნდა წარმართოს, რომ უზრუნველყოს ეროვნული განმცხადებლისათვის და საერთაშორისო ნიშნის მფლობელისათვის უარყოფითი გადაწყვეტილების კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში გასაჩივრების უფლებით რეალური სარგებლობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულება არის იურისდიქციული საქმიანობის სახეობა, რომელიც ეხება დავის გადაწყვეტას, კონფლიქტის გადაჭრას, დარღვეული უფლების აღდგენას ან კანონიერი ინტერესის დაცვას, სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მხარისათვის გაცნობის პროცესის ორგანიზაციის, აპარატის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხი მმართველობის სფეროს განეკუთვნება და სცილდება დავის საგანს და სასამართლო საქმიანობის სფეროს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტი – საქპატენტის სააპელაციო პალატის 25.10.11წ. №90-03/11 გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, გამოიცა სზაკ-ის 182-ე მუხლის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია საჩივრის ავტორისათვის აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მიღების შემდეგ (სზაკ-ის 182.2 მუხ.). აღნიშნული დებულებისგან განსხვავებულ რეგულაციას არც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი და არც საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სა-

აპელაციო პალატის დებულება“ არ შეიცავს, უფრო მეტიც, დებულების 1.3 მუხლში მითითებულია, რომ სააპელაციო პალატა თავის საქმიანობაში სზაკ-ით ხელმძღვანელობს. ხსენებულის მიუხედავად სადავო აქტი სზაკ-ის 182.2 მუხლის მოთხოვნის დაუცველად გამოიცა. სადავო აქტი გამოცემულია აგრეთვე „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ მე-5 მუხლის დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 03.07.10წ. დადგენილებით დამტკიცებული საფასურის გადახდის დაბრუნებას საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში (საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჩივარს თანდართული ჰქონდა საჩივრის განხილვისათვის საჭირო საფასურის გადახდის წერილის ასლი).

სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში გაიმეორა საქალაქო სასამართლოს არგუმენტაცია და საერთოდ არ უპასუხა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციას. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების მოტივაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების მომნიშვნელოვანი ნორმების დებულებების აღწერას და ნიშნების მსგავსების გამო რეგისტრაციაზე უარის თქმის დასაბუთებას მაშინ, როდესაც საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე სასაქონლო ნიშანზე საქართველოში დაცვის მინიჭებისათვის საჭიროა მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზის ჩატარება. ამასთანავე დავა ეხება მხოლოდ და მხოლოდ საჩივრის დაუშვებლად ცნობის, გასაჩივრების პროცედურის დაცვის მართლზომიერებას და არა სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის კანონიერებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის წინააღმდეგობრივი. განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევით არის გამოტანილი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო აქტი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მხოლოდ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 25.10.11წ. გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ აგრეთვე მოპასუხისათვის კომპანია „...“ საჩივრის განსახილველად მიღების დავალებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11 წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ მე-8 მუხლით გასაჩივრების ვ-თვიანი ვადის გარდა დადგენილია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობებიც, როგორცაა: სააპელაციო საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ (8.6 მუხ.), საჩივრის შეტანა სააპელაციო პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ფორმით (8.2 მუხ.), საჩივრის შეტანა განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთთან (8.8 მუხ.), გასაჩივრებული აქტის ასლთან (8.4 მუხ.) ერთად, ასევე საჩივრისა და თანდართული მასალების ასლების მონაწილე მხარეთა რაოდენობის შესაბამისად წარდგენა (8.5 მუხ.). ამასთანავე, მე-8 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულია სააპელაციო საჩივრის შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტები. უკეთეს საჩივარი არ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მე-2 – მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააპელაციო პალატა მას არ იღებს არსებითად გასახილველად და ადგენს ხარვეზს (8.10 მუხ.). ამდენად, ვინაიდან გასაჩივრების ვადის დარღვევულად მიჩნევის გამო, საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობები ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ შეუმომნებია, საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობებზე მსჯელობა სცილდება სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქპატენტის სააპელაციო პალატას უნდა დაევალოს ხელახლა იმსჯელოს კომპანია „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

სსკ-ის ნ3-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ მიღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია საპატენტო ბიუროს კურიერის ლ.ს-ის მიერ. შესაბამისად, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანია „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.12წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. კომპანია „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ბათილად იქნეს ცნობილი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 25.10.11წ. №90-03/11 გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სააპელაციო პალატას დაევალოს კომპანია „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა;
4. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს – „საქპატენტს“ ლ. ს-ის (პ.ნ....) სასარგებლოდ დაეკისროს 550 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

ადმინისტრაციული აქტის კანონიერების გადასინჯვა

განჩინება

№ბს-298-295(კ-14)

23 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე – რ. ს-ა;

მოპასუხე: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 24-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალდებულება.

სარჩელის საგანი:

1. დაევალოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს ბათილად ცნობას 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, უძრავი ნივთი, მდებარე სოფ. ..., ფართობით: 501.00 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...) განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეფორმით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რ. ს-ას საკუთრებად;

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის მითითებით, 1995 წელს რ. ს-ას მიწის ნაკვეთის №85 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა გარდაბნის რ/ნ სოფ. ... და-

სახლებში მდებარე 500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

2008 წლის 23 ივნისს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება №..., განმცხადებლად მითითებული იყო რ. ს-ა, მისამართი სოფ. განცხადებით მოთხოვნილი იყო საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეფორმით მიღებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, მდებარე გარდაბნის რაიონის სოფ. განცხადებას სხვა დოკუმენტებთან ერთად ერთვოდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა რ. ს-ას სახელზე.

მოსარჩელის მითითებით, 2006 წლის 26 ივნისის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება. ამავე კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ხელმოწერას. მოსარჩელის მტკიცებით, კი სარეგისტრაციო სამსახურისათვის რ. ს-ას სახელით გაკეთებულ განცხადებას ხელს აწერს არა ს-ა, არამედ – სხვა მოქალაქე, როგორც განცხადებიდან ჩანს, ვინმე ნ-ი, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, ნიშნავს იმას, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა წარმოებაში მიიღო დაინტერესებული პირის მიერ ხელმოწერული განცხადება თანდართული მასალებით, რაც არის ზემოაღნიშნული მუხლების დარღვევა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ამასთან, სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზეც დაინტერესებული პირის ხელით გაკეთებულია ხელმოწერა „...“. მოსარჩელის განმარტებით, რ. ს-ამ წერა არ იცის, რაც დასტურდება რწმუნებულებით, რომელზედაც მისივე თანხმობით და მისივე თანდასწრებით ხელი მოაწერა ორმა პიროვნებამ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს

მისი გამომცემი ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. 2013 წლის 4 სექტემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს და მოითხოვა 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან დაინტერესებული პირის – რ. ს-ას განცხადებაზე არ იყო განმცხადებლის ხელმოწერა, განცხადებას არ ერთვოდა მინდობილობა, რომელიც უფლებას მისცემდა მინდობილ პირს გაეკეთებინა თავისი ხელმოწერა, ამასთან ერთად სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა რა რ. ს-ას მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა, სადაც გარკვევით ჩანდა, რომ რ. ს-ამ არ იცის წერა კითხვა, რაზედაც 2013 წლის 6 სექტემბრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №158489 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი, იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი განცხადება თავისი შინაარსით წარმოადგენდა საჩივარს და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია ვიდრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათილად არ იქნება ცნობილი, ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. იქვე სარეგისტრაციო სამსახური მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს.

სამართლებრივი: მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე, მე-80, 178-ე და მე-60¹ მუხლებს და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ა. ი-ი.

მესამე პირმა – ა. ი-მა წერილობითი შეპასუხებით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის შესაგებელი:

სამართლებრივი: მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, „საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი“. იმავე კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის საფუძველზე, „თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის მე-4 თავით გათვალისწინებული დებულებანი“, ამავე კოდექსის 80.4 მუხლის შესაბამისად, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს“. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეს მიაჩნია, რომ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ, კანონიერია და არ არსებობს ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, ამ ნაწილში მოპასუხეს მიაჩნია, რომ არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, მოპასუხის განმარტებით, 2008 წლის 23 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა რ. ს-ას განცხადება გარდაბანში, სოფ. ..., მდებარე 500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. სარეგისტრაციო დოკუმენტად წარმოდგენილი იყო მიღება-ჩაბარების აქტი №189. სადავო რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაცია წარმოებდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად იმ გარემოების მითითებას, რომ განცხადება დაწერილია არა რ. ს-ას, არამედ სხვა პირის მიერ, აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს. სარჩელსვე ერთვის თან ის დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა და კანონით დადგენილი წესით

დოკუმენტაციის სიყალბე არ დადგენილა, რაც გამოორიციხავს რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედების არსებობას, ხოლო განცხადების ხელმოწერა არაუფლებამოსილი პირის მიერ ცალსახად უკანონო ქმედებაა.

ასევე რ. ს-ას წერა-კითხვის უცოდინარობასთან დაკავშირებით მოპასუხე განმარტავს, რომ ამ ფაქტს აქარწყლებს ის, რომ სარჩელზე თანდართული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (გაფორმებული 2008 წლის 27 ივნისს დამონმებული ნოტარიუს მ. მ-ის მიერ, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის № 1-3236), რომლითაც დასტურდება, რომ რ. ს-ამ გაყიდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. აღნიშნული ხელშეკრულება დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ და მასში ასევე არ არის მითითება იმის თაობაზე, რომ გამყიდველი – ს-ა წერა-კითხვის უცოდინარია, საქმეში წარმოდგენილი აზომვეითი ნახაზიც ასევე ხელმოწერილია რ. ს-ას მიერ, რაც აქარწყლებს იმ გარემობას, რომ რ. ს-ა ვერ მოაწერდა ხელს სარეგისტრაციო განცხადებას.

2013 წლის 24 დეკემბრის სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის № 158489 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება, როგორც აქტის გამომცემმა ორგანომ ბათილად ცნოს 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც უძრავ ნივთზე, მდებარე სოფ. ..., ფართობით: 501.00 კვ.მ. (საკადასტრო კოდი:...), განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეფორმით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რ. ს-ას საკუთრებად.

მესამე პირმა – ა. ი-მა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების /სარეზოლუციო ნაწილის/ შინაარსი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ს-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

2013 წლის 4 სექტემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... (26.06.2008) გადაწყვეტილების გაუქმება, რაზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამ-

სახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რ. ს-ას წარმომადგენელს 2013 წლის 4 სექტემბრის №143141/17 ადმინისტრაციული განცხადების (თავისი შინაარსით საჩივრის) განხილვაზე.

2008 წლის 27 ივნისს რ. ს-ასა და ა. ი-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რ. ს-ამ გაყიდა, ხოლო ა. ი-მა იყიდა უძრავი ქონება, 501,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე გარდაბნის რაიონი, სოფ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გასაჩივრდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რ. ს-ას სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

უძრავი ქონება, 501,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე გარდაბნის რაიონი სოფ. ..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. ი-ის სახელზე.

2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება უძრავ ნივთზე, მდებარე, სოფელი ... (საკადასტრო კოდი: ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში 2008 წლის 23 ივნისის განცხადებაზე რ. ს-ას ხელმოწერა არ არის შესრულებული მის მიერ.

ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილების კანონიერება, ვინაიდან მოსარჩელის განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ორგანო, აღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იყო, თვითონ მიეღო გადაწყვეტილება აღნიშნულზე, არ მიეჩნია იგი საჩივრად და არ დაებრუნებინა განცხადება უკან.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ს-ას სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სადავო ფაქტების არ გაზიარების თაობაზე საქალაქო სასამართლოს შეფასება:

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს სასამართლოში არ წარუდგენია უფლების რეგისტრაციისას სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლომ მიუთითა,

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის წარმომადგენელი სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში 2008 წლის 23 ივნისს წარდგენილ განცხადებას და აზომვით ნახაზს ხელს აწერს არა რ. ს-ა, არამედ სხვა პირი. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეიძლება, გაზიარებული იქნეს მოსარჩელის პოზიცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან 2008 წლის 23 ივნისის განცხადებას დართული აქვს დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მინის ნაკვეთის აზომვით ნახაზსაც ხელს აწერს რ. ს-ა. ამასთან, მოსარჩელეს არ მიუთითებია და არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა მისი პირადობის მოწმობის ასლი არაუფლებამოსილ პირთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია მოსარჩელესა და მე-3 პირს შორის არსებული 2008 წლის 27 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ორივე მხარე ქართულად აწერს ხელს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით, მარეგისტრირებული ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაკავშირებული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშეაბნელობასა და უსაფრთხოებაზე. იმავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნებიან ცნობილი.

საქალაქო სასამართლომ შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში რ. ს-ას წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე და უარი განაცხადა 60.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაზე (ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო). განსახილველ შემ-

თხვევაში სახეზეა კანონიერ ძალაში შესული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი და ფიზიკური პირის განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოსაგან ითხოვს, ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა და სადავოდ გამხდარი არ ყოფილა.

სასამართლოს განმარტებით, ყველა ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე სამართლებრივი კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება სასამართლოს არ გააჩნია. სასამართლო იხილავს კანონით გათვალისწინებული წესით წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობის საკითხს. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 6 სექტემბრის 158489 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. გადაწყვეტილება განეკუთვნება 60¹.3 მუხლის ფარგლებში მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის ბათილად ცნობის საფუძველი სასამართლოს არ გააჩნია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსარჩელის წარმომადგენელი ვერ უთითებს, თუ რომელ კანონს ეწინააღმდეგება გასაჩივრებული აქტი ან მისი მომზადების და გამოცემისას კანონმდებლობით დადგენილი რომელი მოთხოვნები დაირღვა.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ 2008 წლის 26 ივნისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლის საფუძველზედაც უძრავ ნივთზე მდებარე სოფ. ..., ფართობი 501,00 კვ.მ (ს.კ ...) განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია რეფორმით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს. ამ უკანასკნელმა მოსარჩელის წარმომადგენელს უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციის შესახებ საჩივრდება სასამართლო წესით. მითითებული ნორმა ადგენს საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს და იგი იმპერატიული ხასიათისაა.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური-

სათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება, კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დავალება, აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან კანონშესაბამისად იქნა მიღებული გადაწყვეტილება რ. ს-ას წარმომადგენელ გ. ჭ-ის 2013 წლის 4 სექტემბრის 143141/17 ადმინისტრაციული განცხადების (თავისი შინაარსით საჩივრის) განხილვის შესახებ და შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დავალების შესახებ.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-5, 29-ე მუხლებითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 და მე-60¹ მუხლებით.

აპელანტი: რ. ს-ა;

მონინალმდგე მხარე: (მოპასუხე) – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური;

მესამე პირი – ა. ი-ი;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ დაამახინჯა ფაქტები და უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა 2013 წლის 4 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით და მოითხოვა ამავე სამსახურის მიერ 2008 წლის 26 ივნისს მიღებული №... გადაწყვეტილების გაუქმება, რაც არასწორია. მან სასამართლოში ხაზგასმით მიუთითა, რომ ეს არ იყო ადმინისტრაციული საჩივარი, იყო თხოვნა, განცხადება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ბათილად ეც-

ნომის მიერვე გამოცემული უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით, როგორც რ. ს-ას წარმომადგენელს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციულ საჩივრად მიიღო განცხადება მის მიერვე გამოცემული უკანონო აქტის ბათილად ცნობის თხოვნით და თვითონვე თქვა უარი მის განხილვაზე. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 23 ივნისის განცხადება უფლების რეგისტრაციის შესახებ წარდგენილია რ. ს-ას სახელით, მაგრამ სხვა პირის ხელმოწერით.

აპელანტის მითითებით, 2008 წლის 23 ივნისს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა რ. ს-ას სახელით გაკეთებული განცხადება და დოკუმენტები უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის შესახებ. განცხადებას ხელს აწერს არა რ. ს-ა, არამედ ვინმე ნ-ი და ეს კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც. იგივე ნ-ი იხდის სარეგისტრაციო თანხას და განცხადებაზე ხელმოწერის იდენტურად აწერს ხელს გადახდის ქვითარზე. სარეგისტრაციო სამსახურს ასევე წარედგინა რ. ს-ას პირადობის ასლი და საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სადაც დაინტერესებულს პირის სახელით არის ხელმოწერა „...“, პირადობის ასლზეც არის ხელმოწერა „...“ რ. ს-ას განმარტებით, მას არ მიუმაართავს საჯარო რეესტრისათვის უძრავი ქონების რეგისტრაციის თხოვნით, არ მიუცია რწმუნებულება არავისთვის, ასევე განცხადებაზე და საკადასტრო ნახაზზე არსებული ხელმოწერები მას არ ეკუთვნის და საერთოდ არაფერი იცოდა მასზე რიცხული ქონების რეგისტრაციის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ არ იცის ქართული წერა-კითხვა და იმ დოკუმენტებზე, სადაც ის ნამდვილად აწერდა ხელს, ამას აკეთებდა მისთვის წინასწარ დიდი შრიფტით დაწერილი ასოების გადახატვით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ხელმოწერას. საჯარო რეესტრის გარდაბნის სამსახურისათვის წარდგენილ განცხადებაზე კი არ იყო ს-ას ხელმოწერა, სარეგისტრაციო სამსახურმა არ გამოიკვლია წარდგენილი დოკუმენტები და ისე დაარეგისტრირა ქონება.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე, 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნები და მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ამ გარემოებების მითითებით მიმართა განცხადებით გარდაბნის სარეგისტრაციო

სამსახურს, რომ გამოეყენებინა მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლება და ბათილად ეცნო მის მიერ გამოცემული უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. მაგრამ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა თავისი 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით უარი თქვა განცხადების განხილვაზე. უარის თქმის საფუძველად კი მიუთითა, რომ განცხადება თავისი შინაარსით იყო ადმინისტრაციული საჩივარი და საჯარო რეესტრის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოს წესით, რაც ასევე არასწორია, ვინაიდან როცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლით განცხადებით მოთხოვნილი საკითხი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, ის ვალდებულია, არა უგვიანეს 5 დღისა, მასალები და განცხადება გადაუგზავნოს უფლებამოსილ ორგანოს. ამავე კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს სრული უფლება ჰქონდა განეხილა მოთხოვნილი საკითხი და მიეღო გადაწყვეტილება. მაგრამ, როგორც განცხადებიდან ჩანს, მან განცხადება მიიღო ადმინისტრაციულ საჩივრად. ამ შემთხვევაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და წყვეტს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ზემდგომი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, თუ ასეთი არის ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო თუ აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ და ადმინისტრაციული ორგანოს სახელით ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება გამოტანილია სარეგისტრაციო სამსახურის სახელით და ამდენად, თუ განცხადება საჩივრად მიიღო, მას როგორც არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, არ ჰქონდა მისი განხილვის ან მის განხილვაზე უარის თქმის უფლება. მას ის უნდა გადაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის №158489 გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით. სამოტივაციო ნაწილის მე-6 პუნქტში სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში რ. ს-ას წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად

ცნობის თაობაზე და უარი განაცხადა მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაზე. თავად აქტში გარკვევით არის მითითებული, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არც გახსენებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილი. მან განაცხადება საჩივრად მიიღო და არ იმსჯელა მის ბათილად ცნობაზე. ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის გარდაბნის სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ის განეკუთვნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებში გამოცემულს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა უარი თქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმას ითვალისწინებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლი და ამის უფლება აქვს საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური კი იყო და არის არაუფლებამოსილი. არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული აქტი არის უკანონო და ის მე-60¹ მუხლით ბათილად უნდა იყოს ცნობილი.

სასამართლო სამოტივაციო ნაწილის ერთ პუნქტში აცხადებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით იმსჯელა ბათილად ცნობის შესახებ და გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევით. ამასთან, იმავე გადაწყვეტილებით სასამართლომ უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლო ცრუობს, როცა მიუთითებს, რომ მას არ უჩვენებია, თუ რა კანონი დაარღვია ადმინისტრაციულმა ორგანომ 2013 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოცემისას, ვინაიდან მან სარჩელშიც და სასამართლო სხდომაზეც გარკვევით მიუთითა, რომ მისი განაცხადება არ იყო ადმინისტრაციული საჩივარი, ის იყო უბრალოდ თხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ბათილად ეცნო მის მიერვე გამოცემული უკანონო ადმინისტრაციული აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და ამდენად მას უნდა განეხილა განაცხადება და თუ მოთხოვნას საფუძვლიანად ჩათვლიდა, დაეკმაყოფილებინა, თუ არადა უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე. ამით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავი, კერძოდ, 178-ე მუხლის

მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური არ არის უფლებამოსილი მის მიერვე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე შეტანილი საჩივრის განხილვაზე, არც მისი დაკმაყოფილების და არც მის განხილვაზე უარის თქმის კუთხით. მას საჩივარი უნდა გადაეგზავნა ეროვნულ სააგენტოში და სწორედ ის იყო უფლებამოსილი მიეღო მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილება. მან ეს გარკვევით მიუთითა სარჩელშიც და სასამართლოშიც. თავის გადაწყვეტილებაში კი სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს ამ გარემოებაზე.

აპელანტის მითითებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა მეორე სასარჩელო მოთხოვნა – საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს დავალებოდა გამოეცა ახალი აქტი მის მიერვე 2008 წლის 26 ივნისის №... მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. ამ აქტის ბათილად ცნობის საფუძველად იგი მიუთითებდა იმ ფაქტს, რომ წარდგენილ განცხადებაზე არ არის დაინტერესებული პირის ხელმოწერა, მასზე მიღებული გადაწყვეტილება თავისთავად უკანონოა, მაგრამ სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნის უარის თქმის საფუძველად მიუთითა, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ პირმა როგორ უნდა მოაწეროს ხელი განცხადებას ან სხვა დოკუმენტს. მართალია, კანონი არ განსაზღვრავს როგორ უნდა მოაწეროს ხელი კერძო პირმა კონკრეტულ დოკუმენტს, მაგრამ ეს არის იშვიათი მოვლენა, პრაქტიკაში ეს არ გამოიყენება და ყველა თავის სახელსა და გვარს სცემს პატივს. ამდენად, როცა რ. ს-ას სახელით გაკეთებულ განცხადებაზე საჯარო რეესტრმა ნახა სხვა გვარით გაკეთებული ხელმოწერა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ის ვალდებული იყო, გამოეკვლია ყველა გარემოება, თუ რით იყო ეს განპირობებული. მასვე ამ განცხადებასთან ერთად ჰქონდა რ. ს-ას პირადობის ქსერო-ასლი, სადაც არის ხელმოწერა „...“, მას ჰქონდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სადაც არის დაინტერესებული პირის ხელმოწერა „...“, მასვე ჰქონდა ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, სადაც იყო თანხის გადამხდელის ხელმოწერა და მისი პირადი ნომერიც. ხელმოწერა იყო აბსოლუტურად იდენტური განცხადებაზე არსებული ხელმოწერისა. ამ ვითარებაში სარეგისტრაციო სამსახური ზაკ-ის 96-ე მუხლის შესაბამისად ვალდებული იყო, გამოეკვლია ეს გარემოება და 97-ე მუხლის მიხედვით გასაუბრებოდა მანც რ. ს-ას ამ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც მას არ გაუკეთებია, სწორად ამაში მდგომარეობს

მითითებული გადაწყვეტილების უკანონობა. სასამართლომ ასევე უკანონოდ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა წინასასამართლო მასალების გამოთხოვის შესახებ, სადაც ნ-ი ადასტურებს, რომ განცხადებას მან მოაწერა ხელი.

აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ ასევე უკანონოდ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობები გრაფიკული ექსპერტიზის დაკმაყოფილების შესახებ, რითაც უტყუარად დადგინდებოდა, რომ რ. ს-ას სახელით წარდგენილ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერები არ ეკუთვნოდა რ. ს-ას. რაც შეეხება გადაწყვეტილებაში მითითებულ იმ გარემოებას, რომ რეგისტრაციის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებით ქონება გადაფორმდა მესამე პირზე – ა. ი-ზე, ამ ნასყიდობის ხელშეკრულებით ს-ა შეყვანილი იყო შეცდომაში, მან არ იცოდა მასზე ქონების რეგისტრაციის ფაქტი, მისივე განმარტებით, ა. ი-მა ის ნოტარიუსთან წაიყვანა მოტყუებით, იმ მიზნით, რომ გაეცნორებინათ ნაკვეთის ნომრები და სინამდვილეში კი მას ხელი მოაწერინეს ხელშეკრულებაზე, რომლის ნამდვილი შინაარსი მან არ იცოდა, ვინაიდან არ იცის ქართული წერა-კითხვა და არც ნოტარიუსს მოუთხოვია დამსწრე, რომელიც ამ აქტის გაფორმებას დაესწროდა და ს-ას მის ნამდვილ შინაარსს გააცნობდა. ამ გარემოებებთან დაკავშირებით გარდაბნის შინაგან საქმეთა სამმართველოში უკვე დაწყებულია გამოძიება და რამდენადაც მისთვის ცნობილია დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზებიც.

მესამე პირმა – ა. ი-მა სააპელაციო შესაგებლით მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციოს/ შინაარსი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით რ. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტები:

2013 წლის 4 სექტემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... (26.06.2008) გადაწყვეტილების გაუქმება, რაზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამ-

სახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რ. ს-ას წარმომადგენელს 2013 წლის 4 სექტემბრის №143141/17 ადმინისტრაციული განცხადების (თავისი შინაარსით საჩივრის) განხილვაზე.

2008 წლის 27 ივნისს რ. ს-ასა და ა. ი-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რ. ს-ამ გაყიდა, ხოლო ა. ი-მა იყიდა უძრავი ქონება, 501,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე, გარდაბნის რაიონი სოფ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გასაჩივრდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რ. ს-ას სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

უძრავი ქონება, 501,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე გარდაბნის რაიონი სოფ. ..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. ი-ის სახელზე.

2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება უძრავ ნივთზე, მდებარე სოფ. ... (საკადასტრო კოდი: ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 20 თებერვლის №94/გრ კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: 1. ხელმოწერა დოკუმენტზე, მითითებული №1 ცხრილში რიგითი ნომრით 1, შესრულებულია არა რ. ს-ას, არამედ სხვა პირის მიერ. დადგენა საკითხისა – აღნიშნული ხელმოწერა შესრულებულია თუ არა ა. ნ-ის ან ა. ი-ის მიერ შეუძლებელია, გამომდინარე იქიდან, რომ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული პირების მიერ შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებით შესრულებული ხელმოწერის ნიმუშები; 2. ხელმოწერები დოკუმენტებზე, მითითებული №1 ცხრილში რიგითი ნომრებით 2, 3, 4 და 5, სავარაუდოდ, შესრულებულია ა. ნ-ის მიერ; 3. ხელმოწერები დოკუმენტებზე, მითითებული №1 ცხრილში რიგითი ნომრებით 6, 7 და 8, შესრულებულია რ. ს-ას მიერ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად

ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ამდენად, მითითებული ნორმით ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით ცალსახად არის დადგენილი, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს დასაშვები და დაკმაყოფილებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არა მხოლოდ კანონს ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. იმავე კოდექსის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. ამდენად, ცალსახად დადგენილია, რომ დაუშვებელია, თუნდაც უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს მის მიმართ. ასეთი აქტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს ბათილად ცნობილი, თუ იგი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს, ან ინტერესებს.

განსახილველ საქმეში მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას

წარმოადგენს, დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. მითითებული გადაწყვეტილებით უძრავ ნივთზე, მდებარე: სოფ. ... (საკადასტრო კოდი: ...), 501 კვ.მ.ფართზე, საკუთრების უფლება დარეგისტრირდა რ. ს-ას სახელზე. რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძველია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. სააპელაციო პალატის განმარტებით, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კიდევაც რომ იყოს უკანონო, მაინც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან ამ აქტით არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგება რ. ს-ას უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. უფრო მეტიც, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილებით რ. ს-ას ზიანი კი არ მიადგა, პირიქით, მის სასარგებლოდ, მის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ის მიწის ნაკვეთი (მდებარე: სოფ. ..., საკადასტრო კოდი: ..., 501 კვ.მ.ფართი), რომელიც მანამდეც, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მის საკუთრებას წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილებით – აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რ. ს-ას უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ მიყენებია, ამიტომ, თუნდაც ამ გარემოების გამო, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტი სარჩელის დაკმაყოფილების მთავარ საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ განცხადებაზე და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ხელს აწერს არა რ. ს-ა, არამედ სხვა პირი. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, იზიარებს აპელანტის წარმომადგენლის მსჯელობას მასზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ხელმოწერას. განსახილველ შემთხვევაში კი საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ განცხადებას, რომლის საფუძველზეც მოხდა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების მიღება და რ. ს-ას სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფ-

ლებით უძრავი ნივთის (მინის ნაკვეთი) აღრიცხვა, ხელს აწერს არა რ. ს-ა, არამედ სხვა პირი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს გარემოება, ანუ განცხადებაზე და საკადასტრო აზომვით ნახაზზე განმცხადებლის – რ. ს-ას ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლება გახდეს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, პირველ რიგში, ამ გადაწყვეტილებით არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ მიდგომია რ. ს-ას. ამასთან, სააპელაციო პალატის მითითებით, აღნიშნული გადაწყვეტილებით არა თუ ზიანი არ მიყენებია აპელანტს, პირიქით, ამ გადაწყვეტილებით ისარგებლა და მას დაეთანხმა რ. ს-ა, როდესაც სადავო მინის ნაკვეთის მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღის მომდევნო დღეს, ანუ 2008 წლის 27 ივნისს მან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა უძრავ ნივთზე და სადავო მინის ნაკვეთი მიჰყიდა ა. ი-ს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება რ. ს-ას არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მსჯელობა მასზედ, რომ რ. ს-ამ ამ გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იცოდა. ჯერ ერთი, მართალია, განცხადებას უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ხელს არ აწერს რ. ს-ა, მაგრამ მან ამ რეგისტრაციის შესახებ ყველაფერი იცოდა და ეთანხმებოდა მას, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ რ. ს-ას პირადობის მოწმობის ასლი, მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი და მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ასლი თან ერთვოდა განცხადებას და წარედგინა საჯარო რეესტრს. ეს დოკუმენტები კი სხვა პირთან ვერ მოხვდებოდა რ. ს-ას ნებართვის გარეშე, რაც იმას ადასტურებს, რომ რ. ს-ამ სადავო რეგისტრაციის შესახებ ყველაფერი იცოდა და ეთანხმებოდა მას. გარდა ამისა, 2008 წლის 27 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რაც სანოტარო წესით არის გაფორმებული და რასაც ხელს აწერს რ. ს-აც, ცალსახად არის მითითებული, რომ უძრავ ნივთზე რ. ს-ას საკუთრების უფლება დადასტურებულია გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების საფუძველზე გაკეთებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. ნოტარიუსი ასევე მიუთითებს, რომ ხელშეკრულების შინაარსი წაუკითხა და გააცნო მხარეებს. ამდენად, რ. ს-ას რომც არ სცოდნოდა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №...

გადანყვეტილების თაობაზე, ამას მაინც გაიგებდა 2008 წლის 27 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების და მისთვის ამ ხელშეკრულების გადაცემის მომენტიდან, ვინაიდან ამ ხელშეკრულებაში ცალსახად არის მოხსენიებული ზემოაღნიშნული გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადანყვეტილება, რაც რ. ს-ას არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის გადანყვეტილების ბათილად ცნობას, სააპელაციო პალატის შეფასებით, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა სწორად უთხრა უარი რ. ს-ას წარმომადგენელს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, ვინაიდან „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადანყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. გარდა ამისა, ეს გადანყვეტილება უკანონოც რომ იყოს, მაინც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან არ არსებობს ძირითადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორი: რ. ს-ა;

მონინალმდგეე მხარეები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური;

მესამე პირი – ა. ი-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, 2013 წლის 4 სექტემბერს განცხადებით მიმართა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურ-

რის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, როგორც უკანონო აქტის გამოცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ბათილად ეცნო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის სახელზე ქონების რეგისტრაციის შესახებ. უკანონობის საფუძვლად მითითებული იყო ის ფაქტი, რომ ვინაიდან, რ. ს-ას სახელით გაკეთებულ განცხადებაზე არ იყო ს-ას ხელმოწერა, ეს იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე და 78-ე მუხლების უხეში დარღვევა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა განცხადება ადმინისტრაციულ საჩივრად მიიღო და უარი თქვა მის განხილვაზე, რითაც უხეშად დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე და 182-ე მუხლები. კასატორის განმარტებით, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება გამოცემულია გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის სახელით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ განცხადება მიიჩინა საჩივრად, მას არ ჰქონდა უფლება მიეღო რაიმე სახის გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან ის იყო საჩივრის განხილვაზე არაუფლებამოსილი ორგანო, ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით, ამ მუხლით გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური კი არის არაუფლებამოსილი, რაც აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

კასატორის განმარტებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს იმ საკითხზე, თუ რამდენად იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი უარი ეთქვა იმ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, რომელიც შეტანილ იქნა მის მიერვე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე. სააპელაციო სასამართლო განჩინებაში განმარტავს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სხვადასხვა მუხლებს, მაგრამ არაფერს ამბობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე და 182-ე მუხლების მოთხოვნებზე.

კასატორი ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებაზე – ბათილად ცნოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, მიუთითებს, რომ

აღნიშნული რეგისტრაციის საფუძველია რ. ს-ას სახელით გაკეთებული განცხადება, მიღება-ჩაბარების აქტი და საკადასტრო აზომვითი ნახაზი. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვესპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 20 თებერვლის №94/გარ კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა, დასკვნის თანახმად, ხელმონერა დოკუმენტებზე მითითებული №1 ცხრილში რიგითი ნომრით შესრულებულია არა რ. ს-ას, არამედ სხვა პირის მიერ და მეორე, ხელმონერები დოკუმენტზე მითითებული №1 ცხრილში რიგითი ნომრით 2, 3, 4 და 5, სავარაუდოდ, შესრულებულია ა. ნ-ის მიერ. დოკუმენტი №1 ცხრილში რიგითი ნომრით 1, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ხელმონერა შესრულებულია არა რ. ს-ას, არამედ სხვა პირის მიერ. ეს საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელიც უძრავი ქონების დასარეგისტრირებლად წარედგინა სარეგისტრაციო სამსახურს და ამ დოკუმენტზე ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაინტერესებული პირის, რ. ს-ას სახელით ხელს აწერს სხვა პირი ე.ი. დოკუმენტზე დაინტერესებული პირის ხელმონერა არის გაყალბებული.

კასატორის მტკიცებით, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა და სასამართლოს განჩინებაში მითითებული ფაქტები ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დაინტერესებულ პირს, რ. ს-ას მარეგისტრირებული ორგანოსთვის განცხადებით არ მიუმართავს. დაინტერესებული პირის განცხადების გარეშე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, უკანონოა და შესაბამისად, უკანონოა ასეთი წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზედაც ექსპერტის დასკვნის თანახმად, გაყალბებულია დაინტერესებული პირის ხელმონერა, რაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დამატებითი საფუძველია. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლო ბოლომდე ვერ უარყოფს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილების უკანონობა და მიუთითებს, რომ ის როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კიდევ რომ იყოს უკანონო, მაინც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან მოსარჩელეს არ ადგება არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი. კასატორის განმარტებით, თუ სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არ მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი ეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე

მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობის საკითხი და თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტს მო-სარჩელისათვის ზიანი არ მიუყენებია სარჩელი დაუშვებლად უნდა ეცნო და არა უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნაზე. სარჩელის დასაშვებობის თაობაზე მსჯელობა იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოშიც, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლებლობა ეძლევა, გაუქმებინა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მისი თქმით მოტყუებით დაადებინეს, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს არ გაუსაჩივრებია. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უარყო რა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, მან დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნა და გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა მოითხოვა რ. ს-ას წარმომადგენლის – გ. ჭ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით რ. ს-ას წარმომადგენელმა გ. ჭ-ემ მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ს-ას წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და 2014 წლის 24 ივნისის განჩინებით მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. ს-ას წარმომადგენლის გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინება

და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო ნორმებით განსაზღვრული მოთხოვნების უგულვებელყოფით.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სახეები, ასევე ადმინისტრაციული საჩივრის და მისი დასაშვებობის შემოწმების საკითხი, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე ბს-122-115(2კ-13) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან პირის მიერ შეტანილი საპროცესო დოკუმენტების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრისა და მათი სტატუსის დადგენის კანონშესაბამისობას და აღნიშნა: „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს, განსაზღვრავს კანონიერი მმართველობის მიზანსა და პრინციპებს, სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს, ადამიანის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უმუშალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაცისათან, რაც კანონით დადგენილი რამდენიმე ფორმით ხორციელდება, რომე-

ლიც თავის მხრივ, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს შემოწმებისა და შეფასების სფეროს. ამდენად, საჯარო მოხელეების მხრიდან პირის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების ზუსტი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერების, თანასწორობისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნათელია, რომ ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტების სწორი გამოყენება – განმარტება კვლავ პრობლემატურია და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა ჯერ კიდევ ვერ გახდა სახელმძღვანელო სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისმა სასამართლო განმარტებამ აღნიშნულ საკითხზე ვერ უზრუნველყო ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოების მიერ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ფიზიკურ პირ – რ. ს-ასა და ადმინისტრაციულ ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს შორის, ფორმალურ-სამართლებრივ სფეროში, კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოებისას წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების კვალიფიკაციის კანონიერებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, შეფასება მისცა დავის საგანს, რითაც დაარღვია საქართველოს სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

საქმის მასალების მიხედვით დასტურდება:

1995 წელს რ. ს-ას მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №85 აქტით საკუთრებაში გადაეცა გარდაბნის რ/ს სოფ. ..., ... დასახლებაში მდებარე 500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

2008 წლის 23 ივნისს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, მდებარე: გარდაბანი, სოფ. ... (ზონა: გარდაბანი, სექტორი: ...), განცხადებას ერთვოდა: დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; მიწის მიღება-ჩაბარების აქტი.

2008 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განცხადება, რ. ს-ას საკუთრებად დარეგისტრირდა 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

2008 წლის 27 ივნისის რ. ს-ასა და ა. ი-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რ. ს-ამ გაყიდა, ხოლო ა. ი-მა იყიდა უძრავი ქონება, 501,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარე გარდაბნის რაიონი სოფ.

2013 წლის 4 სექტემბერს რ. ს-ას წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... (26.06.2008) გადაწყვეტილების გაუქმება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილით, განმცხადებლის განმარტებით, 2006 წლის 23 ივნისის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ განცხადებაზე გარდაბანი, სოფ. ... 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციაში გატარების თაობაზე, არ იყო რ. ს-ას ხელმოწერა, განცხადება წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რ. ს-ას წარმომადგენელს 2013 წლის 4 სექტემბრის №143141/17 (ორგანოს მიჩნევით – თავისი შინაარსით საჩივრის) განხილვაზე და განმცხადებელს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, დაუბრუნდა აღნიშნული საჩივარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. აქვე განემარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლება – მიმართოს სახელმწიფოს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას მისი ინტერესების დასაცავად, განეკუთვნება კონსტიტუციურ უფლებათა სისტემას. ადამიანის უფლებები იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალური და პროცედურული უფლებები. პირის პროცედურულ უფლებათა რიგს მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, შუამდგომლობათა აღძვრის უფლება, მტკიცებულებათა წარდგენის უფლება, სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება, მოსაზრებათა წარდგენის უფლება, გასაჩივრების უფლება და ა.შ. სწორედ, პროცედურული უფლებების კანონით დადგენილი ფორმებით რეალიზაცია აძლევს პირს შესაძლებლობას დაიცვას ან აღიდგინოს თავისი

მატერიალური უფლებები. სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპი გულისხმობს პროცედურული უფლებების შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე ექმნება მატერიალური უფლებების ჯეროვან რეალიზაციასა და დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა პროცედურული უფლება-მოვალეობების საზოგადო წესებს დეტალურად განსაზღვრავს, მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფას.

ზემომოთხატულ კონსტიტუციურ პრინციპს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური მუხლი ეძღვნება, კერძოდ, მე-12 მუხლი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, რომლის მიხედვით გარანტირებულია:

1. ნებისმიერი პირის უფლება – მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, და

2. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმის სტრუქტურული შინაარსი გულისხმობს, რომ პირის უფლების დადგენა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – განახორციელოს რეალიზებული საპროცესო უფლების კანონით რეგლამენტირებული, ადეკვატური პროცედურული ხასიათის მოქმედება, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან დასტურდება დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილების კანონიერება, კერძოდ, კასატორის (მოსარჩელის) განმარტებით, მას გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისათვის არ მიუმართავს საჩივრით, მან მიმართა განცხადებით და მოითხოვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აქტის ბათილად ცნობა და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა არასწორად მიიჩნია, მისი განცხადება საჩივრად, აღნიშნულზე მიუთითებდა კასატორი ასევე სააპელაციო

საჩივარში.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია აპელანტის ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე, არ გაუქარწყლებია აპელანტის ის არგუმენტები, რომ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური თავად არ იყო უფლებამოსილი განეხილა საჩივრად მიჩნევის შემთხვევაში განცხადება და მიეღო გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ ობიექტური და კანონიერი შეფასება არ მისცა რ. ს-ას წარმომადგენლის მიერ შეტანილ განცხადებას და მასთან დაკავშირებით გამოცემულ სადავო აქტს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ ვითარებაში, როცა რ. ს-ას წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი განცხადება არ იყო საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულზე და სამართლებრივი შეფასება მიეცა აპელანტის მოტივებისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებულ დასკვნებს, რ. ს-ას წარმომადგენლის განცხადების, საჩივრად მიჩნევის თაობაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებსა და პრინციპებთან შეუსაბამობის გამო და აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-122-115(2კ-13) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს: „ადმინისტრაციული საჩივარი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი დეფინიციის მიხედვით რთული შემადგენლობისაა, კერძოდ:

1. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი უნდა იყოს დაინტერესებული მხარე;

2. ადმინისტრაციული საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი;

3. ადმინისტრაციული საჩივარი უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით დადგენილ წესს;

4. ადმინისტრაციული საჩივრის მიზანი უნდა იყოს დარღვეული უფლების აღდგენა;

5. ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი უნდა იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ბ) ადმინისტრაციული რეალაქტი.

6. ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარედგინოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს და მას კოდექსში სპეციალური – XIII თავი აქვს დათმობილი, რომლის დებულებები დეტალურად აწესრიგებს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვა-გადანყვეტის საკითხებსა და პროცედურას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განხორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადანყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევიან აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადანიჭოს დავა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლის მე-2

ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და პასუხობდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია კოდექსის 181-ე მუხლში – „ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი“, რომელიც თავის მხრივ, შედგება ფორმალური და მატერიალური ხასიათის რეკვიზიტებისაგან. ამავე კოდექსის 182-ე მუხლით განსაზღვრულია წინაპირობები, რომელთა არსებობის პირობებში ადმინისტრაციული საჩივარი არ ექვემდებარება განხილვას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე, 186-ე და 198-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოქმედებს ნეგატიური დათქმის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის ჩატარებისას რიგ შემთხვევებში გამოიყენება, როგორც მარტივი, ისე ფორმალური და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული წესები და პროცედურული მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებაში პირის მიერ ნებისმიერი დოკუმენტის, მით უფრო, განცხადების ან საჩივრის ფორმით წარდგენა იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს უპირობო ვალდებულებას, დაარეგისტრიროს იგი. რეგისტრაციის სტადია იწვევს შემდეგი პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულებას – ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ორსაფეხურიანი პროცესის მეშვეობით:

განცხადების/ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება;

განცხადების/ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება.

დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში, განცხადების ან საჩივრის ფორმა, დასაშვებობის შემოწმების სტადია გულისხმობს, უპირველესად, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევას (უწყებრივი ქვემდებარეობა), რომლის წარმატებით გადალახვის პირობებში – ამ დოკუმენტისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მათ მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტი არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ საჩივარს, შესაბამისად, მოპასუხის სამართლებრივი შეფასება მხარის მიერ წარმოდგენილი საპროცესო დოკუმენტის – განცხადების სა-

ჩივრად მიჩნევის შესახებ არ შეესაბამება საპროცესო დოკუმენტების სახეების კანონით დადგენილ კვალიფიკაციას.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს: მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა რაკი მიიჩნია, რომ რ. ს-ას განცხადება იყო საჩივარი, იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.1 მუხლის მიხედვით უნდა გადაეგზავნა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით, მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი იმსჯელოს ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის თაობაზე და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის რ. ს-ას წარმომადგენლის მიერ წარდგენილ 2013 წლის 4 სექტემბრის №143141/17 განცხადებასთან დაკავშირებით გამოცემული 2013 წლის 6 სექტემბრის №158489 გადაწყვეტილება, საერთოდ არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით გათვალისწინებულ განცხადების ან საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტანდარტს.

უდავოა, რომ რ. ს-ას წარმომადგენლის მიერ 2013 წლის 4 სექტემბერს შეტანილი №143141/17 განცხადების მიმართ საერთოდ გამოტოვებულია დასაშვებობის შემოწმების სტადია. მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს იურისდიქციის სფეროს გამორკვევა (ინსტანციური უფლებამოსილება), რომლის კვალიფიციური შესწავლის პირობებში ცალსახად დადგინდებოდა, რომ წარმოდგენილი განცხადება, თუკი ის შინაარსობრივი თვალსაზრისით დაკვალიფიცირდა საჩივრად (რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება საკასაციო სასამართლო, რასაც საკასაციო პალატა ქვემოთ დაასაბუთებს), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ექვემდებარებოდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს დადგენის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრა ხდება სამი კრიტერიუმის გამოყენებით:

- ა) განსახორციელებელი ამოცანების მიხედვით – საგნობრივი უფლებამოსილება;
- ბ) უფლებამოსილებათა იერარქიის მიხედვით – ინსტანციური უფლებამოსილება;
- გ) ტერიტორიული პრინციპით – ტერიტორიული უფლებამოსილება.

ამ ვითარებაში, ინსტანციური კომპეტენციის გამორკვევის შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც მის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნის თაობაზე.

მითითებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გამორიცხავს არაუფლებამოსილი ორგანოს მხრიდან საჩივრის ამ კოდექსით დადგენილ წესთან /181-ე მუხლით/ შესაბამისობის საკითხის გამოკვლევა-შემოწმებას. ამგვარი კომპეტენცია მხოლოდ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუყერძობლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწ-

ყვეტის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში“.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმხორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენისას, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ – სასამართლო ორგანოს, განსხვავებით ამავე კოდექსის 80.1 მუხლით დადგენილი ვალდებულებისა.

ამგვარ შემთხვევაში, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განეკუთვნება. აღნიშნულ თავის მხრივ, შეესაბამება კონსტიტუციის 42.1 მუხლით დადგენილ პრინციპს, რომლის თანახმად, მხოლოდ პირის უფლებას წარმოადგენს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს ანუ სარჩელის აღძვრა – სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია მხოლოდ პირის ნების ავტონომიას ეფუძნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში დაცულია და უზრუნველყოფილია კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტების მეშვეობით, კერძოდ, ზოგა-

დი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სსსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნებს, როდესაც იმსჯელა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის კანონიერებაზე, ვინაიდან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დავის საგანს წარმოადგენს არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების (რ. ს-ას საკუთრებად უძრავი ნივთის რეგისტრაციის თაობაზე), კანონიერება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის დავალება, სააპელაციო სასამართლომ კი არსებითად იმსჯელა აღნიშნული აქტის კანონიერებაზე, კერძოდ, „აღნიშნული აქტი კიდევაც, რომ იყოს უკანონო, მაინც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, ამ აქტით არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგება რ. ს-ას უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელეს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 ივნისის განხორციელებული რეგისტრაციით არანაირი ზიანი მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს არ მისდგომია, არ წარმოადგენდა დავის საგანს მოცემულ საქმეში, შესაბამისად, მისი შეფასების პროცესუალური საჭიროება არ არსებობდა, რითაც სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის ფარგლები. სასამართლომ არ გამიჯნა, სარჩელის მოთხოვნის ობიექტი – საგანი მისი ფაქტობრივი საფუძვლებისგან, რის გამოც იმსჯელა არა დავის საგნის, არამედ დავის საფუძვლის – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 ივნისის განხორციელებული რეგისტრაციის კანონიერებაზე, რაც ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სარჩელის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ განხილვა-გადაწყვეტის წესებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარ-

მოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, შედგება სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და დასაშვებობის კრიტერიუმები. სარჩელის დასაშვებობისათვის ერთ-ერთი და აუცილებელი კრიტერიუმია, რომ მოსარჩელის სარჩელით წამოყენებული მოთხოვნის მიმართ გააჩნდეს მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ „თავისი“ უფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი. შესაძლებელია, თავად პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს, მაგრამ პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი, მართლაც, დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, სარჩელის აღძვრას აქვს თუ არა კანონიერი ინტერესი ანუ სარჩელის ბათილად ცნობის მოთხოვნით ფაქტობრივი მიზეზების არარსებობის გამო მის ბათილად ცნობას აქვს თუ არა მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი სარჩელის პროცესუალური კონტექსტი სააპელაციო სასამართლოს არ აძლევდა შესაძლებლობას, ემსჯელა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების (რ. ს-ას საკუთრებად უძრავი ნივთის რეგისტრაციის თაობაზე), არც კანონიერებაზე

და არც მის კანონიერებაზე აღძრული სარჩელის დასაშვებობაზე, კერძოდ, მიადგა თუ არა ამ აქტით პირდაპირი და უშუალო ზიანი რ. ს-ას უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ასეთი მოთხოვნით სარჩელი აღძრული არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60¹ და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარა აქტს მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (60¹) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

აქტის არარად აღიარება, რომელიც უკანონობის იმგვარ საფუძვლებს შეიცავს, რომელთა გამოც კანონმდებელი მას იმთავითვე, მიღების მომენტიდანვე აცლის იურიდიულ ძალას, რის გარეშეც იგი ვერ იძენს ისეთი სამართლებრივი აქტის შინაარსს, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება ანუ არ გააჩნია აღსრულების ძალმოსილება, განსხვავებით უკანონო (ბათილი) აქტებისგან, რომლის არამართლზომიერების მიუხედავად დაშვებულია მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების დროის გარკვეული მონაკვეთით შენარჩუნება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილი), რამდენადაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ანიჭებს ამგვარი აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის უფლებამოსილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-192-184(3კ-13) – ნ. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მე-7 რიის ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირების – მ. მ-ისა და ა. ე-ის მონაწილეობით, განიმარტა:

„ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გულისხმობს მისი უკანონო ხასიათის დადგენას გამოცემის მომენტში, ანუ აქტი გამოიცა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, რაც მისი გაუქმების უპირობო საფუძველია მმართველობის კანონიერებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, აღ-

მჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ კანონმდებელი უშვებს დიფერენცირებულ სამართლებრივ მიდგომას აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრით. დიფერენცირებული მიდგომის მოტივი მდგომარეობს აღმჭურველი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, მისი კანონიერების გადაამოწმებისას აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეაფასოს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება, როგორც ეს კათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4-7 ნაწილებით.

„საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹. 7 მუხლის ტექსტში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს, როგორც სადავო აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღების განმსაზღვრელ ორგანოებად მითითება მიჩნეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ხარვეზად, ეწინააღმდეგება რა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ინსტიტუტს, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დაცვის მიზანს, რაც თავის მხრივ, კანონიერი მმართველობის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს.

ზემომოყვანილი მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.7 მუხლის საფუძველზე განეკუთვნება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლო ხელისუფლება გასაჩივრებული აქტის ბათილობისას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით“.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე გადასინჯოს მის მიერ გამოცემული კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, განეკუთ-

ვნება მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, მმართველობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის პრიორიტეტულობისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე.

აღნიშნული კომპეტენცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს აძლევს შესაძლებლობას წარსულში გამოცემული აქტების გადასინჯვის მეშვეობით, მათი უკანონობის დადგენის შემთხვევაში სახელმწიფოში აღადგინოს სამართლიანი და კანონიერი საჯარო მმართველობის სტანდარტი, რომელიც ამ აქტის ძალაში ყოფნით, მისი შედეგების შესაძლო აღსრულებით იგნორირებული, უგულებელყოფილი ან დარღვეულ იქნა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს ეს უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სწორედ იმ გარემოების გამო, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლა გამორიცხავს ამგვარი აქტით დარღვეული უფლების, შელახული კერძო თუ საჯარო ინტერესის ადმინისტრაციული საჩივრის ან ადმინისტრაციული საჩივლის საპროცესო ინსტიტუტების მეშვეობით აღდგენის შესაძლებლობას, აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული კომპეტენცია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით, კერძოდ: მოცემულ პროცედურაში აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს: მიუხედავად აქტის უკანონობისა, ექცევა თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუმეგობლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად მიიჩნევს, რომ თუ კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტით ილახება სხვა პირის კანონიერი უფლებები, შეუძლებელია მისი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება მესამე პირის კანონიერ-

რი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ერთი აქტის მიმართ სხვადასხვა პირების კანონიერი უფლებებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, თანაც ამ უფლებების უპირატესობის დაუსაბუთებლობის პირობებში, სრულიად არასამართლიანია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანოებმა მათ მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემონიშნისას სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული უკანონო აქტის ბათილად ცნობის დაუშვებლობის გამომრიცხავი გარემოებების ჩამონათვალიდან არის თუ არა სახეზე რომელიმე გარემოება.

ამდენად, საჯარო მმართველობის კანონიერებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ეს კომპეტენცია ეფექტური ინსტრუმენტია და მისი კვალიფიციური და მიუკერძოებელი გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოთა ფუნქციას წარმოადგენს, რომლის ჯეროვან და კანონშესაბამის რეალიზაციაზე ეროვნულმა სასამართლოებმა სრულფასოვანი და ობიექტური სასამართლო კონტროლის განხორციელება უნდა უზრუნველყონ.

წინამდებარე სარჩელის საგნიდან გამომდინარე, სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს საკითხი, აქვს თუ არა დაინტერესებულ პირს საპროცესო უფლება, განცხადებით მიმართოს აქტის გამომცემი ადმინისტრაციულ ორგანოს თხოვნით – გადასინჯოს მის მიერ მიღებული, უკვე კანონიერ ძალაში შესული აქტის კანონიერება, მოიცავს თუ არა კონსტიტუციურ პრინციპის მარეალიზებელი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებული – ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება, იმ უფლებასაც, რომ პირმა მოსთხოვოს, მიანიშნოს, სთხოვოს ორგანოს ე.წ. საკუთარი უფლებამოსილების გამოყენება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მმართველობის მიზნიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დაინტერესებული პირი აღჭურვილია რა კანონიერი ნდობის უფლების პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ მას გააჩნია კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების – მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების სტანდარტთან შესაბამისობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების კონსტიტუციური რანგის პრინციპი განმარტებული უნდა იქნეს ფართო გაგებით, პირს გააჩნია უფლება – არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, არამედ თვით კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადასინჯვის თხოვნით, შეთავაზებით მიმართოს, რომლის გაზიარება-არგაზიარება, ბუნებრივია, ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივ შეფასებას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების პრინციპის ამ ფორმითაც რეალიზების შესაძლებლობის განმარტება-გაგების ლეგიტიმაცია ხელს შეუწყობს სახელწიფოში ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის პრაქტიკის დამკვიდრებას, მით უფრო საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში,

რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკურ სახეს – აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თავისი ინიციატივით გადასინჯვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელე რ. ს-ას წარმომადგენლის მიერ სწორედ ამ ფორმით იქნა რეალიზებული ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების პრინციპი, რასაც ადეკვატური სამართლებრივი შეფასება უნდა მოჰყოლოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, შედეგად მას უნდა დაენყო ადმინისტრაციული წარმოება – კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თავისი ინიციატივით გადასინჯვასთან დაკავშირებით, უზრუნველყო დაინტერესებული პირების მონვევა პროცედურაში და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, აქტის ბათილად ცნობის ან აქტის ბათილად არცნობის თაობაზე, შესაბამისი დასაბუთებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი ნაწინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალუ-

რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადანყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადანყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადანყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავენ მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ფარგლებში უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა, როგორც მისი დასაბუთებულობის, ასევე წარდგენილი საპროცესო დოკუმენტის კვალიფიკაციის სისწორის კრიტერიუმებით, წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებისა და დასკვნების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად, კვალიფიციური შეფასება უნდა მისცეს სარჩელის საგანს და დავა გადანყვეტოს სარჩელის ფარგლებში მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. რ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღმჭურველი აქტის კანონიერება

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№ბს-428-423(2კ-14)

3 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება;

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: გ. გ-ე;

მოპასუხეები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელება

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილის 2013 წლის 24 სექტემბრის №750 ბრძანების ბათილად ცნობა;

2. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 განწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მოსარჩელის სახელზე „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის დავალება;

სარჩელის საფუძველი: სადავო აქტების კანონსაწინააღმდეგობა

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის განმარტებით, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ამავე სააგენტოს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილების 2012 წლის 13 ოქტომბრის №1364135 წერილთან (სამსახურებრივ ბარათთან) დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

სამსახურებრივ ბარათთან ერთად მოპასუხეს გაეგზავნა 2012 წლის 24 სექტემბრის №1275525 განცხადება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/885 დასკვნა, რომელიც ეხებოდა დაბადების თარიღის მონაცემების გასწორებას და მის სახელზე კანონიერი მონაცემებით მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემას. მოპასუხესთან ასევე გადაიგზავნა 2001 წლის 9 მარტს გაცემული AC№... მართვის მოწმობის გაცემის რეესტრი და 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №... მართვის მოწმობის გაცემის რეესტრის ასლები. ასევე, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილების 2012 წლის 20 ოქტომბრის №1396866 სამსახურებრივი ბარათი, მისი 2012 წლის 15 ოქტომბრის №1370052 განცხადება, ხოლო ამავე განყოფილების 2012 წლის 22 ოქტომბრის №1401713 სამსახურებრივი ბარათით გადაიგზავნა სააგენტოში არსებული მისი მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის ჩაბარების 2001 წლის მარტის №56 საგამოცდო კომისიის ოქმი.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტების გადაგზავნა მოპასუხესთან გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 2012 წლის 24 სექტემბერს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილებას მიმართა განცხადებით,

რომელსაც დაურთო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნა დაბადების თარიღის გასწორებასთან დაკავშირებით და ამ დასკვნის საფუძველზე მოითხოვა მართვის მოწმობის შეცვლა ახალი მართვის მოწმობით, რომელშიც უნდა ჩასწორებულიყო შეცდომით მითითებული დაბადების თარიღი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №1430572 გადაწყვეტილებით გ. გ-ის განცხადება 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №..., „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის შეცვლის მოთხოვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მითითებული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 9 მარტის №56 საგამოცდო ოქმი გ. გ-ის გამოცდის ჩაბარების ნაწილში და 2001 წლის 9 მარტის მართვის მოწმობის გაცემის რეესტრი, AC №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის ნაწილში. ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, კი ბათილად გამოცხადდა 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №..., „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რომლის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №1430572 გადაწყვეტილება და მომსახურების სააგენტოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული იქნა 2013 წლის 24 სექტემბრის №750 ბრძანება, რომლითაც კვლავ ძალაში დარჩა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 გადაწყვეტილება.

სამართლებრივი: მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლზე.

მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს შესაგებელი: მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო, შემდეგი საფუძველებით:

ფაქტობრივი: გ. გ-ის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების

სააგენტოსათვის განცხადებით მიმართვის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მისი დაბადების თარიღი იყო არა 1982 წლის 5 ივნისი, არამედ 1983 წლის 5 ივნისი, რომელიც მითითებული იყო მის სახელზე 2001 წლის 9 მარტს გაცემულ AC №... და 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემულ AH №... მართვის მოწმობაში. აღნიშნული გარემოება სადავოდ არ გაუხდია არც სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, უფრო მეტიც, აღნიშნულის არსებობა გახდა შემდგომში საფუძველი იმისა, რომ გაუქმებულიყო მოსარჩელის, გ. გ-ის სახელზე 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №... მართვის მოწმობა, რასაც საფუძველად დაედო დაინტერესებული მხარის გ. გ-ის უკანონო ქმედება, კერძოდ, მის მიერ მართვის მოწმობის გამცემ ორგანოში 2001 წლის 9 მარტს არასწორი (ყალბი) მონაცემების მითითებით გაცემული მოქალაქის მართვის მოწმობის (ან პასპორტის) წარდგენა.

მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული გარემოების არარსებობა, თავის მხრივ, გამორიცხავდა გ. გ-ის მართვის მოწმობის მისაღებ თეორიული და პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებას, ვინაიდან იმ დროისათვის (2001 წლის 9 მარტს) გ. გ-ეს შესრულებული არ ჰქონდა 18 წელი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის აღნიშნული გარემოება, ცნობილი იყო, აღნიშნულის შესახებ არ მიუთითებია, რაც ცალსახად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის გამოყენების საფუძველია.

სამართლებრივი: სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონზე.

მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაგებელი: მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო, შემდეგი საფუძველებით:

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხეს ფაქტობრივ გარემოებებზე არ უმსჯელია.

სამართლებრივი: მოპასუხის მითითებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ 2011 წლის 9 მარტს და 2006 წლის 26 სექტემბერს გ. გ-ეზე გაიცა AC №... „B“ კატეგორიის და AH №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობები. ასევე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნა „მოქალაქე გ. მ. გ-ის გაყალბებული დაბადების თარიღის გაცემის გასწორების და მის სახელზე კანონიერი მონაცემებით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის შესახებ“, რომლითაც დგინდება,

რომ აღნიშნული საჩივრის ავტორი დაბადებულია 1983 წლის 5 ივლისს, შესაბამისად, მართვის მონაწილის გაცემის მომენტი-სათვის იგი იყო 17 წლის. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მონაწილის გაცემის წესების“ (რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 20 ივნისის №627 ბრძანებით) მე-2 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვებიან პირები შემდეგი კატეგორიის და ასაკის მიხედვით: „A“, „B“, „C“, „BC“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლებისა და ხელით სამართავ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის – 18 წელი, ხოლო მოსწავლეები, საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრებისა და ავტოსაქმის სწავლების სრული კურსის გავლისას, გამოცდაზე დაიშვებიან 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ. შესაბამისად, გ. გ-ე არ იყო მართვის მონაწილის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ასაკს მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილის 2013 წლის 24 სექტემბრის №750 ბრძანება, რომლითაც უცვლელად დარჩა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 გადაწყვეტილება და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევა-ლა მოსარჩელის სახელზე გასცეს „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაეკისრათ მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

2001 წლის 9 მარტის №56 საგამოცდო კომისიის ოქმის და AC №... მართვის მონაწილის გაცემის რეესტრის საფუძველზე მოსარჩელის სახელზე გაიცა AH №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა.

მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარებისას 2001 წლის 9 მარტს მოსარჩელეს არ ჰქონდა შესრულებული 18 წელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნით, მოსარჩელის დაბადების თარიღი შესწორდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №1430572 გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელე გ. გ-ის სახელზე გაცემული AC №... „B“ და AH №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობები და აღნიშნული მოწმობის საფუძვლები.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა გასაჩივრებული აქტების კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილის 2013 წლის 24 სექტემბრის №750 ბრძანება, რომლითაც უცვლელად დარჩა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 გადაწყვეტილება და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის სახელზე გასცეს „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, 1999 წლის 28 მაისის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილია შემდეგი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი: „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის – 17 წელი; ამავე კანონის მე-17¹ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების ზოგიერთი პირობა, მათ შორის „B“ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის დაშვებისათვის სავალდებულოა მისი ერთ-ერთი მშობლის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილია შემდეგი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი: „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის – 17 წელი; ხო-

ლო ამავე კანონის 57-ე მუხლით განსაზღვრულია 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების ზოგიერთი პირობა, მათ შორის „B“ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის დაშვებისათვის სავალდებულოა მისი ერთ-ერთი მშობლის ან მზრუნველის ნერილობითი თანხმობა. სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს და საშუალებას აძლევს 18 წლამდე ასაკს მიღწევამდე პირმა მიიღოს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობაზე და განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ განონანსორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. სასამართლოს მითითებით, სასამართლო იცავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავედროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. აღნიშნული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას გარკვეულწილად გაითვალისწინოს მიზანშეწონილობის, რაციონალობის ასპექტები. კონკრეტულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი, რადგან გამოცემული ადმინისტრაციული აქტით არ დასაბუთდა მოცემულ კონკრეტულ

შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნაზე 2006 წლის 24 სექტემბერს გაცემული AH №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის შეცვლაზე უარის თქმის მართლზომიერება და მიზანშეწონილობა, რამაც გამოიწვია მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამასთან დადგენილია, რომ მოსარჩელე 2006 წლიდან მართავს ავტომანქანას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალბებს, განახორციელოს ეს მოქმედება.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, 65-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 417-ე, 418-ე მუხლებით, 581-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პირველი აპელანტი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; **მონინალმდგე მხარე:** გ. გ-ე;

სარჩელზე მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

პროცესუალურ-სამართლებრივი: საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონის ის მუხლები, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში – მართვის მოწმობების გაცემის დროისათვის არ იყო ძალაში; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებები არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მოწმობის გაცემის წესების“ (იმ დროისათვის მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) მე-2 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებულია, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფ-

ლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაიშვებიან პირები შემდეგი კატეგორიების და ასაკის მიხედვით: „A“, „B“, „C“, „BC“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლებისა და ხელით სამართავ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის – 18 წელი, ხოლო მოსწავლეები, საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრებისა და ავტოსაქმის სწავლების სრული კურსის გავლისას, გამოცდაზე დაიშვებიან 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ. შესაბამისად, გ. გ-ე არ იყო მართვის მონმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ასაკს მიღწეული.

აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ გამოიყენა ის კანონი, რომელიც იმ დროისათვის არ იყო ძალაში, არასწორად იმსჯელა აღნიშნული პროცედურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმზე – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გამსვლელი პირის ასაკზე, კერძოდ, მოქალაქე გ. გ-ეზე 2001 წლის 9 მარტს და 2006 წლის 26 სექტემბერს გაიცა AC №... და AH №... მართვის მონმობები, ხოლო იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებას და საშუალებას არ აძლევდა 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის საშუალებას.

მატერიალურ-სამართლებრივი: სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

მეორე აპელანტი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო;

მონინალმდევე მხარე: გ. გ-ე;

სარჩელზე მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

პროცესუალურ-სამართლებრივი: საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონის ის მუხლები, რომლებიც მართვის მონმობების გაცემის დროისათვის არ იყო ძალაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო სა-

შუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მოწმობის გაცემის წესების“ (იმ დროისათვის მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) მე-2 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებულია, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაიშვებიან პირები შემდეგი კატეგორიების და ასაკის მიხედვით: „A“, „B“, „C“, „BC“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლებისა და ხელით სამართავ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის – 18 წელი, ხოლო მოსწავლეები, საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრებისა და ავტოსაქმის სწავლების სრული კურსის გავლისას, გამოცდაზე დაიშვებიან 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ. შესაბამისად, გ. გ-ე არ იყო მართვის მოწმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ასაკს მიღწეული.

აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად იმსჯელა აღნიშნული პროცედურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმზე – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გამსვლელი პირის ასაკზე, კერძოდ, მოქალაქე გ. გ-ეზე 2001 წლის 9 მარტს და 2006 წლის 26 სექტემბერს გაიცა AC№... და AH№... მართვის მოწმობები, ხოლო იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებას და საშუალებას არ აძლევდა 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის საშუალებას.

მატერიალურ-სამართლებრივი: სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 თებერვლის განწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელე გ. გ-ემ 2001

და 2006 წლებში აიღო „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა, რომლითაც სარგებლობდა წლების განმავლობაში. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელემ პირადობის მოწმობაში შესაბამის სამსახურს შეატანინა ცვლილება, კერძოდ, პირადობის მოწმობაში შეიცვალა მისი დაბადების თარიღი. ამის შემდეგ, 2012 წელს გ. გ-ემ განცხადებით მიმართა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს და პირადობის მოწმობაში თარიღის შეცვლის გამო მოითხოვა მართვის მოწმობის შეცვლა. ამის ნაცვლად, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს საერთოდ გაუუქმა (ბათილად სცნო) „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა, იმ მოტივით, რომ 2001 წელს, როდესაც გ. გ-ემ აიღო მართვის მოწმობა, იგი ამ დროისათვის არ იყო 18 წელს მიღწეული პირი და შესაბამისად, არ არსებობდა მასზე მართვის მოწმობის გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

აპელანტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ 2001 წელს, როდესაც გ. გ-ემ აიღო მართვის მოწმობა, იგი ამ დროისათვის არ იყო 18 წელს მიღწეული პირი და შესაბამისად, არ არსებობდა მასზე მართვის მოწმობის გაცემის სამართლებრივი, კანონისმიერი საფუძველი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ 2001 წელს მოქმედი კანონმდებლობა, როდესაც გ. გ-ემ აიღო მართვის მოწმობა, ნამდვილად არ ითვალისწინებდა 18 წელს მიუღწეველ პირზე მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატის განმარტებით, 2001 წელს მოქმედებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366-ე ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მოწმობის გაცემის წესები“, რომლის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებდა „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობას მხოლოდ 18 წელს მიღწეული პირებისათვის.

სააპელაციო პალატის შეფასებით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ არსებობდა გ. გ-ეზე გაცემული „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის ბათილად ცნობის საფუძველი. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2001 წლის შემდეგ, 2006 წელს გ. გ-ემ ხელმეორედ აიღო მართვის მოწმობა, რადროსაც მას უკვე შესრულებული ჰქონდა 18 წელი. ამდენად, ფაქტობრივად მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ბათილად ცნო არა 2001 წელს, არამედ 2006 წელს გაცემული მართვის მოწმობა, რისი საფუძველიც არ არსებობდა, ვინაიდან ამ მართვის მოწმობის გაცემის დროს გ. გ-ეს უკვე შესრულებული

ჰქონდა 18 წელი.

სააპელაციო პალატამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, განმარტა, რომ ზოგადად მართვის მოწმობა, მათ შორის, „B“ კატეგორიის მართვის მოწმობაც, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან იგი მის მფლობელს ანიჭებს გარკვეულ უფლებას – შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას.

სააპელაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, 2001 წელს მოსარჩელეზე „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა კიდევაც რომ გაცემულიყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, მას, როგორც იმ პერიოდისათვის 18 წელს მიუღწეველ პირს (მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ 2001 წელს გ. გ-ე არ იყო 18 წელს მიღწეული) რომც არ ჰქონოდა მართვის მოწმობის აღების უფლება, მაინც არ არსებობდა მისთვის გაცემული „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის, როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იგი არსებითად და თუნდაც არაარსებითადაც საერთოდ არ არღვევდა არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივ და მით უფრო, არც სხვა პირთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. გარდა ამისა, გ. გ-ეს, როგორც დაინტერესებულ მხარეს, კანონიერი ნდობა ჰქონდა მასზე გაცემული მართვის მოწმობის მიმართ და ამ მართვის მოწმობის საფუძველზე მან განახორციელა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – მართავდა ავტომანქანას, შესაბამისად, მართვის მოწმობის გაუქმებით მას მიადგა ზიანი. გარდა ამისა, საქმის მასალებით ვერ დგინდება, რომ თავის დროზე მართვის მოწმობის გაცემა მოსარჩელეზე მოხდა მისი მხრიდან უკანონო ქმედებით და შესაბამის ორგანოში არასწორი დოკუმენტის თუ ინფორმაციის წარდგენით. განსახილველ შემთხვევაში აპელანტს სასამართლოში არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ 2001 წელს მართვის მოწმობის გაცემაში გ. გ-ეს მიუძღვის რაიმე სახის ბრალი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. გ-ეზე „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემა რომც მომხდარიყო უკანონოდ, მაინც არ არსებობდა მისი, როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სა-

მართლებრივი საფუძველი.

კასატორი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

მონინალმდევე მხარე: გ. გ-ე;

სარჩელზე მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი: კასაცია დამყარებულია იმავე მოტივებზე, რაზეც აპელაცია, დამატებით მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. გ-ის კანონიერი ნდობის საკითხის არასწორი სამართლებრივი შეფასება გააკეთა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან მიმართებაში. მართვის მონმობის გაცემას საფუძვლად დაედო დაინტერესებული მხარის გ. გ-ის უკანონო ქმედება, არასწორი მონაცემების მითითებით, გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის წარდგენა საგამოცდლო სამსახურში, რამაც დაარღვია იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი (დარღვეულია სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, გამოცდაზე დაიშვება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელმაც გაიარა სათანადო მომზადება მძღოლთა მოსამზადებელ ლიცენზირებულ დაწესებულებაში.) და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მონმობის გაცემის წესების“ (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაიშვებიან პირები შემდეგი კატეგორიების და ასაკის მიხედვით: „A“, „B“, „C“, „BC“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების, მოტოცეტლებისა და ხელით სამართავ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის – 18 წელი), აღნიშნული თავისთავად გამორიცხავს გ. გ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების გადაწყვეტილებასა და 2001 წელსა და 2006 წელს მართვის მონმობებთან მიმართებაში კანონიერი ნდობის არსებობას. კასატორის მტკიცებით, ნათელია, რომ გ. გ-ეს მიუძღვის ბრალი მისი პირადობის მონაცემებში უსწორობის არსებობისას,

რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნა, თუმცა, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება არ დაიწყო იმის გამო, გ. გ-ემ განცხადება აღნიშნული უსწორობის შესახებ შეიტანა იმ პერიოდში, როდესაც მოქმედებდა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“. შესაბამისად, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ გ. გ-ეს არ გააჩნია კანონიერი ნდობა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

კასატორი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო;

მონინალმდგე მხარე: გ. გ-ე;

სარჩელზე მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი: კასაცია ეფუძნება იმავე მოტივებს, რასაც აპელაცია დამატებით მითითებულია, რომ გ. გ-ეს მიუძღვის ბრალი მისი პირადობის მონაცემებში უსწორობის არსებობაზე, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნით, თუმცა, აღნიშნულ საქმეზე იმიტომ არ აღიძრა მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმე, რომ გ. გ-ემ განცხადება აღნიშნული უსწორობის შესახებ შეიტანა იმ პერიოდში, როდესაც მოქმედებდა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“. შესაბამისად, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ გ. გ-ეს არ გააჩნია კანონიერი ნდობა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით გ. გ-ემ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა, იმ მოტივით, რომ აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია სამარ-

თლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა თავის მხრივ წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც პირს აძლევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას და ანიჭებს მას გარკვეულ პრივილეგიას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებთან მიმართებაში (ქვეითი, მეხრე და სხვა) შესაბამისად, მისი მინიჭების პროცესიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით მისი მინიჭებისათვის დადგენილ განსხვავებულ რეგულაციებს და სატრანსპორტო საშუალების მომეტებული საფრთხის გათვალისწინებით უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ და იმავე გარემოებებზე მითითებით, რაზეც უთითებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის წერილობით მოსაზრებაში.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

კასაციის დაშვების წანამძღვრის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:

განსახილველი საკასაციო საჩივრების მოტივი, სადავო სამართალური თეორიაში გამოსაყენებელი ნორმების შინაარსის განმარტების თაობაზე საგულისხმო და განსაკუთრებულია, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს:

1. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის ქმედუნარიანობის ფაქტის გავლენა აქტის კანონიერების დადგენისა და შეფასებისას;

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები;

3. უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემზღვეველი სამართლებრივი ინსტიტუტის – პირის კანონიერი ნდობის უფლების არსებობის შემონების/დადგენის სტანდარტი;

4. 2011 წლის 14 ივნისის „ამნისტისის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების მოქმედების გავრცელების არეალი და სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება, როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ორგანოების მიერ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების კანონთან შესაბამისობის შემოწმება, პირის კანონიერი ნდობის უფლების ხარისხის გამოკვლევა-დადგენის და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემის საკითხს.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საპოლიციო, ისე საერთოდ ადმინისტრაციული ორგანოების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე პირთათვის, რამდენადაც საპოლიციო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ადგენს ქმედების ხასიათის მიხედვით დიფერ-

რენცირებულ შეფასებას და განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეებს, რომელიც მთლიანად უნდა დაეფუძნოს საჯარო მმართველობისა და კანონიერი ადმინისტრირების განხორციელების სზაკ-ით დამკვიდრებულ ღირებულებათა სისტემას. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოდ რეკომენდირებული სასამართლო შეფასებები და დასკვნები დღემდე სასამართლო აქტებში არ ასახულა, რის გამოც იგი ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ადმინისტრირების სისტემის მომავალი პრაქტიკისათვის და აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებების განსაზღვრისათვის.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით, მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეუბნების მოთხოვნები; სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, სადავო სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა სამართლის ნორმა, სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში შეკრებილი მტკიცებულებების ობიექტური ანალიზისა და შეფასებიდან, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობებში არ არის გაქარწყლებული სააპელაციო საჩივრების მოტივები.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა აღმჭურველი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოსა და აღმჭურველი აქტის ადრესატს, გ. გ-ეს შორის.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასაციის მოტივები არ ემყარება პრეტენზიას ქვემდგომი სასამართლოების მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენასთან დაკავშირებით, რის გამოც სსსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, შესაბამისად, საჭირო არ არის მათი დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ:

2001 წლის 9 მარტის №56 საგამოცდო კომისიის ოქმის და AC №... მართვის მონუმობის გაცემის რეესტრის საფუძველზე მოსარჩელის სახელზე გაიცა AH №... „B“ კატეგორიის მართვის მონუმობა;

მართვის მონუმობის გამოცდის ჩაბარებისას 2001 წლის 09 მარტს მოსარჩელეს არ ჰქონდა შესრულებული 18 წელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855 /დ დასკვნით შესწორდა მოსარჩელის დაბადების არასწორი თარიღი კანონიერი მონაცემით;

საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №1430572 გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელე გ. გ-ის სახელზე გაცემული AC №... „B“ და AH №... „B“ კატეგორიის მართვის მონუმობები და აღნიშნული მონუმობის საფუძველები, რომელიც სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით და დაევალა ახალი აქტის გამოცემა;

მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 2013 წლის 15 აგვისტოს გამოსცა №1604660 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. გ-ის განცხადება მის სახელზე გაცემული AH №... „B“ კატეგორიის მართვის მონუმობის შეცვლის მოთხოვნის თაობაზე; ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 9 მარტს საგამოცდო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი გ. გ-ის სახელზე 2001 წლის 9 მარტს გაცემული AC №... „B“ და 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №... „B“ კატეგორიის მართვის მონუმობები; დაევალა საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილებას შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება მართვის მონუმობების გაცემის რეესტრებში და საგამოცდო კომისიის №56 ოქმში;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 სექტემბრის №750 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა გ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ზემომითითებულ გადაწყვეტილებაზე, დაუსაბუთებულობის გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტი-

სას სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის მასალებს, მათ შორის, საერთოდ არ მისცა სამართლებრივი შეფასება გ. გ-ის სახელზე 2001 წლის 9 მარტს გაცემული AC №... „B“ მართვის მონმობას, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. გ-ეზე „B“ კატეგორიის მართვის მონმობის გაცემა რომც მომხდარიყო უკანონოდ, მაინც არ არსებობდა მისი, როგორც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, მითითებული დასკვნიდან გაუგებარია სასამართლომ გ. გ-ეზე გაცემული „B“ კატეგორიის მართვის მონმობა მიიჩნია უკანონოდ თუ კანონიერად, რაც არ შეესაბამება საქმის მასალების შეფასების საპროცესო სტანდარტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის კანონიერება უნდა შემოწმდეს რამდენიმე ასპექტით, კერძოდ:

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის ქმედუნარიანობის ფაქტის გავლენა აქტის კანონიერების დადგენისა და შეფასებისას.

საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 გადანყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 9 მარტს საგამოცდო კომისიის მიერ მიღებული გადანყვეტილება გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ, როგორც მისი გამოცემის მომენტი-თვის უკანონო აქტი, გ. გ-ის კანონით დადგენილ ასაკობრივ კრიტერიუმთან შეუსაბამობის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში მონაწილე პირის ქმედუნარიანობა ერთ-ერთი პრინციპული საკითხია, რამდენადაც ადმინისტრაციული კანონმდებლობა უფლებადამდგენი ნორმების გარდა ითვალისწინებს უფლებათა შემზღუდველ და ამკრძალავ ნებსესაც, რომლის შესრულების ვალდებულება ამ ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, სუბიექტის ქმედუნარიანობის შემთხვევაში დადგება. აღნიშნული ფაქტის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის მთელი რიგი ნორმატიული აქტები დიფერენცირებულად განსაზღვრავს ნორმის სუბიექტის ასაკობრივ კრიტერიუმს.

მიუხედავად დიფერენცირებული მიდგომების დაშვებისა, კანონმდებელმა სზაკ-ის 74-ე მუხლით დაადგინა ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის საერთო სტანდარტი ნეგატიური დათქმის პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის მე-

12-16 მუხლებზე მითითებით.

ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის სპეციფიკურ საკითხზე და მის სამართლებრივ მნიშვნელობაზე სადავო აქტის კანონიერების დადგენისას საკასაციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1104-1506 (კ-07) – დ. ს-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო „დასავლეთის“ საპროცესო უფლებამონაცვლე ბათუმის რეგიონული ცენტრის მიმართ (www.supremecourt.ge).

1999 წლის 28 მაისის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მოწმობის გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-8 პუნქტის მიხედვით დადგენილია მძღოლის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების ასაკობრივი კრიტერიუმი, რომლის დადგენა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განეკუთვნება კანონმდებლის დისკრეტციას, ამ უფლების მოპოვების შედეგად მძღოლის სტატუსის მიღება პირს მართვის სატრანსპორტო საშუალების შესაძლებლობას ანიჭებს, რაც ნიშნავს მის ჩართვას საერთო-სატრანსპორტო ქსელში, საგზაო მოძრაობის მონაწილედ გახდომას, ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების შეგნებისა და გასიგრძეგანების აუცილებლობას და უშუალოდ ეხება მე-სამე პირთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას, ლოგიკურია, რომ კანონმდებელი მძღოლის სტატუსის მინიჭებისთვის ადგენს ქმედუნარიანობის სტანდარტს, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია ამ სფეროში გადაწყვეტილების კანონიერებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. გ-ე თავისი ნამდვილი ასაკის პირობებში არ იქნებოდა დაშვებული მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე, შესაბამისად, ვერც მართვის უფლება მიენიჭებოდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, 1999 წლის 28 მაისის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მოწმობის გაცემის

წესების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-8 პუნქტის დანაწესები ასაკობრივი კრიტერიუმის დადგენასთან დაკავშირებით არის სამართლებრივი სტანდარტი, რომელიც ამ სფეროში მმართველობის კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების საფუძველზე განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა და უშუალოდ ზემოქმედებს აქტის კანონიერების ხარისხზე.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება. მმართველობის კანონიერების პრინციპი ასევე ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას.

კანონიერების პრინციპის რეალიზაციის მიზნით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება ფასდება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე, ფორმალურ-სამართლებრივი საფუძვლებით.

საკასაციო სასამართლო ამონმებს რა გასაჩივრებული საქართველოს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს №1604660 გადაწყვეტილებით გაუქმებული 2001 წლის 9 მარტს საგამოცდო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ და გ. გ-ის სახელზე 2001 წლის 9 მარტს გაცემული AC №... „B“ და 2006 წლის 26 სექტემბერს გაცემული AH №... „B“ კატეგორიის მართვის მოწმობების გამოცემის მომენტში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მიიჩნევს, რომ ისინი ცალსახად არ შეესაბამებოდა მათი გამოცემის მომენტში ამ აქტებით განსაზღვრული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილ სტანდარტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. 1999 წლის 28 მაისის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული იყო სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების ორი საფუძველი:

ა) გამოცდაზე დაშვებული პირი უნდა იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული;

ბ) პირს გავლილი უნდა ჰქონდეს სათანადო მომზადება მძღოლთა მოსამზადებელ ლიცენზირებულ დაწესებულებაში.

ანალოგიურ წინაპირობებს ითვალისწინებდა აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 30 აგვისტოს №366 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების და მძღოლის მოწმობის გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის – სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე კატეგორიების მიხედვით დაიშვებიან შემდეგი ასაკის პირები: „A“, „B“, „C“, „BC“, – კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების, მოტოციკლების და ხელით სამართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სამართავად – 18 წელი და მე-8 პუნქტის დანაწესი – მოსწავლეები, საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრებისა და ავტოსაქმის სწავლების სრული კურსის გავლისას, გამოცდაზე დაიშვებიან 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგ;

2. დადგენილია, რომ გ. გ-ე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვებულ იქნა მის მიერ წარდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე, რომლის მონაცემების მიხედვით იგი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ასაკობრივ კრიტერიუმს;

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნის „მოქალაქე გ. მ. გ-ის გაყალბებული დაბადების თარიღის გაცემის გასწორების და მის სახელზე კანონიერი მონაცემებით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის შესახებ“, რომლითაც დგინდება, რომ გ. გ-ემ მამართა სააგენტოს კანონიერი მონაცემით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიღების მოთხოვნით, მოქალაქე დაეთანხმა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონს „ამინისტრის შესახებ“, რათა არ დაიწყო მის მიმართ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა; დაბადების №1596 სააქტო ჩანაწერის მიხედვით მოქალაქე გ. მ. გ-ის დაბადების თარიღია 1983 წლის 5 ივლისი, ხოლო პირადობის მოწმობის №ა1091855 მიხედვით დაფიქსირებულია დაბადების თარიღი – „1982 წლის 5 ივნისი“, სააგენტოს მითითებული გადაწყვეტილებით სააქტო ჩანაწერზე დაყრდნობით მოქალაქეზე გაიცა პირადობის მოწმობა კანონიერი მონაცემებით; გ. გ-ის განცხადება დაექვემდებარა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონს „ამინისტრის შესა-

ხებ“ და საქმის მასალები არ გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს;

4. ცალსახაა, რომ გ. გ-ის პირადობის მოწმობაში დაბადების თარიღის კანონიერი მონაცემის ასახვის შემთხვევაში იგი, ასაკობრივი კრიტერიუმის მოტივით არ იქნებოდა დაშვებული მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე, შესაბამისად, მის მიმართ არ გაიცემოდა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, და თუ გაიცემოდა, სახეზე იქნებოდა სზაკ-ის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილით აქტის ბათილად ცნობის საფუძველი – მატერიალურ-სამართლებრივ კანონთან, 1999 წლის 28 მაისის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილთან შეუსაბამობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული აქტით გაბათილებული აქტები უდავოდ არ შეესაბამებოდა მათი გამოცემის მომენტში მოქმედ კანონმდებლობას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც სწორად დაადგინა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, იმ მომენტიდან, როცა იგი აღმოაჩენს(მიხვდება), რომ მის მიერ გამოცემული კანონიერ ძალაში შესული აქტი ეწინააღმდეგებოდა აქტის გამოცემის მომენტში მოქმედ კანონმდებლობას, მმართველობის კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია ბათილად ცნოს იგი (სზაკ-ის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილი), რაც ადმინისტრირების პრაქტიკაში მიღებული, კანონშესაბამისი პრაქტიკაა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული აქტის გამოცემისას გ. გ-ის განცხადების შესწავლის შედეგად დაადგინა რა მის მიერ გამოცემული კანონიერ ძალაში შესული აქტის შეუსაბამობა აქტის გამოცემის მომენტში მოქმედ კანონმდებლობასთან, თავისი ინიციატივით ბათილად ცნო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული კომპეტენციის საფუძველზე.

აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების კანონიერი სტანდარტი საკასაციო პალატამ დაადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-298-295(კ-14) – რ. ს-ას სარჩე-

ლისა გამო, მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მესამე პირის – ა. ი-ის მონაწილეობით, და განმარტა: „ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს აქტის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მმართველობის მიზნიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დაინტერესებული პირი აღჭურვილია რა კანონიერი ნდობის უფლების პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ მას გააჩნია კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების – მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების სტანდარტთან შესაბამისობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების კონსტიტუციური რანგის პრინციპი განმარტებული უნდა იქნეს ფართო გაგებით, პირს გააჩნია უფლება – არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, არამედ თვით კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადასინჯვის თხოვნით, შეთავაზებით მიმართოს, რომლის გაზიარება-არგაზიარება, ბუნებრივია, ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივ შეფასებას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების პრინციპის ამ ფორმითაც რეალიზების შესაძლებლობის განმარტება-გაგების ლეგიტიმაცია ხელს შეუწყობს სახელწიფოში ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის პრაქტიკის დამკვიდრებას, მით უფრო საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკურ სახეს – აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თავისი ინიციატივით გადასინჯვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელე რ. ს-ას წარმომადგენლის მიერ სწორედ ამ ფორმით იქნა რეალიზებული ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების პრინციპი, რასაც ადეკვატური სამართლებრივი შეფასება უნდა მოჰყოლოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრი-

დან, შედეგად მას უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება – კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თავისი ინიციატივით გადასინჯვასთან დაკავშირებით, უზრუნველყო დაინტერესებული პირების მონაწილეობა პროცედურაში და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, აქტის ბათილად ცნობის ან აქტის ბათილად არცნობის თაობაზე, შესაბამისი დასაბუთებით“.

დადგენილია, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნას მოსარჩელე აფუძნებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არა პროცედურული ნორმების, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე.

მიუხედავად, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნისა, რომ გასაჩივრებული აქტით გაბათილებული აქტები უდავოდ არ შეესაბამებოდა მათი გამოცემის მომენტში მოქმედ კანონმდებლობას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც სწორად დაადგინა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერების პრინციპის დარღვევა არ არის უპირობო საფუძველი აქტის ბათილად ცნობისათვის, როცა უკანონო აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, რაზეც საკასაციო სასამართლო იმსჯელებს ქვემოთ.

საკასაციო სასამართლო აქტის კანონიერების საფუძვლად ვერ მიიჩნევს იმას, რომ დღეისათვის მოქმედი 2013 წლის 24 დეკემბრის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ 55-ე მუხლის – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდა და მართვის უფლების მინიჭებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილია შემდეგი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი: „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის – 17 წელი, ვინაიდან ამავე კანონის 57-ე მუხლით განსაზღვრულია 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების ზოგიერთი პირობა, მათ შორის, „B“ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის დაშვებისათვის სავალდებულოა მისი ერთ-ერთი მშობლის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა, რაც გ. გ-ეს, ბუნებრივია, არ წარუდგენია ადმინისტრაციულ ორგანოში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „2006 წელს გ. გ-ემ ხელმეორედ აი-

ლო მართვის მოწმობა, რა დროსაც მას უკვე შესრულებული ჰქონდა 18 წელი. ამდენად, ფაქტობრივად მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ბათილად ცნო არა 2001 წელს, არამედ 2006 წელს გაცემული მართვის მოწმობა, რისი საფუძველიც არ არსებობდა, ვინაიდან ამ მართვის მოწმობის გაცემის დროს გ. გ-ეს უკვე შესრულებული ჰქონდა 18 წელი“, მისი კანონშეუსაბამობის გამო, ვინაიდან 2006 წელს გაცემული მართვის მოწმობა ეფუძნება სწორედ უკანონო 2001 წლის 9 მარტს საგამოცდო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ, სადავო არ არის, რომ გ. გ-ე 2006 წელს გამოცდაზე არ გასულა და შესაბამისად, მის მიმართ ამ საფუძველზე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მისთვის მართვის უფლების მინიჭების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონსაწინააღმდეგო აქტის საფუძველზე გამოცემული აქტი – 2006 წელს გაცემული მართვის მოწმობა, ვერ ჩაითვლება კანონშესაბამისად, როგორც საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპის საფუძველზე განხორციელების სტანდარტის უგულებელმყოფი.

3. უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემზღვეველი სამართლებრივი ინსტიტუტის – პირის კანონიერი ნდობის უფლების არსებობის შემომწმობის/დადგენის სტანდარტი;

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ საგამოცდო კომისიის 2001 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება გ. გ-ის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების და მართვის უფლების მინიჭების შესახებ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აღმჭურველი ხასიათისაა მისი ადრესატის გ. გ-ისთვის, სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დეფინიციის საფუძველზე, როგორც დაინტერესებული მხარისთვის უფლების მიმნიჭებელი აქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-192-184(3კ-13) – ნ. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირების – მ. მ-ისა და ა. ე-ის მონაწილეობით, განისაზღვრა უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები და სტანდარტი:

„ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გულისხმობს მისი უკანონო ხასიათის დადგენას გამოცემის მომენტში, ანუ აქტი გამოიცა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, რაც მისი გაუქმების უპირობო საფუძველია მმართველობის კანონიერებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე. მიუხედავად აღნიშნულისა, აღმჭურველი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების მიმართ კანონმდებელი უშვებს დიფერენცირებულ სამართლებრივ მიდგომას აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრით. დიფერენცირებული მიდგომის მოტივი მდგომარეობს აღმჭურველი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების დაცვის ინტერესის პრიორიტეტულობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც თავის მხრივ, მმართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, მისი კანონიერების გადამოწმებისას აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეაფასოს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4-7 ნაწილებით.

აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს: მიუხედავად აქტის უკანონობისა, ექცევა თუ არა იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ცალსახად მიიჩნევს, რომ თუ კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტით ილახება სხვა პირის კანონიერი უფლებები, შეუძლებელია მისი სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება მესამე პირის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგან ერთი აქტის მიმართ სხვადასხვა პირე-

ბის კანონიერი უფლებებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, თანაც ამ უფლებების უპირატესობის დაუსაბუთებლობის პირობებში, სრულიად არასამართლიანია.

თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემოწმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

საკასაციო სასამართლო ზემოთითთებული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მიუხედავად მისი უკანონობისა) განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მმართველობის ავტორიტეტს და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას.

ამ პირობებში უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი და თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირსი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის „კანონიერების პრინციპი“, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი“. ორივე პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, შეუძლებელია ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა. ადმინისტრაციული წარმოების ამოცანაა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინოს ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება“.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „გ. გ-ეს, როგორც დაინტერესებულ მხა-

რეს, კანონიერი ნდობა ჰქონდა მასზე გაცემული მართვის მონ-
მობის მიმართ და ამ მართვის მონმობის საფუძველზე მან განა-
ხორციელა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება
– მართავდა ავტომანქანას, შესაბამისად, მართვის მონმობის
გაუქმებით მას მიაღდა ზიანი“. კანონიერი ნდობის უფლების ინ-
სტიტუტის არასათანადო გააზრების გამო, შესაბამისად, დავის
გადაწყვეტისას სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაც-
ციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი, მისი ნამდვილი
შინაარსის არასწორი გაგება-განმარტების საფუძველზე, კერ-
ძოდ:

ზემომითითებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს
2013 წლის 16 ივლისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე
№ბს-192-184(3კ-13) – ნ. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების –
ქ. თბილისის მერიის ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის
სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ,
მესამე პირების – მ. მ-ისა და ა. ე-ის მონაწილეობით, საკასაციო
სასამართლომ დაადგინა კანონიერი ნდობის უფლების ინსტი-
ტუტის გამოკვლევისა და შეფასების სტანდარტი, რომელშიც
განმარტა: „დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის
დაცვის ღირსი ანუ სახეზე არა გვაქვს კანონიერი ნდობა, თუ: ა)
მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმე-
დება (მაგ: არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარ-
მოდგენა თუ მოტყუება), ბ) ან მისთვის ამ აქტის უკანონობა
ცნობილი იყო, ან უნდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თუ აღმჭურველი ინ-
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სა-
ფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმე-
დება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები
(უმუშევრობის დახმარება, სტიპენდია, ერთჯერადი სოციალუ-
რი დახმარებები და ა.შ.), რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და
რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ან მისი ამოღების შე-
დეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს,
არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვე-
ვებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადო-
ებრივ, ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს, ან ინტერესებს. ამ
საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინ-
ტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მი-

მართ არის დაცვის ღირსი, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანოებმა მათ მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემოწმებისას სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უკანონო აქტის ბათილად ცნობის დაუმეგობრების გამოძრისთვის გარემოებების ჩამონათვალიდან არის თუ არა სახეზე რომელიმე გარემოება.

აღნიშნული გარემოებების დადგენის პირობებში კანონმდებელი უკანონო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ მიიჩნევს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად, კერძოდ, თუ მისი სამართლებრივი შედეგებით დაირღვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, ან სხვა პირის კანონიერი უფლებები, ან კანონიერი ინტერესები, რამდენადაც აქტის კანონიერებისა და აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების კონფლიქტის, კონკურენციის პირობებში კანონმდებელი პრიორიტეტულად მიიჩნევს სხვა პირთა კანონიერი ნდობის უფლების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანოებმა მმართველობის კანონიერების პრინციპსა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოახდინონ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და წარმოების სახე (წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ვიდრე ზეპირი. ასევე, რაც უფრო ფორმალურია ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო მეტია პირის კანონიერი ნდობის ხარისხი), მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები. განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, რო-

მელთა საფუძველზეც ხდება ფულადი დახმარების მიღება, შესაძლებელია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების შეწყვეტით ბათილად გამოცხადების დღიდან, ასევე შეიძლება ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მისი მოქმედების მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით, შეწყვეტით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 7-ე ნაწილი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორე მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო, ან უნდა სცოდნოდა“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა გ. გ-ის კანონიერი ნდობის უფლებას აღმჭურველი აქტის მიმართ, რადგან დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 17 სექტემბრის №06/855/დ დასკვნის „მოქალაქე გ. მ. გ-ის გაყალბებული დაბადების თარიღის გაცემის გასწორების და მის სახელზე კანონიერი მონაცემებით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის შესახებ“ მიხედვით გ. გ-ემ მიმართა სააგენტოს კანონიერი მონაცემით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიღების მოთხოვნით, მოქალაქე დაეთანხმა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონს „ამინისტრის შესახებ“, რათა არ დაიწყოს მის მიმართ გამოძიება და

სისხლისსამართლებრივი დევნა; დაბადების №1596 სააქტო ჩანაწერის მიხედვით მოქალაქე გ. მ. გ-ის დაბადების თარიღია 1983 წლის 5 ივლისი, ხოლო პირადობის მოწმობის № ა1091855 მიხედვით დაფიქსირებულია დაბადების თარიღი – 1982 წლის 5 ივნისი, სააგენტოს მითითებული გადაწყვეტილებით სააქტო ჩანაწერზე დაყრდნობით მოქალაქეზე გაიცა პირადობის მოწმობა კანონიერი მონაცემებით; გ. გ-ის განცხადება დაექვემდებარა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონს „ამნისტიის შესახებ“ და საქმის მასალები არ გადაეგზავნა საგამომძიებო ორგანოს.

საკაცაციო სასამართლოს შეფასებით, გ. გ-ის კანონიერი ნდობის უფლება მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-60 მუხლის მე-5 ნაწილის ბოლო წინადადებით განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე, კერძოდ:

ა) აქტის გამოცემას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება (მაგ: არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარმოდგენა თუ მოტყუება),

ბ) ან მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო, ან უნდა სცოდნოდა.

ფაქტია, რომ გ. გ-ემ იცოდა პირადობის მოწმობაში უკანონო პერსონალური მონაცემის – დაბადების თარიღის თაობაზე, რამდენადაც საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომ მონაცემის უსწორობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან სხვა რომელიმე საჯარო დაწესებულების მოხელეთა დაუდევრობამ გამოიწვია, წარმოდგენილი არ არის, პირიქით, გ. გ-ემ ისარგებლა 2011 წლის 14 ივნისის საქართველოს კანონის „ამნისტიის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ნებით, კერძოდ, კანონის პრეამბულის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ჩამდენ პირებს, ხოლო 1-ლი მუხლის მიხედვით ამნისტია შეეხებო იმ პირს, რომელიც ამ კანონის ამოქმედებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ამ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ

წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში განაცხადებს მის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე ან 362-ე მუხლით ან/და 363-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია თავის ან ახლო ნათესავის სასარგებლოდ ყალბი საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის, ბინადრობის მონმობის, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პასპორტის, სხვა სამგზავრო დოკუმენტის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონმობის დამზადებასთან, შექმნასთან, გასაღების ან გამოყენების მიზნით შენახვასთან, გასაღებასთან, გამოყენებასთან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან, გადაამალვასთან, განადგურებასთან ან დაზიანებასთან ან/და ამ დოკუმენტში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანასთან.

პირის კანონიერი ნდობის უფლებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ არაერთგზის იმსჯელა თავის გადაწყვეტილებებში, ასე მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1433-1391(კ-08), ი/მ „თ. ა-ე“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა. კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების უფლების განმარტებისას დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა, ვინაიდან საგადასახადო კოდექსი ადგენს ზოგადი ადმინისტრაცი-

ციული კოდექსისაგან განსხვავებულ, სპეციალურ გასაჩივრების ვადას, რის გამოც საგადასახადო აქტების გასაჩივრების მიმართ მოქმედებს სწორედ სპეციალური, კერძოდ, 20-დღიანი ვადა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ვინაიდან საგადასახადო ორგანომ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა აქტის გასაჩივრების უფლების განმარტებისას, ხოლო ფიზიკური პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით, იგი უფლებამოსილია აქტი გაასაჩივროს იმ წესით და ვადაში, როგორც ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა.

საინააღმდეგო განმარტების პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველთვის შეუძლია არასწორად განუმარტოს, ანუ შეცდომაში შეიყვანოს პირი, რაც სავსებით გამორიცხავდა საჩივრის ან სარჩელის წარდგენის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა ვერ გახდება პირის სარჩელის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.“

აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09), შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიმართ, აღნიშნულია:

„საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილია. გადასახადის გადამხდელის ვალდებულება – იცოდნენ კანონი, უშუალოდ გამომდინარეობს საგადასახადო /და არა მხოლოდ/ მოსამსახურის ვალდებულებისგან – ასწავლოს (განუმარტოს) კანონი. შესაბამისად, გადამხდელის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობა – სამართლებრივი კონსულტაციის განწევა, უზრუნველყოფილია.“

საქმის გარემოებების და ზემომითითებული ნორმების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო ორგანოს საჯარო მოსამსახურე ვალდებული იყო მოსარჩელისათვის განემარტა, რომ მას მოთხოვნა საკონტროლო-სალარო აპარატის შეკეთების თაობაზე უნდა წარედგინა წერილობითი სახით ფაქტის გამოვლენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, წინა-

აღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა საჯარიმო სანქცია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს „პანორამას“ მიერ ზეპირი ფორმით საგადასახადო კოდექსის 139.11 მუხლით დადგენილ ვადაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომლისათვის მიმართვა გულისხმობს, რომ მხარემ დადგენილ ვადაში კეთილსინდისიერად უზრუნველყო კანონით გათვალისწინებული ვალდებულების – სალარო აპარატის დაზიანების თაობაზე ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენა, ხოლო, თავის მხრივ, ადმინისტრაციულმა ორგანომ /საჯარო მოსამსახურემ/ არ შეასრულა კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობა და არ განუმარტა მხარეს სამართლებრივი ფორმით სწორად როგორ უნდა უზრუნველყო ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე ბრალეულად არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დადასტურდა. მეტიც, საჯარო მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, კანონის ფორმალური დანაწესის შეუსრულებლობის პირობებშიც კი, გამორიცხავს გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას.

სადავო სამართალურთიერთობაში დადგენილია გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერი მოქმედება და პირიქით, საჯარო მოსამსახურის მხრიდან მისი კანონიერი ნდობის უფლების უგულვებელყოფა, ადმინისტრაციული სამართლის, მათ შორის, საჯარო სამსახურის პრინციპების და საჯარო მოსამსახურის ეთიკის სტანდარტის დარღვევა, რაც ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი გამოყენება-განმარტების საფუძველზე“.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მართვის მონაწილის საფუძველზე მოსარჩელემ განახორციელა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – მართავდა ავტომანქანას, შესაბამისად, მართვის მონაწილის გაუქმებით მას მიადგა ზიანი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელია, რადგან არ ეფუძნება იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების, როგორც კანონიერი ნდობის სამართლებრივი საფუძვლის არსის სწორ გაგება-განმარტებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ნებისმიერი აღმჭურველი აქტი რაიმე უფლებას ან სარგებელს ანიჭებს ადრესატს, რომელიც ბუნებრივია, ამ აქტით მიღებული სიკეთის გამოყე-

ნებისას სხვადასხვა სახის მოქმედებებს განახორციელებს, მაგრამ იმისთვის, რომ კანონიერი ნდობის უფლება წარმოეშვას, სახეზე ერთობლიობაში უნდა იყოს ორი წინაპირობა: 1. იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, როგორადაც ავტომატურად მართვა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ასეთად მიიჩნევა იმგვარი მოქმედება, რომელიც იურიდიულ შედეგებს იწვევს და 2. უკანონო აქტის ბათილად ცნობით ადრესატს მიადგება ზიანი.

იმ ვითარებაში, როცა სახეზეა გ. გ-ის კანონიერი ნდობის უფლების გამომრიცხველი გარემოება, რამდენადაც უკანონო აქტის გამოცემა გამოიწვია მისმა უკანონო ქმედებამ – გაყალბებული მონაცემით (დაბადების თარიღის) პირადობის მოწმობის წარდგენამ ადმინისტრაციულ ორგანოში, კანონიერი ნდობის უფლების წინაპირობების მტკიცება, უსაგნოა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტით დაცულია მხოლოდ კეთილსინდისიერი პირი, როგორადაც ვერ დაკვალიფიცირდება გ. გ-ის ქმედება, ვინაიდან მოქალაქემ ბრალეული მოქმედებით (ან ამნისტირებული სს პასუხისმგებლობისგან) თავად შეიყვანა შეცდომაში რამდენიმე სახელმწიფო თუ საჯარო დაწესებულება, თავისი არასწორი პერსონალური მონაცემების მეშვეობით მოიპოვებდა იმგვარ უფლებებს, რომელსაც იგი კანონის მიხედვით, კანონიერი მონაცემებით ვერ მოიპოვებდა ისევე, როგორც თავს არიდებდა რიგ მოვალეობებს, რისი შესრულების ვალდებულებაც წარმოეშობოდა.

კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტის გავრცელება როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ პირთა მიმართ, ამ ინსტიტუტის დანიშნულებისა და არსის იგნორირებას, ვერგაგებას ნიშნავს და მისი ამგვარი ინტერპრეტაციის დამკვიდრება კანონსაწინააღმდეგოა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. გ-ის კანონიერი ნდობის სამტკიცებლად ვერ გამოდგება მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ იგი პროფესიით მძღოლია და მისთვის მოწმობის უფლების გაუქმებით პროფესიულ სტატუსს კარგავს, რის გამოც ზიანი ადგება, ვინაიდან მას ეს უფლება არ მოუპოვებია კეთილსინდისიერი გზით, ან ადმინისტრაციულ ორგანოთა სასამართლებრივი შეცდომის დაშვების, მოხელეთა დაუდევარი ან გულგრილი დამოკიდებულების საფუძველზე, რის გამოც მისი ინტერესები კანონით დაცულ სიკეთეს არ განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას,

რომ „არ არსებობდა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იგი არსებითად და თუნდაც არაარსებითადაც საერთოდ არ არღვევდა არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივ და მით უფრო, არც სხვა პირთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს“, შესაბამისად, დავის გადანყვეტისას სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი, მისი ნამდვილი შინაარსის არასწორი გაგება-განმარტების საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

იმგვარი გარემოებების დადგენის პირობებში, როცა უკანონო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგებით დაირღვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, ან სხვა პირის კანონიერი უფლებები ან კანონიერი ინტერესები, კანონმდებელი აქტს არ მიიჩნევს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად, რამდენადაც აქტის კანონიერებისა და აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების კონფლიქტის, კონკურენციის პირობებში კანონმდებელი პრიორიტეტულად მიიჩნევს არა აქტის ადრესატის, არამედ მესამე პირების კანონიერი ნდობის უფლების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი კრძალავს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, როცა დადგენილია დაინტერესებული მხარის, იგულისხმება აქტის ადრესატი, კანონიერი ნდობის უფლება, საგამონაკლისო დათქმით, თუ ამგვარი აქტი არსებითად არღვევს მესამე პირის (სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის) კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის უფლებით აქტის ადრესატი დაცულია იმ ვითარებაში, როცა მისი ნდობის უფლება კონფლიქტშია მხოლოდ კანონიერების პრინციპთან, მაგრამ თუ ამავდროულად უკანონო აქტი მესამე პირის კანონიერი ნდობის უფლებას არსებითად არღვევს, შეუძლებელია პრიორიტეტულად იქნეს განხილული აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება სხვა, მესამე პირთა კანონიერ-

რი ნდობის უფლების იგნორირების ხარჯზე. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის როგორც საჯარო მმართველობის კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებით, ისე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებასთან.

ამდენად, კანონის ნება აღნიშნული ნორმის დადგენისას გამომდინარეობს მესამე პირთა კანონიერი ნდობის უფლების დაცვის მიზნიდან. საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ ნორმის სქემატური ხასიათი ასეთია: აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება კონფლიქტშია არა მხოლოდ ერთ – კანონიერების პრინციპთან, არამედ ერთდროულად, ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპთან, კანონიერებისა და მესამე პირთა კანონიერი ნდობის უფლებასთან, თუმცა, ამავედროულად, კანონმდებელი ამავე მუხლის მე-6 ნაწილით მაინც არ ტოვებს უკანონო აღმჭურველი აქტის კანონიერი ნდობის უფლების მქონე ადრესატს სამართლებრივი დაცვის გარეშე, მხოლოდ სხვა ფორმით, მას კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე აუნაზღაურდება აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ზიანი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი მონესრიგებით კანონმდებელი უაღრესად სამართლიან სტანდარტს ადგენს, რაც სრულად შეესაბამება და უზრუნველყოფს სზაკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით გაცხადებულ ადმინისტრაციული სამართლის მიზნის მიღწევას.

საკასაციო სასამართლო დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მითითებული სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დადგენილია უკანონო აღმჭურველი აქტის ადრესატის კანონიერი ნდობა, რაც განსახილველ დავაში სახეზე არ არის, აქტის ადრესატის უკანონო ქმედების გამო.

4. 2011 წლის 14 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების მოქმედების გავრცელების არეალი და სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო მოსარჩელე გ. გ-ის კანონიერი ნდობის უფლების სამტკიცებლად უსაფუძვლოდ მიიჩნევს 2011 წლის 14 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის კონტექსტშიც, მტკიცების იურიდიულად გაუმართლებელი ხასიათის გამო, ვინაიდან მითითებული კანონით სახელმწიფომ გამოავლინა პოლიტიკური ნება ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაუ-

ლების ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით.

2011 წლის 14 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების მოქმედების გავრცელების არეალი არ მოიცავს ამავდროულად პირის სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სფეროებს, როგორც მაგალითად, „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონის შემთხვევაში, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, საგადასახადო ამნისტია შეეხო გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო აგენტებს, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე არ განახორციელეს საგადასახადო ვალდებულებათა დეკლარირება ან/და გადახდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული საგადასახადო ამნისტიის სამართლებრივი შედეგი გავრცელდა სამართლის ყველა დარგის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ, ვინაიდან შესრულებულად ჩაითვალა საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები და შეწყდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება.

2011 წლის 14 ივნისის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისას კანონმდებელს ამგვარი ნება არ გამოუვლენია, შესაბამისად, მოსარჩელე გათავისუფლდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რაც არ გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად, მისი ყველა სხვა შემდგომი ქმედებები, თუკი არამართლზომიერი ხასიათით გამოვლინდა სამართლის სხვა სფეროშიც, ასევე ამნისტირებულია.

აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლოს კანონშესაბამისად მიაჩნია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გასაჩივრებული აქტი, შესაბამისად, არ არსებობს სასკ-ის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ისევე, როგორც სარჩელის დაკმაყოფილების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობა, მისი იურიდიული უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმ-

რავლესობით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 243.2 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, უსაფუძვლობის გამო;

4. გ. გ-ეს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეზელი

1. ადმინისტრაციული წარმობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით	
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველი	3
ადმინისტრაციული წარმობის წესი კოლეგიურ ორგანოში	14
ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება	
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას	35
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე კომპეტენტური	
ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრა	60
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის	
გასაჩივრების ვადა	83
2. ადმინისტრაციული აქტის კანონიერება	
ადმინისტრაციული აქტის კანონიერების გადასინჯვა	105
ალმჭურველი აქტის კანონიერება	146